

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

„სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა – ევროინტეგრაცია,  
როგორც განვითარების ფაქტორი“

პროგრამა

და

თეზისები



20-22 ივნისი, 2019  
თბილისი

20-22 ივნისი, 2019

VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

**„სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა – ევროინტეგრაცია, როგორც განვითარების ფაქტორი“**

**სამეცნიერო რედაქტორები:**

თამარ დოლბაია, ვალერიან მელიქიძე, თეონა მატარაძე, სალომე დუნდუა

**ტექნიკური ჯგუფი:** თეონა თაბუაშვილი, მირანდა მიქაძე, ნინო აბესაძე, იონას ლიშტერფელდი

20-22 June, 2019

The 7<sup>th</sup> International Scientific Conference

**“Space, Society, Politics – European Integration as a Catalyst for Development”**

**Editors:** Tamar Dolbaia, Valerian Melikidze, Teona Mataradze, Salome Dundua

**Technical Group:** Teona Tabuashvili, Miranda Mikadze, Nino Abesadze, Jonas Lichterfeld

# პროგრამა

## 20 ივნისი, ხუთშაბათი

I კორპუსი, ოთახი №107

**09.30 - 10.00** კონფერენციის მონაწილეთა რეგისტრაცია

**10.00** კონფერენციის გახსნა:

I კორპუსი, ოთახი №107

**გიორგი შარვაშიძე** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

**თამარ დოღლაია** – სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი

## **I სესია (სამუშაო ენა: ინგლისური)**

I კორპუსი, ოთახი №107

თავმჯდომარეები: **ალექსანდრე კუხიანიძე, მარეკ პიეტრასი**

**10.20 მარეკ პიეტრასი** - ჰაბილიტირებული პროფესორი, მარი კიური-სკლოდოვსკას უნივერსიტეტი, პოლონეთი. *„ევროკავშირის ორდონიანი ცვლილებების გარემოში“*

**10.40 ბორის ვუკიჩევიჩი** - ასოცირებული პროფესორი, მონტენეგროს უნივერსიტეტი, მონტენეგრო. *„ევროინტეგრაციის გავლენა მონტენეგროს პოლიტიკასა და საზოგადოებაზე“*

11.00 **ალექსანდრე კუხიანიძე** – პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„ორგანიზებული დანაშაულის დეფინიციის პრობლემა“*

11.20 **ონურ კულაჯი** – ასისტენტ-პროფესორი, ფამუქაღეს უნივერსიტეტი, თურქეთი. *„თურქეთის საჯარო ელექტრონული შესყიდვების პოლიტიკა ევროინტეგრაციის კონტექსტში“*

11.40 **ბულენტ არპათი** – ასისტენტ-პროფესორი, ფამუქაღეს უნივერსიტეტი, თურქეთი. *„თურქეთის ინტეგრაცია ევროკავშირთან ოკუპაციური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით და ტრანსფორმაცია შრომის პირობებში“*

12.00 **ჯაბა უროტაძე** – ასისტენტ-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„სამუშაო და დასვენების დროის რეგულირების შედარებითი ანალიზი საქართველოსა და ევროკავშირის მაგალითზე“*

12.20 **დომენიკო ვალენზა** – დოქტორანტი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსიტეტის რეგიონული ინტეგრაციის შედარებითი კვლევების ინსტიტუტი, ბელგია. *„თავის იდეალურად წარმონეხა: ევროკავშირისა და რუსეთის შედარებითი კულტურული ნარატივი პოსტსაბჭოთა სივრცეში“*

12.40 **კურშატ გუჩი** – ასისტენტ-მკვლევარი, ანკარის უნივერსიტეტი, თურქეთი. *„კონფლიქტის რუტინიზაცია უკრაინაში, როგორც უსაფრთხოების დილემა“*

13.00 **ბ. ალფერ თორუნი** – ასისტენტ-მკვლევარი, ანკარის უნივერსიტეტი, თურქეთი. *„რუსეთის კონტრიერიში ევროპულ ინტეგრაციაზე ახლო სამეზობლოში: გაყინული კონფლიქტების სტრატეგია“*

13.20 – 14.30 შესვენება, ლანჩი

## II სესია (სამუშაო ენა: ქართული)

I კორპუსი, ოთახი №107

თავმჯდომარეები: **მალხაზ მაცაბერიძე, მანანა შამილიშვილი**

14.30 **მალხაზ მაცაბერიძე** – პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„საქართველოს დამფუძნებელი კრება და დამოუკიდებელი საქართველოს პარტიული სისტემის ფორმირება“*

14.50 **რევაზ გაჩეჩილაძე** – პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **გიორგი რობაქიძე** – დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. *„ვეროინტეგრაცია: მიზანი და რეალობა (ცენტრალური ევროპის, ბალტიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედარება)“*

15.10 **ვალერიან მელიქიძე**, ასოცირებული პროფესორი, **ვლადიმერ ჩხაიძე**, ასისტენტ-პროფესორი, **სალომე კობაიძე**, დოქტორანტი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ათვისება ლურჯი ეკონომიკის პრიციპებზე დაყრდნობით“*

15.30 **მანანა შამილიშვილი** – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„კარიკატურა, როგორც ნაციტური სარედაქციო პოლიტიკის ვიზუალიზების ხერხი და ანტიბოლშევიკური იდეოლოგიური იარაღი“*

15.50 **მარინა ბურძენიძე**, ასოცირებული პროფესორი, **მარინე ქვეციშვილი**, დოქტორანტი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„ჟურნალისტიკის ტრანსფორმაცია ევროპის ქვეყნებში: პროფესიონალი ჟურნალისტების მოსაზრებები და აღქმები“*

16.10 **ნინო პოპიაშვილი** – დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„ლიტერატურული ტექსტი, როგორც სივრცე ინტერკულტურალობისა და მიგრაციული პროცესების კონტექსტში“*

16.30 **ნათელა დონაძე**, ასოცირებული პროფესორი, **მარეს დევიძე**, დოქტორანტი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„გლობალიზაცია და ტრადიციები სტუდენტურ ფოკუსში“*

## 21 ივნისი, პარასკევი

### III სესია (სამუშაო ენა: ინგლისური)

I კორპუსი, ოთახი №107

თავმჯდომარეები: თენგიზ ვერულავა, ნიკოლოზ ესიტაშვილი

10.00 **ხოსე ვარგას-ჰერნანდესი** – მკვლევარი პროფესორი, გვადალახარას უნივერსიტეტი, მექსიკა. *„ადგილობრივი ხელისუფლების დემოკრატიული დეცენტრალიზაციის ინსტიტუციური დიზაინის კრიტიკული ანალიზი საზოგადოებრივ სფეროებსა და ურბანულ სივრცეებში“*

10.20 **დოდან ნადი ლებლებიჯი**, პროფესორი, ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტი, **ჯენაი ბაბაოგლუ**, ასოცირებული პროფესორი, ნილდეს ომერ ჰალისდემირის უნივერსიტეტი – თურქეთი. *„ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერაქცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ არსებულ პოლიტიკაზე ანკარაში“*

10.40 **მარიამ გერსამია**, პროფესორი, **მაია ტორაძე**, ასოცირებული პროფესორი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„მედიაფსიქოლოგია: კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმი და დასაქმება“*

11.00 **ჰუბერტ კოტარსკი** – ასისტენტ-პროფესორი, ვეშოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი. *„სტუდენტთა ცხოვრება და პროფესიული მისწრაფებები, როგორც პოლონეთისა და უკრაინის ევროინტეგრაციის ფაქტორი, ქალაქში ცხოვრების ხარისხის კვლევის მაგალითზე“*

11.20 **მაგდალენა პოკრუივა** – ასისტენტ-პროფესორი, ვეშოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი. *„ქალები და მამაკაცები პოლონეთის სოციალური დახმარების სისტემაში“*

11.40 **დორთა რინკოსკა** – ასისტენტ-პროფესორი, უეშოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი. *„პოლონეთის წითელი ჯვრის, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის როლი სოციალურ სექტორში“*

12.00 **ნიკოლოზ ესიტაშვილი** – მოწვეული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა. *„სამხედრო ძალაუფლების ექსპონენციალური ზრდა და მისი გავლენა სამხედრო აღიანსების დინამიკაზე“*

12.20 **თენგიზ ვერულავა** – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„ამბულატორიული მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა ხანდაზმულთათვის“*

12.40 **სვეტლანა აკიევა** – პროფესორი, ყაბარდო-ბალყარეთის სამეცნიერო ცენტრი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, რუსეთი. *„სამხრეთ კავკასიის ევროპული ინტეგრაცია“*

**13.00 – 14.00 შესვენება, ლანჩი**

#### **IV სესია (სამუშაო ენა: ქართული)**

I კორპუსი, ოთახი №101

თავმჯდომარეები: **სალომე დუნდუა, თამარ ქარაია**

09.20 **გიორგი ბერიძე** – დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„იდეურ-პოლიტიკური პლატფორმების ელექტრონული პროპაგანდა თანამედროვე საქართველოში (მემარცხენე მიმართულების ორგანიზაციების ინტერნეტაქტივობები)“*



09.40 **ელენე გელაშვილი** – დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„სალომე ზურაბიშვილის საინაუჯურაციო სიტყვა - ახალი გზაწილები ქართულ პოლიტიკაში“*

10.00 **ნათია ზედგინიძე** – დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„პროფესიული ეთიკის კოდექსების მნიშვნელობა საზოგადოების ზნეობრივი განახლებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში“*

10.20 **ლიკა თეთრაძე** – დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„ნეგატიური ნარატივი და გავლენა ელექტორალურ ქცევაზე“*

10.40 **ინგა მისანაშვილი** – მეცნიერ-თანამშრომელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. *„ეროვნული უმცირესობების საკითხი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ (სახალხო დამცველის ანგარიშების ანალიზის საფუძველზე)“*

11.00 **ნინო მაისურაძე** – დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„იდუურ-პოლიტიკური პლატფორმების ელექტრონული პროპაგანდა თანამედროვე საქართველოში (ქართული ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ინტერნეტგამოცემების იდეოლოგიური პროფილი)“*

11.20 **ლიკა მუკბანიანი** – დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. *„პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებში (შვედეთისა და საქართველოს მაგალითზე)“*

11.40 **თამარ ორჯონიძე** – დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„საქართველოს დამფუძნებელი კრება და ბათუმის ოლქი“*

12:00 **დავით სიღამონიძე**, დოქტორანტი, **ნანა დვისაძე**, მაგისტრანტი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„ვეროინტეგრაცია და საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის განვითარება“*

12:20 **სალომე ქარელი** – დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„როგორ პასუხობს კონფლიქტის ახალ სახეს - „ჰიბრიდული ომს“ ევროკავშირისა და საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა?“*

12.40 **მარიანა ქვეხიშვილი** – დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„ლობიზმი საქართველოში“*

**13.00 – 14.00 შესვენება, ლანჩი**

## **V სესია (სამუშაო ენა: ქართული)**

I კორპუსი, ოთახი №101

თავმჯდომარეები: **ზვიად აბაშიძე**, **ავთანდილ ტუკვაძე**

14:00 **ზვიად აბაშიძე** – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„ზვიად გამსახურდიას დისკურსი ეთნიკური უმცირესობების შესახებ 1990-91 წლებში: ოფიციალური გამოსვლებისა და ინტერვიუების ანალიზი“*

14:20 **ალა ბიბილაშვილი** – ასოცირებული მკვლევარი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. *„ისლამის როლი ჩრდილოკავკასიურ სოციალურ რელიგიური დისკურსის პოლიტიკაში“*

14:40 **ეკა დარბაიძე** – დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„დემოკრატიის კრიზისი და ახალი კლასი საქართველოში“*

15:00 **ვალერიან დოლიძე** – ასისტენტ-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„ევროინტეგრაციის პროცესი და საქართველოს პოლიტიკური განვითარების ციკლები“*

15:20 **გიორგი კვინიკაძე** – ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„სამხრეთი კავკასიის გეოეკონომიკური ლანდშაფტი“*

15:40 **ვახტანგ მაისაია**, ასოცირებული პროფესორი, **მირანდა მიქაძე**, დოქტორანტი – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. *„ჰიბრიდული ომის“ გეოსტრატეგიული ასპექტები და რაობა (მეოთხე თაობის ომი) - კიბერომის მაგალითზე“*

16:00 **გიორგი მელიქიძე** – დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„სამოქალაქო საზოგადოების როლი ჰიბრიდულ რეჟიმებში: დემოკრატიზაციის გამოწვევები საქართველოში“*

16:20 **ავთანდილ ტუგვაძე**, ასოცირებული პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ირაკლი უბილავა**, ასპირანტი, **რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი** – *„სუვერენული დემოკრატია“ – რუსული დემოკრატიის დინამიური მოდელი“*

16:40 **თამარ ქარაია** – ასისტენტ-პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. *„სოციალური პროტესტის ფორმირების თავისებურებები საქართველოში“*

22 ივნისი, შაბათი

09:00 - ექსკურსია უცხოელი სტუმრებისთვის:

უფლისციხე – გორი – მცხეთა

## თქონიერი



## მარეკ პიეტრასი

ჰაბილიტირებული პროფესორი

მარი კიური-სკლოდოვსკას უნივერსიტეტი, პოლონეთი

### ევროკავშირი ორდონიანი ცვლილებების გარემოში

დღესდღეობით, ევროკავშირის, როგორც ინსტიტუტისა და ღირებულებათა ერთობლიობის ფუნქციონირება და ინტეგრაციის პროცესი განპირობებულია ორი დონის ცვლილებებით. ერთი მხრივ, ეს არის ცვლილებები საერთაშორისო სისტემის დონეზე და მეორე მხრივ, წევრი ქვეყნების შიდა დონეზე. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ორივე დამოუკიდებელი ცვლადია და ევროკავშირის ფუნქციონირება არის მათზე დამოკიდებული ცვლადი.

პირველ რიგში, მრავალი წლის განმავლობაში ევროკავშირის კვლევაში, გლობალიზაციის პროცესის, მზარდი საერთაშორისო დამოუკიდებლობების, გლობალური სისტემის პოლარობის ცვლილების პირობებში, ფოკუსი კეთდებოდა საერთაშორისო სისტემაში მოქმედ დამოუკიდებელ ცვლადებზე. ამდენად, ჩვენ ვსაუბრობთ საერთაშორისო სისტემის დონეზე მოქმედ ძალებზე, რომლებიც განაპირობებენ ევროკავშირისა და მისი ინტეგრაციის პროცესებს. ეს ძალები, რომლებიც ამ დრომდე ჩატარებულ კვლევებში დომინირებდნენ, ახდენდნენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლიტიკური სისტემებისა და მათში მოქმედი შიდა ძალების მარგინალიზაციას ევროკავშირის, როგორც ლიბერალური ღირებულებების მქონე ერთობის პოლიტიკური კონსენსუსის შესაბამისად.

დღესდღეობით, საერთაშორისო სისტემის დონეზე ევროკავშირის ფუნქციონირებას შემდეგი ძირითადი ძალები განსაზღვრავენ: 1) კლიმატის ცვლილება, 2) ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო

პოლიტიკა და ტრანსატლანტიკური ურთიერთობები, 3) ჩინეთის ეკონომიკური სიძლიერე და ეკონომიკური შეღწევადობის პროცესები.

მეორე მხრივ, ევროზონის კრიზისის, განსაკუთრებით კი აქამდე არნახული მიგრაციის ზეწოლის პირობებში, ევროსკეპტიციზმი და პოპულიზმი ცვლის სასურველ ღირებულებებს და გამოწვევების წინაშე აყენებს როგორც ლიბერალურ პოლიტიკურ წესრიგს, ისე ევროკავშირისა და ზოგიერთი წევრი ქვეყნის პოლიტიკურ ერთობას. ამდენად, გაჩნდა დამოუკიდებელი ცვლადები, რომლებიც განსაზღვრავს წევრი ქვეყნების ფუნქციონირების შენარჩუნებისა და ინტეგრაციის პროცესებს ქვეყნებს შიდა დონეზე.

შესაბამისად, პრეზენტაციის მიზანია, ერთი მხრივ ფოკუსირდეს ონტოლოგიაზე და ამოიცნოს ორივე დონეზე არსებული, ევროკავშირის შემანარჩუნებელი და მაინტეგრირებელი პროცესების დამოუკიდებელი ცვლადები, მეორე მხრივ კი ფოკუსირდეს ევროკავშირის ფუნქციონირების ეპისტომოლოგიურ ანალიზზე და შემოგვთავაზოს კვლევის ინსტრუმენტი. ამ შემთავაზების მიზანია გამოავნილოს ის ცვლადები, რომლებიც გავლენას ახდენენ ევროკავშირის, როგორც საერთაშორისო სისტემის, ისევე როგორც მისი წევრი ქვეყნების შიდა დონეების ფუნქციონირებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, ანალიზის დონეები, საერთაშორისო სისტემის დონე, წევრი ქვეყნების დონე, ევროსკეპტიციზმი, პოპულიზმი



## ბორის ვუკინევიჩი

ასოცირებული პროფესორი  
მონტენეგროს უნივერსიტეტი, მონტენეგრო

### ევროინტეგრაციის გაეგნა მონტენეგროს პოლიტიკასა და საზოგადოებაზე

მონტენეგრო ყველაზე პატარა ქვეყანაა ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებიდან და ბოლო, რომელმაც მიიღო დამოუკიდებლობა, 2006 წელს (გარდა კოსოვოსი, რომლის საკითხი კვლავ განხილვის საგანია).

ევროინტეგრაცია მნიშვნელოვანი საკითხია მონტენეგროს პოლიტიკურ ასპარეზზე. ის ასევე მნიშვნელოვანი საკითხი იყო 2006 წლის დამოუკიდებლობის რეფერენდუმის გარშემო მიმდინარე დისკუსიებში. მას შემდეგ მონტენეგრო იმყოფება ევროკავშირში გაწევრიანების პროცესში, რაც არის ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი და შესაძლოა ერთადერთი საკითხიც, რაზეც, ნომინალურად მაინც, ყველა პოლიტიკური პარტია თანხმდება.

მონტენეგრომ, როგორც სერბეთთან საერთაშორისოდ იზოლირებული კავშირის ნაწილმა (რომელსაც, იმ დროისათვის, სლობოდან მილოშევიჩი მართავდა) გაიარა 1990-იანი წლების არეულობა და ქვეყანა გადაურჩა აშკარა ომს. ახალ ათასწლეულს მონტენეგრო შეხვდა არა მხოლოდ ევროკავშირთან, არამედ თავის წარსულ, 1989 წლის მდგომარეობასთან შედარებით განუვითარებელი ეკონომიკით, პოლიტიკითა და კულტურით.

ევროინტეგრაციამ ბიძგი მისცა სხვადასხვა რეფორმას, რომელსაც მონტენეგრო ასოცირებულა დამოუკიდებლობის ხალახლა მოპოვების შემდეგ. ეს შეიძლება განხილულ იქნეს სხვადასხვა კუთხით: როგორც უკვე აღვნიშნე, ევროინტეგრაცია არის ჯერ კიდევ დაყოფილი ერის საერთო მიზანი. ის ასევე დაეხმარა ქვეყანას კანონმდებლობის მხრივ

რეფორმების გატარებაში, რათა კომუნისტური პერიოდის კანონმდებლობა ჰარმონიაში მოსულიყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან. მან ასევე ხელი შეუწყო პოლიტიკურ ცვლილებებს ქვეყანაში, სადაც კვლავ გადასახედია ძალაუფლების დემოკრატიულად გადაცემის გზები (მმართველი, სოციალ-დემოკრატია პარტია, სათავეს კომუნისტთა ლიგიდან იღებს). ამ პირობებში ევროინტეგრაციის გავლენა ძალიან დიდია, მაგრამ სოციალისტური წარსული მონტენეგროსთვის კვლავ ძალიან მტკივნეულ საკითხად რჩება. ევროინტეგრაციამ (ისევე როგორც ნატოში შესვლამ) ასევე ხელი შეუწყო მჭიდრო ეკონომიკურ კავშირებს დასავლეთის ქვეყნებთან, დასავლურ ინვესტიციებს და ევროკავშირიდან ტურისტების რაოდენობის ზრდას ქვეყანაში (სადაც ტურიზმი ქვეყნის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა). ამან შეცვალა წინა დეკადებში არსებული ტენდენცია, როცა რუსი და სერბი ტურისტები, ასევე რუსული, თურქული, არაბული და აზერბაიჯანული ინვესტიციები დომინირებდა.

შეიცვალა მონტენეგროს საგარეო პოლიტიკის ვექტორი და თავისი ისტორიული მოკავშირე რუსეთისგან დასავლური ორბიტისკენ მიბრუნდა (ამ ძირეული ცვლილების გამო ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კრიტიკოსებმა მას „სატელიტი საკუთარი სურვილების გარეშე“ უწოდეს).

საერთო ჯამში, ევროინტეგრაციის პროცესის გავლენა მონტენეგროს საზოგადოებასა და პოლიტიკაზე არის ძლიერი და ძირითადად მომგებიანი ქვეყნის ინტერესებისა და სამომავლო განვითარებისთვის.

მოსხენების მიზანია ხელმისაწვდომი მონაცემების ანალიზის საფუძველზე მონტენეგროს პოლიტიკისა და, ზოგადად, საზოგადოებისთვის ევროინტეგრაციის როლის შეფასება.

**საკვანძო სიტყვები:** მონტენეგრო, დასავლეთ ბალკანეთი, ევროპული ინტეგრაცია, პოსტკომუნიზმი, დაყოფილი საზოგადოება

## **ალექსანდრე კუხიანიძე**

პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ორგანიზებული დანაშაულის დეფინიციის პრობლემა**

ორგანიზებული დანაშაული თავისი ბუნებით რთული ფენომენია და შეიცავს როგორც იურიდიულ, ასევე ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებს. შესაბამისად, ორგანიზებული დანაშაული მოითხოვს ინტერდისციპლინურ მიდგომას. მიუხედავად იმისა, რომ კრიმინოლოგიაში არსებობს ორგანიზებული დანაშაულის მრავალი დეფინიცია, მათ შორის პოლიტიკის მეცნიერების ასპექტი არ ფიგურირებს. უფრო მეტიც, თვით პოლიტიკის მეცნიერებაში ორგანიზებული დანაშაულის თემატიკა ნაკლებად არის გაანალიზებული. ამავე დროს, პოლიტიკოსები (განსაკუთრებით სუსტი დემოკრატიის პირობებში) ხშირად ეხვევიან ისეთ სკანდალებში, სადაც პოლიტიკა, ორგანიზებული დანაშაული და კორუფცია ერთმანეთში შეზრდილ ფენომენს წარმოადგენს.

ნებისმიერი გავლენიანი მაფიური ტიპის ორგანიზაცია ცდილობს მჭიდროდ იყოს დაკავშირებული პოლიტიკასთან და შეაღწიოს პოლიტიკაში. ან პირიქით - პოლიტიკოსები იყენებენ ორგანიზებულ დანაშაულს თავიანთი მიზნებისათვის, მაგალითად არჩევნების დროს. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკურად მოტივირებულ დანაშაულთან. მაფიური ტიპის ორგანიზებული დანაშაულის დაინტერესება პოლიტიკით მიზნად ისახავს მხოლოდ კრიმინალური ბიზნესის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მოგების ზრდას.

სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც ეხება ორგანიზებულ დანაშაულს, არსებობს იმის აღიარება, რომ დანაშაული შეიძლება იყოს ჩადენილი ისეთი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომელსაც აქვს არა მოგებაზე ორიენტირებული მოტივაცია, არამედ პოლიტიკური და იდეოლოგიური მოტივაცია. მაგრამ ასეთი ტიპის დანაშაულს არ ეძლევა ორგანიზებული დანაშაულის ფორმის კვალიფიკაცია, რაც ავტორის აზრით, არ არის ლოგიკური და მავნე პრაქტიკული თვალსაზრისით. მაგალითად, 1945-46 წლების ნიურნბერგის პროცესის დროს ნაცისტების ლიდერები აღიარებული იყვნენ როგორც საერთაშორისო დამნაშავეები და არა როგორც სამხედრო ტყვეები, ხოლო ნაცისტური ორგანიზაციები სასამართლომ აღიარა როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციები.

ორგანიზებული დანაშაულის დეფინიციას აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ერთის მხრივ, იგი განსაზღვრავს კვლევის ხარისხსა და მიმართულებას, მეორე მხრივ კი, ქვეყანაში უსაფრთხოებისა და გამოძიების ჩატარების ხარისხს. როგორც წესი, უმრავლესობა მიიჩნევს ორგანიზებულ დანაშაულს, როგორც მოგებაზე ორიენტირებული კრიმინალური ორგანიზაციის მოქმედებას. ასეთებია სიცილიური მაფია, ნდრანგეტა, კომორა, საკრა კორონა უნიტა, ტრიადები, იაკუბა, მექსიკის კარტელები, კოლუმბიური მაფია, უკანონო მოტოციკლისტების კლუბი „ჯოჯოხეთის ანგელოზები“ ("Hell Angels"), კანონიერი ქურდების ინსტიტუტი და ა.შ. ამის შედეგად, პოლიტიკურად მოტივირებული დანაშაული, რომელიც რადიკალური და ექსტრემისტული პოლიტიკური პარტიების ან ტერორისტული ორგანიზაციების მიერ არის ჩადენილი, არ არის კვალიფიცირებული როგორც ორგანიზებული დანაშაულის ფორმა. ხშირ შემთხვევაში, ამას პრაქტიკული შედეგები მოყვება, როდესაც დაპატიმრებული ექსტრემისტი პოლიტიკოსები ან ტერორისტები საკუთარ თავს სამართლიანობისათვის მებრძოლებს და არა კრიმინალებს უწოდებენ. ამ პრევენტაციაში, ავტორმა ორგანიზებული დანაშაული ორ კლასად

გაყო - პროფესიული ორგანიზებული დანაშაული და პოლიტიკური ორგანიზებული დანაშაული. პირველი წარმოადგენს მაფიის სტილის მოგებაზე ორიენტირებულ კრიმინალურ საქმიანობას, ხოლო მეორე - პოლიტიკურად მოტივირებულ დანაშაულს, რომელიც პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფოების ან ტერორისტული ორგანიზაციების ლიდერებისა და წევრების მიერ არის ჩადენილი. ამ პრეზენტაციაში წარმოდგენილია აკადემიურ პუბლიკაციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებში მოცემული ორგანიზებული დანაშაულის სხვადასხვა განმარტებების ანალიზი.

**საკვანძო სიტყვები:** დეფინიციები, პოლიტიკა, პროფესიული ორგანიზებული დანაშაული, პოლიტიკური ორგანიზებული დანაშაული, მაფია, პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფო, ტერორისტული ორგანიზაციები

## ონურ კულაჯი

ასისტენტ-პროფესორი

ფამუქალეს უნივერსიტეტი, თურქეთი

### თურქეთის საჯარო ელექტრონული შესყიდვების პოლიტიკა ევროინტეგრაციის კონტექსტში

საჯარო პოლიტიკა არის მთავრობის სამართლებრივი პრაქტიკების ნაკრები, რომელიც ემსახურება პრობლემებისა და სოციალური საჭიროებების ეფექტურად გადაჭრას. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო პოლიტიკის ჩამოყალიბება უპირველეს ყოვლისა ქვეყნის ოფიციალური პოლიტიკური აქტორების პასუხისმგებლობაა, საერთაშორისო აქტორებიც დიდ ზეგავლენას ახდენენ ეროვნული პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტზე. ევროკავშირი არის ერთ-ერთი ისეთი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც გადამწყვეტ როლს თამაშობს წვერი და კანდიდატი ქვეყნების პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. რადგან თურქეთს ევროკავშირთან მრავალწლიანი ურთიერთობა აკავშირებს, შესაძლებელია თურქეთის პოლიტიკაზე ევროკავშირის გავლენის განხილვა. რეგულარული ანგარიშები თურქეთის პროგრესის შესახებ, რომლებიც 1998 წლიდან მზადდება, არის მთავარი მაჩვენებელი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ და გავანალიზოთ ევროკავშირის გავლენა თურქეთის პოლიტიკაზე. განსაკუთრებით ბოლო 2 ათწლეულის განმავლობაში თურქეთმა გაატარა მრავალი რეფორმა ფუნქციური საჯარო ადმინისტრირების სისტემის შექმნის მიზნით. გლობალიზაციის ზრდის პირობებში, მოქალაქეთა მოლოდინებიც გაიზარდა და სიახლეები საჯარო სფეროში გადაიქცა აუცილებელ საჭიროებად, რათა მოქალაქეებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი საჯარო სერვისები დანერგილიყო. ამ მიზნით თურქეთმა დანერგა ელექტრონული მთავრობის კარიბჭე, რათა ჰქონოდა პორტალი შესაბამისი მომსახურებებისთვის როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი

მთავრობების დონეზე. ამის წყალობით, თურქეთის მოქალაქეებს აქვთ ელექტრონული წვდომა უამრავ საჯარო მომსახურებაზე სხვადასხვა სამთავრობო რეოლში. ამდენად, უზრუნველყოფილია საჯარო სერვისების პრაქტიკულობა, ეფექტიანობა და სანდოობა. თურქეთის სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა გახდა საჯარო ადმინისტრირების მნიშვნელოვანი ნაწილი საჯარო სერვისების მოცულობის ზრდის კუთხით. მეტიც, საჯარო შესყიდვები არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი პროგრესის ანგარიშებში. თურქეთმა ელექტრონული საჯარო შესყიდვების პლატფორმა დანერგა 2010 წელს, რათა ხელი შეეწყო ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის და შეესრულებინა სახელმწიფო შესყიდვების მოთხოვნები. ამ ქცევით უპირატესობა მიენიჭა ელექტრონული შესყიდვების სისტემასა და პროცესებს. კვლევის მთავარი მიზანია, შეისწავლოს თურქეთის ელექტრონული შესყიდვების პოლიტიკა პროგრესის რეგულარული ანგარიშების, ეროვნული სამოქმედო გეგმების, მოთხოვნებთან შესაბამისობის პროგრამის და ელექტრონული შესყიდვების რეგულაციების ანალიზის საფუძველზე. კვლევა აჩვენებს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა ჯერ არაა ევროკავშირის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში, ელექტრონული შესყიდვების პრაქტიკის პროგრესი დამაიმედებელია მრავალი მიმართულებით.

**საკვანძო სიტყვები:** ელექტრონული შესყიდვები, ელექტრონული მთავრობა, საჯარო პოლიტიკა, ევროინტეგრაცია

## ბულენტი არპათი

ასისტენტ-პროფესორი

ფამუქალეს უნივერსიტეტი, თურქეთი

### **თურქეთის ინტეგრაცია ევროკავშირთან ოკუპაციური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით და ტრანფორმაცია შრომის პირობებში**

2012 წელს ევროკავშირის 1989 წლის 12 ივნისის დირექტივა No. 89/391/EEC-ის თანახმად თურქეთში ძალაში შევიდა No. 6331 კანონი ოკუპაციური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ. ამის შედეგად შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის No. 155 და 161 ხელშეკრულებების პუნქტები დაემატა თურქეთის შრომის კოდექსს. 2012 წლამდე ოკუპაციურ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან მიმართებით თურქეთს ჰქონდა კომპენსაციაზე დაფუძნებული მიდგომა. ამ მიდგომით თურქეთი დიდად ჩამორჩებოდა ევროკავშირს და ორიენტირდებოდა ოკუპაციური შემთხვევებისა და დაავადებების პრევენციაზე. No. 6331 კანონის თანახმად დანერგილი ახალი მიდგომის მთავარი მახასიათებელია მუდმივი გაუმჯობესებისა და პრევენციის პოლიტიკის დანერგვა, დასაქმებულების ჩართულობა მართვის პროცესში, დასაქმებულთა და მათ წარმომადგენელთა მუდმივი გადამზადება გარკვეულ თემებზე. ოკუპაციური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ ევროკავშირის კანონმდებლობასთან მიერთების მთავარი მიღწევაა დასაქმებულთა ჩართულობა. 2012 წლამდე კანონი ნაკლებად ფარავდა დასაქმებულებს. No. 6331 კანონის თანახმად კი დასაქმებულის სხვადასხვა სტატუსის მქონე ადამიანები მოექცნენ კანონის საზღვრებში ოკუპაციურ შემთხვევებსა და დაავადებებთან დაკავშირებით. ახალი კანონის ძალაში შესვლის შემდგომი პერიოდის მთავარი მიღწევაა ის, რომ შესრულდა სოციალური საკითხებით დაინტერესებული მხარეების მიერ მხარდაჭერილი სახელმწიფო პოლიტიკა. სამუშაო ადგილებს ევროკავშირის ეკონომიკური საქმიანობების სახეების სტატისტიკური



კლასიფიკატორის (NACE) მიხედვით მიენიჭათ კლასიფიკაციები და განისაზღვრა, როგორც ნაკლებად საშიში, საშიში, ძალიან საშიში. გაიზარდა დამსაქმებლის პასუხისმგებლობის დონე. პრევენციული მიდგომის მნიშვნელოვანი ელემენტია რისკების შეფასება, რომლის ფარგლებში ხდება სამუშაო გარემოში რისკების განსაზღვრა და იმ საფრთხეების წინასწარ გაცნობა, რასაც შეიძლება გადააწყდეს დასაქმებული და რაც ოკუპაციური შემთხვევებისა და დაავადებების პრევენციას ემსახურება.

ყველაზე სუსტი ჯგუფი ოკუპაციური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით არის ქვეკონტრაქტით დასაქმებული ადამიანები. ცნობილია, რომ აღწერილი შემთხვევების უდიდესი ნაწილი გამოწვეულია ქვეკონტრაქტით დამსაქმებელსა და მთავარ დამსაქმებელს შორის კოორდინაციის ნაკლებობით. კანონი No. 6331 უზრუნველყოფს მათ კოორდინაციას მათთვის ჯანსაღი პირობების გაცნობის გზით. ევროკავშირის ოკუპაციური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონმდებლობასთან თურქეთის მიერთება აუმაღლებს შრომის პირობებს. რამდენადაც ქვეკონტრაქტით დასაქმება იყო დასაქმების ყველაზე გავრცელებული მეთოდი, ხოლო ამ კატეგორიის დასაქმებულებს არ შეეძლოთ მათი შრომითი უფლებების ეფექტიანად გამოყენება, 2018 წლის რეგულაციამ საჯარო სექტორში დასაქმებულ მილიონზე მეტ ქვეკონტრაქტით დასაქმებულს მინიჭა მუდმივად დასაქმებულის სტატუსი. ყველა სექტორში შევიდა ძალაში დეკრეტული შევებულებისა და ქალთა ანაზღაურების უფლებების ახალი რეგულაციები. გაუმჯობესდა პენსიონერთა ეკონომიკური უფლებები მათთვის ყოველწლიურად ორი ბონუსის მინიჭების გზით. თურქეთის დიდ ეროვნულ ასამბლეაზე ახლახან განხილულ რეზოლუციებში მრავალი საჯარო მოხელის პირადი უფლებებია გაუმჯობესებული. თურქეთმა ევროინტეგრაციის მიზნით ოკუპაციური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეგულაციების მიღებით კარი გაუხსნა შრომის პირობების არსებით, რეგულაციურ გაუმჯობესებას.

კვლევის მიზანია იმ ახალი შრომითი უფლებების შეფასება, რომელიც შეიქმნა ევროკავშირის ოკუპაციური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონმდებლობასთან ინტეგრაციის შემდეგ და დომინოს ეფექტით გაგრძელდა ევროკავშირში დასაქმების კონტექსტში. კვლევაში განხილული იქნება შრომის პირობების ტრანსფორმაციის ყველა ფაზა No. 6331 კანონის ძალაში შესვლიდან დღემდე. ასევე, ყურადღება გამახვილდება იმ მნიშვნელოვან ეფექტებზე, რაც მოჰყვება თურქეთის ინტეგრაციას ევროკავშირთან შრომის პირობების გაუმჯობესების კუთხით.

**საკვანძო სიტყვები:** ოკუპაციური ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, შრომის პირობების ტრანსფორმაცია, ევროინტეგრაცია ოკუპაციური ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხები

## ჯაბა უროტაძე

ასისტენტ-პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **სამუშაო და დასვენების დროის რეგულირების შედარებითი ანალიზი საქართველოსა და ევროკავშირის მაგალითზე**

2014 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა „ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. ხელშეკრულების მიხედვით, საქართველო მოახდენს ევროკავშირთან ეტაპობრივ საკანონმდებლო დაახლოებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია ქვეყანაში ღირსეული შრომის პირობების შექმნა. ამ მიზნით, უნდა შემუშავდეს ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი შრომის კანონმდებლობა.

„ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ ახლავს დანართები, რომლებშიც მოცემულია ევროკავშირის კონკრეტული სამართლებრივი აქტები და მათთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვადები. შესაბამისად, საქართველოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან (მათ შორის შრომითი უფლებების სფეროში) დაახლოება უნდა მოხდეს ეტაპობრივად, შეთანხმებული ვადების მიხედვით.

საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანამდევ ურთიერთობებს აწესრიგებს საქართველოს შრომის კოდექსი, თუ ეს ურთიერთობები განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით (მაგალითად: „საჯარო სამსახურის შესახებ კანონით“) ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. 2006 წელს, საქართველოში, ლიბერალური სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის

ფარგლებში, მიღებულ იქნა ახალი შრომის კოდექსი, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიზღუდა დასაქმებულის უფლებები. შრომითი უფლებების მარეგულირებელი ნორმების შემუშავების პროცესი არ უნდა წარიმართოს მხოლოდ ბიზნესისთვის ტვირთის შემსუბუქების სურვილის მიხედვით და სამუშაო ადგილზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მინიმალური მოთხოვნების უგულებელყოფით - ეს ეწინააღმდეგება ევროპულ ღირებულებებს. 2013 წლის ივნისში, შრომის კოდექსში განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც გაცილებით უფრო დაბალანსებული გახდა დასაქმებულისა და დამსაქმებლის შრომითი უფლებები, თუმცა ევროკავშირის სტანდარტებთან დასაახლოებლად კიდევ არის გარკვეული საკანონმდებლო ცვლილებები საჭირო.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შრომითი სამართლის ერთ-ერთ ცენტრალურ ასპექტზე - სამუშაო და დასვენების დროზე. საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით, ყოველკვირეული სამუშაო დროის (იგულისხმება ზეგანაკვეთური სამუშაო დროც) ზედა ზღვარი გაცილებით მაღალია ევროკავშირის ქვეყნებთან შედარებით, არ არის განსაზღვრული დამსაქმებლის ვალდებულება, მისცეს დასაქმებულს კვირის განმავლობაში ერთი დასვენების დღე მაინც; სამუშაო და დასვენების დროის კუთხით არსებობს სხვა შეუსაბამობებიც ევროპულ სტანდარტებთან.

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის თანახმად, უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით; ამავე მუხლში ასევე მითითებულია, რომ მეწარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ ორი კონსტიტუციური უფლების დაცვისას, დაცულ იქნეს სათანადო ბალანსი: შრომითი უფლებების მარეგულირებელი ნორმები არ უნდა იყოს იმდენად მძიმედ შესასრულებელი, რომ დამსაქმებელს აკისრებდეს გაუმართლებელ ტვირთს, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბიზნესის განვითარებას

და შესაბამისად, სამუშაო ადგილებს; ამასთან, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ შრომითმა რეგულაციებმა უზრუნველყონ დასაქმებულის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების დაცვა სამუშაო ადგილზე ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

კვლევის ფარგლებში:

ა) შესწავლილია „ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ მოცემული ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნები სამუშაო დროის ორგანიზებასთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ყოველდღიურ და ყოველკვირეულ სამუშაო და დასვენების დროს, ყოველდღიური შესვენების დროს, ღამის სამუშაოს;

ბ) შესწავლილია ევროკავშირის წევრი ზოგიერთი ქვეყნის გამოცდილება შესაბამის დირექტივებთან საკუთარი კანონმდებლობის დაახლოების კუთხით;

გ) განხორციელებულია ზემოაღნიშნული კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი საქართველოს შრომით კანონმდებლობასთან და მოცემულია რეკომენდაციები საქართველოში სამუშაო და დასვენების დროსთან დაკავშირებული ოპტიმალური რეგულაციების შემოღებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** სამუშაო დრო, დასვენების დრო, შვებულება, შრომითი უფლებები, ასოცირების შეთანხმება

## დომენიკო ვალენზა

### დოქტორანტი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსიტეტის რეგიონული ინტეგრაციის შედარებითი კვლევების ინსტიტუტი, ბელგია

### **თავის იდეალურად წარმოჩენა: ევროკავშირისა და რუსეთის შედარებითი კულტურული ნარატივი პოსტსაბჭოთა სივრცეში**

კვლევა ცდილობს გააანალიზოს ევროკავშირისა და რუსეთის კულტურული დიპლომატია პოსტსაბჭოთა სივრცეში (აღმოსავლეთ სამეზობლოსა და ცენტრალურ აზიაში), განსაკუთრებით კი მათი კულტურული ნარატივები ამ რეგიონში. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მკვეთრად ამაღლდა ცნობიერება კულტურული ურთიერთობების მნიშვნელობის შესახებ, 2016 წელს კი საგარეო ურთიერთობებში კულტურის როლის უფრო ზუსტი ევროპული მიდგომა პირველად აისახა ევროკომისიისა და მაღალი თანამდებობის პირების ერთობლივ კომუნიკეში (EC and EEAS, 2016). აღმოსავლეთ სამეზობლოში კულტურული კავშირები ორმხრივი და მრავალმხრივი დღის წესრიგების შემადგენელი ნაწილი იყო და ევროკავშირმა დააგროვა დიდი გამოცდილება კულტურული სექტორის მხარდაჭერაში. მეორე მხრივ, ფერადი რევოლუციების შემდეგ რეგიონის მეორე მოთამაშის, რუსეთის რბილი ძალა გაიზარდა დასავლეთის აქტივობების საპირისპიროდ და მოსკოვის იმიჯის გასაძლიერებლად. მიმზიდველი იმიჯისაკენ სწრაფვა გამოიხატა მრავალ პოლიტიკური ინიციატივით და კულტურულ საკითხებზე მომუშავე მრავალი საზოგადოებრივი თუ ერთობლივი სააგენტოს შექმნით.

ევროკავშირისა და რუსეთის კულტურული ნარატივების გასაანალიზებლად გამოყენებულია ევროპული და რუსული ძირითადი ინსტიტუტებისა და სააგენტოების მთავარი იურიდიული და პოლიტიკური დოკუმენტები, ასევე პანევროპული და რუსული

მედიასაშუალებების მიერ გაშუქებული პოლიტიკური დეკლარაციები. ანალიზისათვის კი გამოყენებულია კრიტიკული დისკურს-ანალიზის (CDA) თეორია და მეთოდოლოგიები (Fairclough & Fairclough, 2012). კვლევის ჰიპოთეზაა: ევროკავშირი და რუსეთი ორ ერთმანეთის საპირისპირო მიდგომის კულტურულ პოლიტიკას ატარებენ რეგიონში. მაშინ, როდესაც ევროკავშირი ისწრაფვის თანამშრომლობისა და ერთობისაკენ და ფოკუსირდება სამოქალაქო სექტორზე, რუსეთი აქცენტს აკეთებს კულტურისა და უსაფრთხოების ურთიერთკავშირზე და ხაზს უსვამს, რომ ევროპასთან კულტურული სხვაობა იწვევს კონფლიქტებს. ჰანტინგტონის ანალიზის (1997) შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად რუსეთი საკუთარ თავს მიიჩნევს „დასჯილად“, რომ მართოს და ფორმა შეუცვალოს თავის სამეზობლოს თავისი კულტურული და სულიერი ღირებულებების მიხედვით. თუმცა, მსგავსებები მაინც ჩნდება „სხვისი“ იმიჯის ჩამოყალიბებისას: ორივე აქტორის ნარატივებში პოსტსაბჭოთა პროპულაციის საუკეთესო ნიმუშთან ასოცირდება არა სამოქალაქო საზოგადოება და უცხოელთა ფართო წრე, არამედ ევროპული ან რუსული ღირებულებების მატარებელი კონკრეტულად შერჩეული ჯგუფები.

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული დიპლომატია, კულტურული ურთიერთობები, ევროკავშირი, რუსეთი, პოსტსაბჭოთა სივრცე, აღმოსავლეთ სამეზობლო

## კურშატ გუნი

ასისტენტ-მკვლევარი

ანკარის უნივერსიტეტი, თურქეთი

### კონფლიქტის რუტინიზაცია უკრაინაში, როგორც უსაფრთხოების დილემა

ხუთი წელი შესრულდა უკრაინის კონფლიქტიდან. შეტაკებები, რომელსაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და ასობით ათასი ადამიანის იძულებით გადაადგილება გამოიწვია, არის აღმოსავლეთ ევროპისა და შავი ზღვის პოლიტიკური და ჰუმანიტარული კრიზისის მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტური მდგომარეობა და ტერიტორიული არასტაბილურობა უკრაინის უსაფრთხოების მთავარ გამოწვევად აღიქმება, უკრაინული პოლიტიკის მესვეურნი პრობლემის მოუგვარებლობით სარგებელსაც ნახულობენ. რუსეთის ე.წ. ჩარევას კონფლიქტში უკრაინა დასავლეთის მხარდაჭერის მოსაპოვებლად იყენებს. ამდენად, ფიქრობენ რომ კონფლიქტი გამოიწვევს უკრაინის დასავლეთთან, განსაკუთრებით კი ევროპასთან დაახლოებას და მათი მხარდაჭერის მოპოვებას აგრესორი რუსეთის წინააღმდეგ. ამასთანავე, დასავლეთის მხარდაჭერით უკრაინა ქვეყანას რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევისგან დაიცავს. უკრაინა, რომელსაც სურს რუსეთის „ექსპანსიონისტი“ და აგრესორის“ ხატის გამოყენება, რომელიც ჩნდება რუტინულ კონფლიქტში, დასავლეთთან მოლაპარაკებების პროცესში, ფიქრობს უგულებელჰყოს ქვეყნის ერთი ნაწილი, რათა შეინარჩუნოს დანარჩენი. მაგრამ ეს მდგომარეობა ხელს უშლის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს, რასაც უკრაინა დიდი ხანია ელის. ევროკავშირს არ სურს მის შემადგენლობაში იყოს ისეთი ქვეყანა, რომელმაც დაკარგა კონტროლი თავისი საზღვრის ნაწილზე, რომლის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი გაურკვეველია და სადაც მუდმივად არის ცხელი კონფლიქტის გაჩენის შესაძლებლობა. ამდენად, პოლიტიკური გაურკვეველობა და



კონფლიქტი ორივე რეგიონში, დონბასსა და ყირიმში, ერთი მხრივ უზრუნველყოფს კიევს საგარეო მხარდაჭერით და ნაწილობრივი უსაფრთხოებით, მეორე მხრივ საფრთხეს უქმნის ევროპულ ინტეგრაციას, რომელიც სრულ უსართხოებას მოუტანს ქვეყანას. ეს არის პარადოქსული დასკვნა უკრაინის უსაფრთხოების შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** უკრაინა, რუტინიზაცია, კონფლიქტი, უსაფრთხოების დილემა, რუსეთი, ევროინტეგრაცია

## **ბ. ალფერ თორუნი**

ასისტენტ-მკვლევარი

ანკარის უნივერსიტეტი, თურქეთი

### **რუსეთის კონტრიერში ევროპულ ინტეგრაციაზე ახლო სამეზობლოში: გაყინული კონფლიქტების სტრატეგია**

2000-იანი წლების შუა პერიოდში ევროკავშირის გაფართოების სტრატეგია იქცა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მთავარ ელემენტად. ევროკავშირმა მოუწოდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, გაეძლიერებინათ დემოკრატია და ხელი შეეწყოთ ინტეგრაციისა და უსაფრთხოებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროკავშირი ხელს უწყობდა ამ ქვეყნების როგორც დემოკრატიულ, ისე ეკონომიკურ განვითარებას. ის ასევე ცდილობდა შეექმნა ისეთი სივრცე, სადაც სტაბილურობა და რეგიონული უსაფრთხოება იქნებოდა დაცული. ამ მიზნით 2004 წელს ევროკომისიამ 16 პარტნიორი ქვეყნისთვის გამოაცხადა ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP), 2009 წელს კი ბელორუსი, მოლდოვა, უკრაინა, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო გახდნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრები. პოსტსაბჭოთა სივრცეში ევროკავშირის ინტეგრაციის პოლიტიკის მთავარი დაბრკოლება არის რუსეთის მიერ მის „ახლო სამეზობლოში“ გატარებული უსაფრთხოების პოლიტიკა. მოსკოვი, რომელიც 1993 წლის ახლო სამეზობლოს დოქტრინაში პოსტსაბჭოთა სივრცეს განსაზღვრავს, როგორც მის „გავლენის სფეროს“, ატარებს ისეთ საგარეო პოლიტიკას, რითაც ხელს უშლის დასავლეთის გავლენას რეგიონზე. ყველაზე ეფექტური იარაღი, რასაც რუსეთი იყენებს ევროკავშირთან იმ ქვეყნების ინტეგრაციის შესახებ, რომლებიც ცენტრალური აზიიდან და კასპის ზღვის აუზიდან ევროპისკენ მიმავალ ენერგოტრანსფერის გზაზე მდებარეობს, არის ეთნოკონფლიქტების გადავიება ამ ქვეყნებში. „გაყინული კონფლიქტებად“ განსაზღვრული კონფლიქტები მნიშვნელოვან

წინაღობას წარმოადგენს ევროინტეგრაციის გზაზე უსაფრთხოების მხრივ, რამდენადაც ისინი რეგიონის ქვეყნების ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებას უშლიან ხელს. საქართველოს ურთიერთობა ევროკავშირთან ოფიციალურად დაიწყო 1992 წელს, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმაღლეს ნიშნულს მიაღწია 2009 წელს დაწყებული აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში მონაწილეობით. თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რომლებიც სეპარატისტულ ზონებადაა განსაზღვრული, განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი პრობლემა ევროინტეგრაციის გზაზე. მოხსენებაში, პირველ რიგში, გაკანაალიზებ გაყინული კონფლიქტის კონცეფციას, როგორც ევროინტეგრაციის შემაფერხებელ ფაქტორს და ვეცდები განვსაზღვრო ამ კონცეფციის მახასიათებლები. შემდეგ კი შევაფასებ, როგორ გამოიყენა რუსეთის ფედერაციამ გაყინული კონფლიქტები, როგორც კონტრიერში, ევროინტეგრაციის საწინააღმდეგოდ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემთხვევებში.

**საკვანძო სიტყვები:** გაყინული კონფლიქტი, ევროინტეგრაცია, რუსეთის ფედერაცია, ახლო სამეზობლო, უსაფრთხოება

## მაღსაზ მაცაბერიძე

პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### საქართველოს დამფუძნებელი კრება და დამოუკიდებელი საქართველოს პარტიული სისტემის ფორმირება<sup>1</sup>

1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადების დროისათვის, საქართველოში არსებობდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტია და პოლიტიკური ჯგუფი, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ჩამოყალიბდა. დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის შემდეგ ამ პარტიების ნაწილი, რომელთაც ადგილობრივი დასაყრდენი ჰქონდათ, საფუძვლად უნდა დასდებოდა საქართველოს პარტიულ სისტემას, სხვები კი გამქრალიყვნენ ქართული პოლიტიკური სცენიდან. გარდა ამისა, საჭირო იყო არჩევნების გზით საქართველოში მოქმედი პარტიების რეალური გაგლენის გამორკვევა. ამ ამოცანების გადაჭრა წილად ხვდა საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რომლის ძირითადი არჩევნები 1919 წლის 14-16 თებერვალს ჩატარდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობდა 15 პოლიტიკური სუბიექტი. ისინი შეიძლება ოთხ ჯგუფად გავყოთ:

- პოლიტიკური პარტიები და მათი განაყოფები - 7 სუბიექტი;
- არჩევნების წინ შექმნილი ქართული ინტელიგენციის პოლიტიკური ჯგუფები - 3 სუბიექტი;
- ეროვნულ უმცირესობათა პოლიტიკური გაერთიანებები - 3 (4) სუბიექტი;

---

<sup>1</sup> მოხსენება მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოსვლილება“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR – 18 – 20157

- უცხოური პოლიტიკური პარტიები - 2 სუბიექტი.

არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ წინასაარჩევნოდ ნაჩქარევად შექმნილმა ინტელიგენციის პოლიტიკურმა პარტიებმა (უპარტიოთა კავშირი, შოთა რუსთაველის პარტია, ესთეტიკური ლიგა პატრიოტებისა) ვერ მოიპოვა ელექტორატის მხარდაჭერა და მათ ერთი დეპუტატის გაყვანაც ვერ შეძლეს დამფუძნებელ კრებაში.

ამომრჩეველთა მხარდაჭერა ასევე ვერ მოიპოვეს ეროვნული უმცირესობების სახელით მოქმედმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა (საქართველოს მუსლიმთა ეროვნული საბჭო, ბორჩალოს მაზრის მუსლიმთა კავშირი, საქართველოს ელინთა დემოკრატიული ჯგუფი, აფხაზთა ეროვნული პარტია)

არჩევნების მონაწილე უცხოური პოლიტიკური პარტიებიდან სამი დეპუტატის გაყვანა შეძლო სომხეთის რევოლუციური ფედერაცია „დაშნაკტუნიმ“, საკმარისი მხარდაჭერა ვერ მოიპოვა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ.

რაც შეეხება ჩვენ მიერ მოცემულ კლასიფიკაციაში პარტიათა პირველ ჯგუფს, 7 სუბიექტიდან დამფუძნებელ კრებაში მოხვდა ჯერ 4, შემდეგ კი 6 სუბიექტი. დამფუძნებელ კრებაში ისინი შემდეგნაირად იყვნენ წარმოდგენილნი:

	ძირითადი	1-ლი	მე-2
--	----------	------	------

პოლიტიკური პარტიები	არჩევნები - 1919 წ. II	დამატებ. არჩევნები - 1919 წ. VIII	დამატებ. არჩევნები - 1920 წ. V
საქართველოს ს/დ პარტია	109	105	102
საქართველოს ერ-დემ. პარტია	8	7	8
საქართველოს სოც-რევ. პარტია	5	5	6
საქართველოს სოც- ფედერალისტთა პარტია	8	9	9
„დაშნაკცუთიუნი“	-	3	3
საქართველოს ეროვნული პარტია	-	1	2

დამფუძნებელი კრების არჩევნებმა და მისი არსებობის ორწლიანმა პერიოდმა გამოკვეთა გარკვეული ტენდენციები ქართული პოლიტიკური სპექტრის განვითარებაში. კერძოდ, მემარცხენე პოლიტიკური პარტიების დომინირება (მათ შორის 122, შემდეგ 120 დეპუტატი დამფუძნებელი კრების 130 წევრიდან). სოციალ-დემოკრატიული პარტიის დასუსტების ტენდენცია (109 დეპუტატიდან 92 დეპუტატამდე შემცირება), 1921 წლის დამდევისთვის კი რადიკალური მემარცხენე ფრთის წარმოქმნა („ახალი სხივის“ ჯგუფი) და მემარჯვენე პოლიტიკური ძალების გაერთიანება („დემოკრატიული პარტიის“ შექმნა).

დამფუძნებელი კრების პარტიული სპექტრი 1921 წლის 11 თებერვლისათვის შემდგენიარად გამოიყურებოდა:

პარტია	ადგილები დამფუძნებელ კრებაში
საქართველოს მუშათა პარტია	სოციალ-დემოკრატიული 92
დამოუკიდებელი ფრაქცია „სხივი“	სოციალ-დემოკრატიული 10
დემოკრატიული ფრაქცია (არასოციალისტური პარტიების გაერთიანება)	10
სოციალისტ-ფედერალისტები	9
სოციალისტ-რევოლუციონერები	6
დაშნაკუთუნი	3

1921 წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარებულიყო საქართველოს პარლამენტის არჩევნები 1921 წლის კონსტიტუციის საფუძველზე, თუმცა საბჭოთა ოკუპაციამ მოვლენები სულ სხვაგვარად წარმართა.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველოს დამფუძნებელი კრება, პარტიული სისტემა, არჩევნები, საარჩევნო სუბიექტები, პარტიული სპექტრი

## **რევაზ გაჩეჩილაძე**

პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **გიორგი რობაქიძე**

დოქტორანტი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### **ევროინტეგრაცია: მიზანი და რეალობა (ცენტრალური ევროპის, ბალტიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შედარება)**

„ევროპული კავშირის“ წინამორბედი - „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“ - თავიდან დაარსდა როგორც დასავლეთ (მოგვიანებით, სამხრეთ) ევროპის ქვეყნების ეკონომიკური ალიანსი. 1993 მის ბაზაზე შექმნილი „ევროპული კავშირი“ აღმოჩნდა ისტორიაში ყველაზე წარმატებული ინტეგრაციის მაგალითი, რომელმაც მოუტანა საყოველთაო კეთილდღეობა და ააცილა ომების საფრთხე ევროპის კონტინენტის დასავლეთ ნაწილს.

„ცივი ომის“ დამთავრებისა და კომუნისტური რეჟიმების დამხობის შემდეგ, ევროინტეგრაციის მაგალითი მიმზიდველი აღმოჩნდა ევროპის ცენტრალური და აღმოსავლეთ ნაწილის ყოფილი კომუნისტური ქვეყნებისათვის.

გარკვეული ყოყმანის შემდეგ, ევროკავშირის ბირთვი - მისი დამაარსებელი ქვეყნები - დათანხმდა მიეღო ახალი წევრები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპიდან. 2004 წელს ევროკავშირს შეუერთდა 10 ახალი წევრი - კვიპროსი, მალტა, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი, 2007 წელს - ბულგარეთი და რუმინეთი, ხოლო 2013 წელს - ხორვატია. ამრიგად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საერთო რიცხვმა 28-ს მიაღწია.



ყველა ამ ახალი წვერი-ქვეყნისათვის ევროკავშირში ყოფნა უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა. გაძლიერდა მრავალპარტიული დემოკრატია, დაჩქარდა მათი ეკონომიკური განვითარების ტემპი.

ცენტრალური ევროპის ყოფილი კომუნისტური ქვეყნების, რომლებიც „ვიშეგრადის ოთხეულის“ სახელით გახდა ცნობილი (პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი) მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 2004 წელს შეადგენდა ჯამში 521,7 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო 2017 წელს 975,07 მილიარდ აშშ დოლარს, ანუ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მათი ჯამური მშპ 86,9%-ით გაიზარდა.

ბალტიის სამი ქვეყანა - ლიეტუვა, ლატვია და ესტონეთი, რომლებიც 1940 წელს მოსკოვმა იძულების წესით შეიყვანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ (1991 წლის სექტემბერი) სწრაფ ხელახალ ვესტერნიზაციას განიცდიდნენ და 2004 წელს ისინი ევროკავშირს შეუერთდნენ. მათი მშპ 2004-2017 წლებში გაიზარდა 111%-ით.

ამავდროულად, ევროპულმა კავშირმა ყურადღება გამოიჩინა უფრო აღმოსავლეთით მდებარე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. 2009 წელს ექვსი მათგანისათვის (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა საქართველო, სომხეთი, უკრაინა) შეიქმნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა“ (EaP), როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) აღმოსავლეთის განზომილება, რომელიც დღემდე ვრძელდება.

ცენტრალური ევროპისა და ბალტიის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც არსებობდა საერთო პრო-დასავლური საზოგადოებრივი აზრი და პოლიტიკური ელიტების ძალისხმევაც ევროპული ინტეგრაციისაკენ იყო მიმართული, სამხრეთ კავკასიის სამ სახელმწიფოში

ანალოგიური სოლიდარული სულისკვეთება არ იგრძნობოდა. მათ საგარეო პოლიტიკაზე გავლენას ახდენს რეგიონსგარე ფაქტორებიც. მაგალითად, 2013 წლის სექტემბრამდე საქართველო და სომხეთი პარალელურ რეჟიმში მუშაობდნენ ევროპულ კავშირთან ღრმა და ყოველისმომცველი სავაჭრო შეთანხმების გასაფორმებლად, რაც ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთ-ერთ საწყის ნაბიჯს წარმოადგენდა. მაგრამ 2013 წელს მოსკოვმა იძულებული გახადა სომხეთი უარი ეთქვა ამ პოლიტიკაზე. აზერბაიჯანი კი თავიდანვე სკეპტიკურად იყო განწყობილი ევროპული ინტეგრაციის მიმართ.

საგარეო პოლიტიკური ვექტორების შეუთავსებლობა და გადაუწყვეტელი შიდა რეგიონული კონფლიქტები ხელს უშლის სამხრეთ კავკასიას მსოფლიოში წარმოდგინდეს, როგორც ერთიანი რეგიონი, რაც ართულებს მის ინტეგრაციას ევროპულ კავშირთან.

**საკვანძო სიტყვები:** სამხრეთ კავკასია, ცენტრალური ევროპა, ბალტიის ქვეყნები, ევროპული ინტეგრაცია, აღმოსავლეთ პარტნიორობა, ასოცირების ხელშეკრულება

## **ვალერიან მელიქიძე**

ასოცირებული პროფესორი

## **ვლადიმერ ჩხაიძე**

ასისტენტ-პროფესორი

## **სალომე კობაიძე**

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ათვისება ლურჯი ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით**

საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რესურსი შავი ზღვის სანაპირო ზონაა, რომლის განვითარება ლურჯი ეკონომიკის პრინციპებს უნდა დაეფუძნოს. ლურჯი ეკონომიკა საქართველოსთვის ახალი კონცეფციაა, რომელიც წარმოადგენს მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ მწვანე ეკონომიკის კონცეფციის გავრცობას ზღვების თუ ოკეანეების სანაპირო ზონებსა და აკვატორიაზე. ლურჯი ეკონომიკა არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებას და ეკოსისტემის მდგრადობის შენარჩუნებას გულისხმობს, მისი პრიორიტეტებია: მეთევზეობა, აკვაკულტურა, ზღვის სარეწი რესურსები, საზღვაო და სანაპირო ტურიზმი და საზღვაო ტრანსპორტი და გადაზიდვები.

ნაშრომის მიზანია, შეაფასოს საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ზღვისა და ხმელეთის ბიომრავალფეროვნება და ეკონომიკური განვითარების არსებული დონე ლურჯი ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია ერთი მხრივ, ევროკავშირის მიერ პრიორიტეტულად აღიარებული ლურჯი ეკონომიკის პრინციპების მნიშვნელობის გაცნობიერებით საქართველოსთვის და მეორე მხრივ, ამ კონცეფციის გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრით საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის და მასში შემავალი ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულების: ზუგდიდის, ხობის, ფოთის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ქობულეთის, ბათუმის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების დონეზე. საქართველოს სანაპირო ზონის განვითარება ლურჯი ეკონომიკის პრინციპების საფუძველზე უნდა გახდეს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი.

ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი, ზღვისა და ხმელეთის ბიომრავალფეროვნება, შეფასებულია ეკონომიკური განვითარების არსებული დონე და სამომავლო პერსპექტივები, საუბარია იმ ძირითადი ეკონომიკური საქმიანობის შესახებ, რომელიც ხორციელდება საზღვაო რეგიონებში. შეფასებულია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაზე არსებული ოთხი ძირითადი სექტორის: კერძო სექტორის, სახელმწიფო მართვაში ჩართული პირების, არასამთავრობო სექტორისა და საგანმანათლებლო/ექსპერტთა სექტორის მიერ ლურჯი ეკონომიკის პრინციპების ცოდნის, ამ ცოდნის გაზიარებისა და ლურჯი ეკონომიკის პრინციპების განხორციელების მზაობა.

კვლევაში გამოყენებულ იქნა რამდენიმე მეთოდის კომბინაცია. კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა. დოკუმენტების ანალიზის ფარგლებში გაანალიზდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემები, ბიზნესსუბიექტთა ბაზა, ხმელთაშუა და შავი ზღვის ქვეყნების საერთაშორისო კვლევები. მეორადი მონაცემების ანალიზის

საფუძველზე შემუშავდა ემპირიული კვლევის კითხვარი და განისაზღვრა კვლევის სამიზნე ჯგუფები: ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულები და ბიზნეს, სახელმწიფო, არასამთავრობო და სამეცნიერო/საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლები. ემპირიული კვლევა ჩატარდა 2018 წლის ივლის-აგვისტოს თვეში. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუებით გამოკითხულ იქნა 103 რესპონდენტი. გამოკითხვის ფარგლებში ვლინდებოდა ლურჯი ეკონომიკის შესახებ ინფორმირებულობა, ამ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა და სამომავლო პერსპექტივები. ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ ემსახურობდა ლურჯი ეკონომიკის შესახებ ინფორმირებული რესპონდენტების გამოვლენას, რომლებთანაც დამატებით ტარდებოდა სიღრმისეული ინტერვიუები.

**საკვანძო სიტყვები:** ლურჯი ეკონომიკა, ბიომრავალფეროვნება, დაცული ტერიტორიები, ბუნებრივი რესურსები, მარინლიტერი, ეკონომიკა, სანაპირო ზონა, სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვა

## მანანა შამილიშვილი

ასოცირებული პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **კარიკატურა, როგორც ნაციტური სარედაქციო პოლიტიკის ვიზუალიზების ხერხი და ანტიბოლშევიკური იდეოლოგიური იარაღი**

ჩვენ მიერ საკონფერენციოდ წარმოდგენილი მოხსენება მეტად აქტუალურ თემას ეძღვნება. მასში ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური კარიკატურის მნიშვნელობასა და მის პროპაგანდისტულ ფუნქციაზე. კარიკატურა დიდ როლს ასრულებს საზოგადოების ინფორმირებასა და აქტუალური სოციალურ - პოლიტიკური პრობლემების კრიტიკულ გააზრებაში. სატირული ნახატების იდეურ-პოლიტიკური მიზანდასახულობა ემოციურად წარმოაჩენს კონკრეტული ეპოქის სახეს. თვითგამოხატვის ეს ფორმა ავტორისათვის ეფექტური იარაღია თანადროულობის ნაკლოვანებათა გამოსააშკარავებლად. მან თითქმის დოკუმენტური წყაროს მნიშვნელობა შეიძინა ტოტალიტარული მმართველობის პირობებში, როცა ვიზუალური გზავნილით შესაძლებელი იყო სიმბოლურად, სარკასტულად, ზოგჯერ ენიგმურადაც თქმა იმისა, რაც სიტყვით იკრძალებოდა და ისჯებოდა.

შარჟულმა ენამ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას, როდესაც საბჭოთა სისტემის მიმართ კრიტიკულად განწყობილმა მხატვარმა მას რეჟიმის მამხილებლისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური იარაღის როლი დააკისრა. ამას ნათლად მოწმობს მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში ანტისაბჭოთა საქმიანობის ბრალდებით დაკავებულთა საქმეები, რომლებიც შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის - „ბოლშევიზმი და ქართული ლიტერატურა მეორე მსოფლიო ომიდან სკკპ მე-20 ყრილობამდე (1941-1956)“ - ფარგლებში შევისწავლეთ.

საქართველოს შსს არქივში მოძიებულ მასალაზე დაყრდნობით, წარმოვაჩინეთ იმ ქართველ კარიკატურისტთა საგაზეთო საქმიანობას, რომლებიც ბოლშევიკებისგან საქართველოს გასათავისუფლებლად ნაციტური გერმანიის მხარეს იბრძოდნენ. ბერლინში გამოშვებული ნაციტური გაზეთის, „საქართველოს“ ირგვლივ შემოკრებილი ქართველი პუბლიცისტებისა და ლეგიონერების ძალისხმევით ფართოდ გაიშალა ანტისტალინური კამპანია, რაც ნაციტური გერმანიის დახმარებით სამშობლოს ბოლშევიკური ტირანიისგან გაათავისუფლების მიზანს ისახავდა.

გაზეთ „საქართველოში“ დასტამბული ნიმუშების ანალიზზე დაყრდნობით, ნაშრომში წარმოვაჩინეთ ქართველ კარიკატურისტთა მამხილებელ ხელწერას. სარედაქციო პოლიტიკასთან მისადაგებული ვიზუალური მასალა, მიუხედავად გერმანული ნაციზმის აპოლოგიისა, სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის იდეით იყო აღბეჭდილი. ვიზუალური ნარატივით გაცხადებულ ამ პროპაგანდისტულ გზავნილებში ნათლად იკვეთებოდა სტალინური რეჟიმის მთელი სისასტიკე და მის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთება.

კვლევის თეორიულ ჩარჩოდ მოვიშველიეთ პრესის საბჭოთა-კომუნისტური კონცეფცია, ცნობილი ამერიკელი მედიაკვლევრების: ფრედერიკ ზიბერტის, თეოდორ პეტერსონისა და უილბერ შრამის „პრესის ოთხი თეორიიდან“; აგრეთვე - უილიამ ჰახტენის პრესის რევოლუციური კონცეფცია. კვლევის მეთოდად შევარჩიეთ კონტრაციული სემიოტიკური ანალიზი. ამ გზით უკეთ გამოიკვეთა არავერბალური სემიოტიკური სისტემის გამოყენების მიზანიც, რაც ვერბალური კოდით გადმოცემული გზავნილის გაძლიერებას ემსახურება. საბოლოო ჯამში, აღნიშნული მეთოდოლოგიით კარიკატურათა ალგორითული სიმართლის წაკითხვა შესაძლებლობას გვაძლევს, მკაფიოდ წარმოვადგინოთ ეპოქის სურათი, გამოვავლინოთ საბჭოთა რეჟიმის ძალმომრეობითი ხასიათი.

**საკვანძო სიტყვები:** კარიკატურა, ნაციტური გაზეთი „საქართველო“, ბოლშევიზმი, ანტისტალინური პროპაგანდა





## მარინა ბურძენიძე

ასოცირებული პროფესორი

## მარინე ქვეციშვილი

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ჟურნალისტიკის ტრანსფორმაცია ევროპის ქვეყნებში: პროფესიონალი ჟურნალისტების მოსაზრებები და აღქმები**

საკონფერენციო ნაშრომში განხილულია პროფესიონალი ჟურნალისტების მოსაზრებები და აღქმები ჟურნალისტიკაში მიმდინარე ტრანსფორმაციების შესახებ ევროპაში. მასში გადმოცემულია ჟურნალისტიკის მდგომარეობის გლობალური გაგება ეკონომიკური თუ პოლიტიკური ხასიათის გავლენებისა და ცვლილებების პერიოდში.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება საერთაშორისო შედარებითი კვლევის მონაცემებს, რომელიც 2012–2016 წლებში ჟურნალისტიკის მდგომარეობის შესწავლის მიზნით მსოფლიოს 67 ქვეყანაში ჩატარდა. აღნიშნული კვლევა განხორციელდა პროექტის „ჟურნალისტიკის კვლევის (შესწავლის) სამყარო“ (Worlds of Journalism Study) ფარგლებში. იგი რეგულარულად იკვლევს ამ დარგს იმ მიზნით, რომ ნათელყოს გლობალური ჟურნალისტიკის მდგომარეობა. პროექტი წარმოადგენს მონაცემების, ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლის პლატფორმას, რომელშიც გადმოცემულია ჟურნალისტების მიერ თავიანთი მოვალეობების აღქმის ანალიზი.

პროექტის ფარგლებში საერთო მეთოდოლოგიური ბაზის საფუძველზე მსოფლიოს მასშტაბით 27,500 ჟურნალისტი გამოიკითხა. შერჩევის მეთოდად განისაზღვრა სტრატეგიული სისტემატური შერჩევა.

კვლევის მონაცემებში ასახულია პროფესიონალი ჟურნალისტების შეხედულებები თავიანთი პროფესიისა და საქმიანობის, საზოგადოებაში ჟურნალისტიკის როლის, ჟურნალისტური ეთიკის, ავტონომიის, საჯარო ინსტიტუციების მიმართ ნდობის, ჟურნალისტიკის ტრანსფორმაციისა და სხვა საკითხების შესახებ.

ნაშრომში ჩვენი ყურადღების კონცენტრირება მოხდა კონკრეტულად ჟურნალისტიკის ტრანსფორმაციისა და გავლენაზე ევროპის ქვეყნებში. შესაბამისად, ამ საკითხების შესწავლა განხორციელდა საერთაშორისო შედარებითი კვლევის მონაცემების მეორადი ანალიზის საფუძველზე. ჩვენ მიერ გაანალიზდა რაოდენობრივი კვლევის აგრეგირებული მონაცემები დასავლეთ ევროპის 18 და აღმოსავლეთ ევროპის 12 ქვეყნის მაგალითზე, რომელიც ევროპელი ჟურნალისტების პროფესიონალურ ორიენტაციებს შეისწავლიდა.

შედეგებში აისახა ის მსგავსებები და განსხვავებები, რაც მონაცემთა ანალიზის დროს გამოიკვეთა. ეს, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა, პრინციპულად ახლებურად გავიაზროთ ის სირთულეები, რომლებსაც მსოფლიოს მასშტაბით ჟურნალისტები აწყდებიან თავიანთი ვალდებულებების შესრულების პროცესში.

რესპონდენტთა უმრავლესობამ აღნიშნა გავლენების ზრდა და გაძლიერება, რაც ცვლილებებმა გამოიწვია და უკავშირდება მოგებას, სარეკლამო ხედვებს, სოციალურ მედიას და ა.შ. მხოლოდ ჟურნალისტურ განათლებას არ განუცდია გავლენის გაძლიერება, პირიქით, ამ პარამეტრით მისი შესუსტების ტენდენცია გამოვლინდა. საინტერესოა ევროპის ქვეყნების ჟურნალისტების შეფასებები ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ტექნიკური და საძიებო სისტემების გამოყენების უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით, რამაც, მათი აზრით, გარკვეული ცვლილებები განიცადა. ჟურნალისტებისთვის

მნიშვნელოვან გამოწვევად ითვლება ახალი ამბების წარმოებაში აუდიტორიასთან ურთიერთობა.

პროექტის - „ჟურნალისტიკის კვლევის სამყარო“- მეორადი მონაცემების ანალიზი – დაგვეხმარება, უკეთ გავვცნოთ ევროპელი პროფესიონალი ჟურნალისტების მიერ აღქმულ ევროპის ქვეყნების ჟურნალისტიკაში მიმდინარე ცვლილებებსა და ტრანსფორმაციებს. ამ კვლევაში წარმოდგენილი განსხვავებები ეხება ეროვნული ჟურნალისტიკის კულტურის თავისებურებებს. კვლევის მონაცემები გვიჩვენებს ჟურნალისტიკის კულტურათა შორის გარკვეული მსგავსების არსებობას, თუმცა სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, ტექნოლოგიური და ისტორიული ფაქტორები განაპირობებს ჟურნალისტური კულტურის მრავალფეროვან არსებობას მთელს მსოფლიოში (Hanusch and Hanitzsch 2017).

**საკვანძო სიტყვები:** ჟურნალისტიკის კვლევის სამყარო, ჟურნალისტიკის ტრანსფორმაცია, გავლენები, შედარებითი ანალიზი, მონაცემების მეორადი ანალიზი

## **ნინო პოპიაშვილი**

დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ლიტერატურული ტექსტი, როგორც სივრცე ინტერკულტურალობისა და მიგრაციული პროცესების კონტექსტში**

ინტერკულტურალობის თეორია მოიცავს პოლიტიკის, ეკონომიკის, განათლების, ასევე, მეცნიერების დარგებს. მათ შორის, სოციოლოგიის, ხელოვნების, ლიტერატურის საკითხებს. იგი ასახავს განსხვავებული კულტურების ურთიერთობებს, გავლენებსა და იდენტობის ასპექტებს. ინტერკულტურალობა შესაძლებელია წარმოადგენდეს როგორც კულტურათა მშვიდობიან თანამყოფობას, ისე კონფლიქტებსა და კულტურული განსხვავებულობის ფიქსირებას.

გლობალიზაციური და მიგრაციული პროცესების კონტექსტში კულტურათაშორისი ურთიერთობები განსაკუთრებულად ინტენსიური გახდა. კულტურულ მრავალფეროვნებასთან ერთად, კულტურული განსხვავებები ქმნიან მნიშვნელოვან ინტერკულტურულ ერთობას, რომელის სხვადასხვა სფეროში ვლინდება.

ლიტერატურული ტექსტი, როგორც სივრცე, ასახავს იმ მნიშვნელოვან პროცესებს, რაც ავტორის ირგვლივ გლობალურად და ლოკალურად მიმდინარეობს. ინტერკულტურული ლიტერატურა, როგორც ფენომენი, საუკუნეების განმავლობაში არსებობდა, თუმცა უკანასკნელ ათწლეულებში აღნიშნულმა მიმართულებამ განსაკუთრებული დანიშნულება შეიძინა. ინტერკულტურული ლიტერატურა წარმოადგენს ლიტერატურულ ტექსტებს, რომელთა ავტორები რამდენიმე კულტურის გავლენით წერენ. ამავე ტერმინით აღინიშნება

აგრეთვე კულტურათა სინთეზი და მისი რეპრეზენტაცია ლიტერატურულ ტექსტში.

ინტერკულტურალობის კვლევა თანამედროვე მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკვანძო საკითხია. ამ მხრივ აღსანიშნავია უნგრული წარმოშობის გერმანელი მეცნიერის, ქსაბა ფოლდესისა და გერმანელ-ირანელი ფილოსოფოსისა და კულტურის მკვლევრის, ჰამიდ რეზე იუსეფის მოსაზრებები ინტერკულტურალობასთან დაკავშირებით. კერძოდ, კულტურა აღინიშნება, როგორც პროგრამა, რომელიც იდენტობასთან ერთობლიობაში ერთ-ერთი ძირითადი აქტორია. ინტერკულტურალობა კი, გაანალიზებულია, როგორც გლობალიზაციისა და ელექტრონული ეპოქის ცვლილებების რეაქცია და შედეგი. განიხილება კულტურის, როგორც მაგალითის საკითხი; საკუთარი კულტურისა და უცხო კულტურის კავშირში, საერთო კულტურის ეგზისტენციის პრობლემა. ინტერკულტურალობის კვლევისას იკვეთება როგორც ზოგადადამიანური ღირებულებების არსებობის საკითხი, რომელზეც დაფუძნებულია საერთო ღირებულებები, ისე კულტურული განსხვავებულობები, კულტურათა მიუღებლობა, რაც ქმნის კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს. ამ ტერმინით აღინიშნება აგრეთვე კულტურათა სინთეზი. ინტერკულტურული ლიტერატურა არის ნაციონალური ლიტერატურული პროცესის ნაწილი, სადაც მძაფრად აისახება იდენტობის საკითხები, მათ შორის, ნაციონალური ან კულტურული უმცირესობების იდენტობის საკითხები. ინტერკულტურულ/მულტიკულტურულ ლიტერატურაში მძაფრად გამოიხატება „თავისისა“ და „სხვისი“ იმაგოლოგიური ასპექტები.

უნგრული წარმოშობის გერმანელი მეცნიერი, ერფურტის უნივერსიტეტის პროფესორი, ქსაბა ფოლდერსი (დაბ. 1958), ინტერკულტურალობას აღწერს, როგორც ფენომენს, რომელსაც გააჩნია თავისი ობიექტი და კულტურების შეხვედრებისა და

შესაძლებლობების რეფლექსირებისა და კულტურული რეაქციების ინტერაქციების შედეგად აყალიბებს „მესამეს“, რომელიც ანგარიშგასაწვევი აქტორია.

გერმანელ-ირანელი ფილოსოფოსი და კულტურის მკვლევარი, ჰამიდ რეზე იუსეფი (დაბად. 1967) თავის ნაშრომში: „ინტერკულტურალობა და ინტერკულტურალობის ისტორია“ განახილავს ისტორიულ, სისტემატიზებულსა და შედარებით ინტერკულტურალობას. აღნიშნული პრეპეტივიდან კი აყალიბებს ინტერკულტურალობის ფილოსოფიას.

მოსხენებაში ვისაუბრებთ ინტერკულტურალობისა და მიგრაციული პროცესების რეპრეზენტაციაზე ლიტერატურულ ტექსტებში. განვიხილავთ თანამედროვე ქართველი ავტორების მიგრაციულ გამოცდილებას ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით.

**საკვანძო სიტყვები:** ინტერკულტურალობის თეორია, გლობალიზაცია, მიგრაცია, ლიტერატურული ტექსტი

## **ნათელა დონაძე**

ასოცირებული პროფესორი

## **მარეს დევიძე**

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **გლობალიზაცია და ტრადიციები სტუდენტურ ფოკუსში**

XXI საუკუნე გლობალიზაციის გავრცელებისა და დამკვიდრების ეპოქაა. საქართველო თანდათან და თანამიმდევრულად ერთვება მსოფლიოს გლობალურ მოვლენებსა და პროცესებში. გლობალიზაციის შედეგად ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულმა სოციალურმა, ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა, კულტურულმა და სხვა ცვლილებებმა შეცვალა ქართული საზოგადოების არა მარტო მატერიალური და სულიერი ცხოვრება, არამედ ჩვენი მოქალაქეების ცნობიერებაც.

გლობალიზაცია ყველაზე მეტად შეეხო კულტურას. საზოგადოებები განსხვავდებიან კულტურის გარკვეული ფორმებითა და ელემენტებით, რომლებიც გამოირჩევიან თვითმყოფადობითა და სპეციფიკურობით. კულტურა ცვლილებებისა და განვითარების უნარით ხასიათდება. ამასთანავე, იგი ინარჩუნებს თავის თავისებურებებს. მისთვის დამახასიათებელია სოციალური იმუნიტეტი, რომლის მეშვეობითაც ის მეტ-ნაკლებად ეწინააღმდეგება ინოვაციებს.

ჩვენი მიზანია, განვიხილოთ გლობალიზაციის გავლენა კულტურაზე, კერძოდ, ტრადიციებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ერის იდენტობას. ტრადიციები თაობიდან თაობას გადაეცემა სოციალიზაციის გზით. ისინი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინდივიდის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში. ტრადიციები განსაზღვრავენ ადამიანთა

გარკვეული ერთობების, ჯგუფების მოქმედებასა და ურთიერთქმედებას, ინდივიდების აზროვნებასა და ქმედებას. მათ ახასიათებთ შენარჩუნებისა და მდგრადობის, მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის ტენდენციები. ტრადიციები სოციალური ნორმების შემადგენელი ნაწილია. თავის მხრივ, სოციალური ნორმა არის ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში ინდივიდების მოსალოდნელი ქცევის აუცილებელი, განმსაზღვრელი სტანდარტი. სოციალური ნორმები განაპირობებს საზოგადოების წევრთა ცხოვრების წესს. სოციალიზაციის პროცესში ინდივიდები ეზიარებიან, სწავლობენ და ითავისებენ მათი სოციალური ჯგუფებისა და კულტურის ნორმებს. სხვადასხვა საზოგადოება სხვადასხვანაირად განსაზღვრავს მისი წევრების პროსკრიპტულ და პრესკრიპტულ ნორმებს.

განსაკუთრებით საინტერესოა, შევისწავლოთ თანამედროვე სტუდენტობის, საზოგადოების ყველაზე დინამიური და პროგრესული ნაწილის, დამოკიდებულებები იმ გავლენის მიმართ, რომელსაც გლობალიზაცია ახდენს ტრადიციებზე.

აღნიშნული საკითხის გასაანალიზებლად ვეყრდნობით ჩვენ მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების (2010 წელსა და 2019 წელს) მონაცემებს.

როგორც ორივე კვლევამ გვიჩვენა, გამოკითხულ სტუდენტთა შეხედულებით, თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები განპირობებულია გლობალიზაციით, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტს, ყველა სეგმენტს შეეხო. ის გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტის ცვლილებაზე და განვითარებაზე. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია. მისი გავლენის შემდეგ იცვლება ქართული კულტურის გარკვეული ელემენტები, მაგ., ტრადიციები, ღირებულებები, ქცევის ნორმები, შეხედულებები და სხვ.,



და ეს ბუნებრივია, რადგან ყოველი ეპოქისთვის დამახასიათებელია განსხვავებული ტრადიციები, ჩვევები, ადათ-წესები და სხვ..

კვლევების შედეგების ანალიზმა გვიჩვენა აღნიშნული საკითხის შესახებ სტუდენტთა შეხედულებების მრავალფეროვნება.

სტუდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ტრადიციების არსი, ძირითადი დანიშნულება და მიზანია ერის იდენტობის შენარჩუნება. მათ, ძირითადად, განგრძობითი ხასიათი აქვთ. ისინი, როგორც წესი, საუკუნეებს უძღვებიან. სტუდენტების აზრით, ისეთი მცირერიცხოვანი ერისთვის, როგორიც ქართველები არიან, ტრადიციებს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ისინი საზოგადოების მთლიანობას განაპირობებენ. სტუდენტები ხაზგასმით მიუთითებენ ტრადიციებისადმი თავიანთ სიყვარულსა და პატივისცემაზე.

ზოგიერთი სტუდენტი აღნიშნავს, რომ საჭიროა საუკუნოვანი ტრადიციების შენარჩუნება. ამავდროულად, საზოგადოებამ ფეხი უნდა აუწყოს გლობალიზაციას და ჩამოაყალიბოს თანამედროვეობის შესაბამისი ტრადიციები. თუმცა, მათი აზრით, ტრადიციების ცვლილებისათვის საჭიროა დიდი დრო, თაობათა ცვლა.

გამოკითხულ სტუდენტთა გარკვეული ნაწილი პროტესტს გამოთქვამს ტრადიციების ცვლილებასთან დაკავშირებით. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ გლობალიზაცია არის ქვეყნებს, ჯგუფებსა და ადამიანებს შორის კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური განსხვავებების წაშლის პროცესი. მათ ეშინიათ, რომ ქართული კულტურა დაკარგავს თავის თვითმყოფადობასა და უნიკალურობას. ისინი უარყოფითად აფასებენ გლობალიზაციის გავლენას კულტურაზე, კერძოდ, ტრადიციებზე.

სტუდენტთა მცირე ნაწილი დადებითად აფასებს გლობალიზაციის გავლენას კულტურის განვითარებაზე და აღნიშნავს, რომ ტრადიციები

ზღუდავს ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების თავისუფლებას, გარკვეულ ჩარჩოებში სვამს მათ. მათი აზრით, ტრადიციებისადმი ბრმა თაყვანისცემა იწვევს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შეფერხებას.

გამოკვლევების შედარებამ გვიჩვენა, რომ ტრადიციებზე გლობალიზაციის გავლენის მიმართ სტუდენტთა დამოკიდებულებები თითქმის იდენტურია.

აღსანიშნავია, რომ ცხოვრების სწრაფმა ტემპმა დაახქარა ახალგაზრდების არა მარტო ბიოლოგიური, არამედ ინტელექტუალური განვითარება, აგრეთვე, მათი ინტეგრირება გლობალურ სამყაროში. გლობალიზაცია ხდება სტუდენტთა ღირებულებების, ინტერესებისა და შეხედულებების ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის საფუძველი.

**საკვანძო სიტყვები:** გლობალიზაცია, ტრადიცია, დამოკიდებულებები, სტუდენტები

## **ხოსე ვარგას-ჰერნანდესი**

მკვლევარი პროფესორი  
გვადალახარას უნივერსიტეტი, მექსიკა

### **ადგილობრივი ხელისუფლების დემოკრატიული დეცენტრალიზაციის ინსტიტუციური დიზაინის კრიტიკული ანალიზი საზოგადოებრივ სფეროებსა და ურბანულ სივრცეებში**

ნაშრომის მიზანია წარმოადგინოს საზოგადოებრივი სფეროსა და ურბანული სივრცეების დემოკრატიული პროცესების ინსტიტუციურ დიზაინზე დაფუძნებული კრიტიკული ანალიზი ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების ფარგლებში. მიდგომა შედგება თეორიული კონსტრუქციისგან, სადაც განხილულია საზოგადოებრივ სფეროებსა და ურბანულ სივრცეებში ადგილობრივი მთავრობების გაძლიერებაში სახელმწიფოს, ეკონომიკის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის როლის მნიშვნელობა. ეს კრიტიკული ანალიზი დამყარებულია ახალი მემარცხენეების მიერ შემუშავებულ თეორიული მიდგომის პოლიტიკური იდეოლოგიაზე, მაკრო ინსტიტუციურ დიზაინზე, პოლიტიკური ლიდერობასა და ძალაუფლებაზე. მას ასევე აქვს პრეტენზია, განავითაროს დემოკრატიული დეცენტრალიზაციისა და საზოგადოებრივ სფეროებსა და ურბანულ სივრცეებში ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერებაში სახელმწიფოს, ეკონომიკის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის როლის შესახებ მიმდინარე დებატები.

დემოკრატიული დელიბერაციის ანალიზი მოითხოვს ახალ დემოკრატიულ სივრცეებში პოლიტიკური დებატების სოციალური და კულტურული განზომილებების გაგებას. პოლიტიკური დელიბერაციის ახალი დემოკრატიული სივრცე, რომლებიც ყოველთვის არ არის რაციონალური, არის არეალი, სადაც მეტი ადგილი ეთმობა პოლიტიკური აქტივიზმის მრავალფეროვან გამოხატვას და კავშირების შექმნას. დემოკრატიის დაცვის მთავარი საკითხი არის დაპირისპირება,

რომელიც უნდა გამოავლინონ და არ დათრგუნონ განსხვავებულმა პოლიტიკურმა აქტორებმა. ურბანული დემოკრატია შეიძლება გამოხატოთ როგორც ქალაქების დემოკრატიის ურბანული მასშტაბი, სადაც ადგილი აქვს უფრო რადიკალურ პრაქტიკებს და იქმნება ნეოლიბერალური დღის წესრიგის შესაბამისი უფრო დემოკრატიული საზოგადოება. ურბანულ დასახლებებში დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღებამ, როგორც ქალაქზე უფლების ქონამ, ხელი უნდა შეუწყოს ურბანული სივრცის კვლავწარმოქმნას, რითაც იგი განსხვავდება ლიბერალური დემოკრატიის სახელმწიფოში დემოკრატიული უფლებების მიღებისაგან. ლოკალურ ურბანული სივრცის ადგილობრივი სამეზობლოს მხრიდან კონტროლი და მის მომავალზე გადაწყვეტილებების მიღება უფრო დემოკრატიულია, ვიდრე ქალაქის მმართველი მოხელეების მიერ განხორციელებული კონტროლი, რომელსაც შეიძლება არც ჰქონდეს დემოკრატიული შედეგები.

ურბანულ სივრცეებში გამოხატვის ხელოვნებამ შეიძლება ხელი შეუწყოს უფრო დემოკრატიული ქალაქის შექმნას, როგორც ეს ახასიათებდა ანტიკური ათენის ურბანულ სივრცეებს და ქალაქის მოედნებს, სადაც თეატრი და ხელოვნების სხვა სახეები იყო წარმოდგენილი. მოდერნული და პოსტმოდერნული ურბანული სივრცეების განმასხვავებელი უნდა იყოს როგორ ვთქვათ უარი ანტიდემოკრატიულ პრაქტიკებზე და როგორ ავაშენოთ უფრო დემოკრატიული და სოციალური მწვანე სივრცეები, სადაც ადამიანები შეხვდებიან, ექნებათ თვითგამოხატვის მეტი თავისუფლება და უფრო მეტად ჩაერთვებიან გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული დელიბერაციის პროცესში.

**საკვანძო სიტყვები:** დემოკრატიული დეცენტრალიზაცია, ინსტიტუციონალური დიზაინი, ადგილობრივი ხელისუფლება, საჯარო სივრცე, ურბანული საჯარო სივრცე

## **დოდან ნადი ლებლებიჯი**

პაჯეტეპეს უნივერსიტეტი, თურქეთი

## **ჯენაი ბაბაოგლუ**

ნილდეს ომარ ჰალისდემირის უნივერსიტეტი, თურქეთი

### **ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერაქცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ არსებულ პოლიტიკაზე ანკარაში**

არსებობს მრავალი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობას სამოქალაქო პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესში, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებში. მრავალი ქვეყანა და ორგანიზაცია, მათ შორის ევროკავშირი, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია ცდილობს სხვა საკითხებთან შედარებით უფრო ეფექტიანად და ფართოდ ითანამშრომლოს სამოქალაქო საზოგადოების აქტორებთან შეზღუდული შესაძლებლობების პირთა მიმართ არსებულ პოლიტიკაზე. თურქეთის შემთხვევაც მსგავსია. უფრო მეტიც, საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობა ხელს უწყობს თურქეთში ფართო და ეფექტიანი მონაწილეობის პროცესს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობის პლატფორმები შემუშავებულია იმ მიდგომის მიხედვით, რომ ურბანული სივრცეები ტრანსფორმირდეს მათთვის მისაღებ გარემოდ. ამის მიღწევა კი შესაძლებელი იქნება მხოლოდ მათივე ჩართულობით პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. მსგავს საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ

ეფექტიანი ზეგავლენა მოახდინონ შესაბამის პოლიტიკურ ჯგუფებზე, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე.

კვლევის უპირველესი მიზანია შეისწავლოს არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა მთავრობის პოლიტიკაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ურბანულ სივრცეებში. თეორიულმა დისკუსიებმა აჩვენა, რომ საჯარო პოლიტიკა ჩამოყალიბებულია საზოგადოების სხვადასხვა აქტორის ჩართულობით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ არსებული პოლიტიკაც შექმნილი და განხორციელებულია ამ აქტორების მიერ, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერაც. კვლევაში არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენის შესაფასებლად ანკარის პროვინციის ურბანული სივრცე შეირჩა. მათი ჩართულობა შეფასდა მონაწილეობის მექანიზმების მიხედვით საკანონმდებლო და ინსტიტუციურ კონტექსტში. კვლევა მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ არსებული პოლიტიკის შეფასებას და აანალიზებს აქტორთა დამოკიდებულებებს საჯარო პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესის მიმართ. ამ კონტექსტში ინტერვიუები ჩატარდა მერიის და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შედეგებმა ცხადჰყო, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ გარკვეული პრობლემები ჩართულობის მხრივ. კვლევაში წარმოდგენილია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ პოლიტიკის ჩამოყალიბებაში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის უკეთესი მოდელი.

**საკვანძო სიტყვები:** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ არსებული პოლიტიკა, სამოქალაქო საზოგადოება, არასამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო პოლიტიკის ანალიზი, ჩართულობა

## მარიამ გერსამია

პროფესორი

## მაია ტორაძე

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **მედიაფსიქოლოგია: კომპეტენციებზე დაფუძნებული კურიკულუმი და დასაქმება**

კვლევის მიზანია მედიაფსიქოლოგიის სფეროში იმ მთავარი კომპეტენციების იდენტიფიცირება, რომლებსაც ყურადღება ექცევა დასაქმებისას. კვლევა საყურადღებოა ინტერდისციპლინური, კომპეტენციებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო პროგრამების დასახეწად.

კვლევა პასუხს სცემს შემდეგ კითხვებს:

1. რა არის ის მთავარი კომპეტენციები, რომელიც უნდა ჰქონდეს თანამედროვე მედიაფსიქოლოგს?
2. რა კრიტერიუმებზე დაყრდნობით (მო)ხდება მედიაფსიქოლოგების დასაქმება საქართველოში?

კვლევითი ინსტრუმენტის შემუშავების შემდეგ, 2018 წელს, გამოიკითხა 35 ორგანიზაციის წარმომადგენელი (სამთავრობო და არასამთავრობო, მედიის სექტორიდან, კვლევითი და მარკეტინგის ორგანიზაციებიდან).

ძირითადი მიგნებების თანახმად, დამსაქმებელთა 71%-ს არ ჰყავს დასაქმებულთა შორის მედიაფსიქოლოგი, ხოლო 45% ისურვებდა ამ კომპეტენციის სპეციალისტის დასაქმებას; მიუხედავად იმისა, რომ მედიაფსიქოლოგების შესახებ საკმაოდ დაბალი ცნობიერებაა,

დამსაქმებელთან 75% მზადაა საცდელი პერიოდით დაასაქმოს ისინი. რესპონდენტების უმეტესობა (82%) პასუხობს, რომ, მაგალითად, ჟურნალისტებისთვის ფსიქოლოგიაზე აქცენტირებული ცოდნა და უნარები არის ძალიან მნიშვნელოვანი (61%) ან მნიშვნელოვანი (21%); 88% მიიჩნევს, რომ დასაქმებულს უნდა ჰქონდეს კარგი წარმოდგენა მედიაპროდუქტის (ტელე-რადიო, ბეჭდური და ონლაინ) პოზიტიურ და ნეგატიურ ფენომენზე, უნდა იყოს ეთიკური (შეამციროს სტიგმატიზაციისა და სტერეოტიპების გავლენა, არ გამოიყენოს სიძულვილის ენა და სხვ.); დასაქმებულმა უნდა იცოდეს, თუ როგორ მუშაობს ყალბი, მიკერძოებული ახალი ამბები, რა ზეგავლენას ახდენს პროპაგანდა ადამიანების გონებაზე და მათ მიერ რეალობის აღქმაზე.

კვლევამ გამოკვეთა მთავარი კომპეტენციები, რომელიც საგულისხმოა მედიაფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწისთვის.

მედიაფსიქოლოგია ახალი დარგია საქართველოში, რომელიც ვითარდება ინტერდისციპლინურ კონტექსტში. სფეროს განვითარების უნიკალურ კონტექსტს ქმნის რეგიონის მედიაგარემო: ქართული მედია, რომელიც გადაურჩა საბჭოთა პროპაგანდას, ამჟამად ანტიდასავლურ პროპაგანდას ებრძვის და ე.წ. ჰიბრიდული ომის პირობებში ცდილობს მედიაგარემოს დემოკრატიზაციას.

**საკვანძო სიტყვები:** მედიაფსიქოლოგია, განათლება, დასაქმება



## ჰუმბერტ კოტარსკი

ასისტენტ-პროფესორი

ჟეშოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი

### **სტუდენტთა ცხოვრება და პროფესიული მისწრაფებები, როგორც პოლონეთისა და უკრაინის ევროინტეგრაციის ფაქტორი, ქალაქში ცხოვრების ხარისხის კვლევის მაგალითზე**

პოსტმოდერნულ მსოფლიოში, რომელიც ასევე ცნობილია პოსტმოდერნიზმის სახელით, ჩვენ ვხედავთ ცვლილებებს არა მარტო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, არამედ კულტურულ სფეროშიც. სოციალური მეცნიერების ინტერესი ახალგაზრდული მისწრაფებების მიმართ სოციალურად გამართლებულია. სოციალური განვითარებისათვის საჭიროა ახალგაზრდა თაობის პიროვნული ფორმირება, მათი ღირებულებების, საჭიროებებისა და მისწრაფებების გარკვევა. სოციალური მეცნიერება ცხოვრებისეულ მისწრაფებებს განსაზღვრავს, როგორც კონკრეტული ინდივიდის მისწრაფებებს, ზრახვებს, საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც განსაზღვრავს ამ ინდივიდის ქცევასა და გეგმებს, ასევე, გააღწეას ახდენს ცხოვრების დაგეგმილ წესზე. ცხოვრებისეული მისწრაფებები ასევე დაკავშირებულია ინდივიდის ღირებულებებთან. ახალგაზრდების ცხოვრებისეული მისწრაფებების შესწავლა განსაკუთრებული სოციალური მნიშვნელობის საკითხია და დინამიურობის გამო მუდმივად უნდა ახლდებოდეს, რადგან მუდმივი ცვლილებების პირობებში ისინი განიცდიან მოდიფიკაციას. პოლონეთი და უკრაინა მეზობელი ქვეყნებია. ჟეშოვი და ლვოვი კი არიან პარტნიორი საუნივერსიტეტო ქალაქები. კვლევის მთავარი მიზანი იყო ჟეშოვისა და ი. ფრანკოს სახელობის ლვოვის უნივერსიტეტების სტუდენტების აზრის გაგება ჟეშოვსა და ლვოვში ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე. ასევე, ცხოვრებისეული და პროფესიული მისწრაფებების გარკვევა პოლონეთსა და უკრაინაში. კვლევის მიზანი

არის როგორც შემეცნებითი, ისე პრაქტიკული შედეგების მიღება. ერთი მხრივ, ფოკუსი გაკეთდა ქალაქში ცხოვრების ხარისხსა და ახალგაზრდების მისწრაფებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე, მეორე მხრივ კი მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამ ორი უნივერსიტეტისა და ქალაქის მესვეურებს მიეცათ საშუალება გამოიყენონ ამ ქალაქების ახალგაზრდა მაცხოვრებლების უდიდესი პოტენციალი. ევროინტეგრაციის კონტექსტში ქალაქში ცხოვრების ხარისხთან და სტუდენტთა მისწრაფებებთან დაკავშირებული ვრცელი კვლევა ბიძგს აძლევს რამდენიმე ვიწრო საკვლევ საკითხს: 1) საცხოვრებელი პირობებით კმაყოფილების დონე ევროსა და ლვოვში და ქალაქში ცხოვრების ხარისხის დეტალური ასპექტები (კომუნიკაციები, უსაფრთხოება, უძრავი ქონების ბაზარი, კულტურა, რეკრეაცია, შრომის ბაზარი სტუდენტებისთვის და ა.შ.); 2) თავისუფალი დროის გატარების გზები; 3) სტუდენტების სოციალური და კულტურული კაპიტალი; 4) სტუდენტთა ცხოვრებისეული მისწრაფებები და ღირებულებების სისტემა; 5) ევროინტეგრაციასთან მიმართებაში პროფესიული მისწრაფებები, სამეიგრაციო გეგმები და სხვა.

**საკვანძო სიტყვები:** ცხოვრებისეული მისწრაფებები, სტუდენტები, ცხოვრების ხარისხი, სოციალური კაპიტალი, ახალგაზრდობა

## მაგდალენა პოკრევივა

ასისტენტ-პროფესორი

უმეოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი

### ქალები და მამაკაცები პოლონეთის სოციალური დახმარების სისტემაში

პოლონეთში სიღარიბე კომპლექსური და მრავალმხრივი ფენომენია. მაშინ, როცა შეზღუდული შემოსავალი არაა საკმარისი ოჯახის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ოჯახის წარმომადგენელს (ან მარტოხელა ადამიანს) შეუძლია მიმართოს სოციალური დახმარების ორგანიზაციებს. ამ ორგანიზაციებში მას შეუძლია მოითხოვოს სხვადასხვა სახის დახმარება, რომელიც მას ან მის ოჯახს დაეხმარება რთული მდგომარეობის დაძლევაში. დახმარების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მხრივ ბენეფიციარს ადამიანური ღირსების შესაბამისი სოციალური ფუნქციონირების საშუალება მიეცეს და მეორე მხრივ, ისეთი პირობები შეიქმნას, რომ ოჯახს (ან ინდივიდს) მომავალში აღარ დასჭირდეს მსგავსი დახმარების გაწევა. მოხსენების მიზანია პოლონეთის სოციალური დახმარების სისტემაში ქალთა და მამაკაცთა მდგომარეობის გადმოცემა. პოლონეთში სოციალურ მუშაკთა უმრავლესობა ქალია. სოციალური მუშაკის პროფესია უდავოდ ქალთა პროფესიად მიიჩნევა. თვალსაჩინოა ამ პროფესიის ფემინიზაციის უარყოფითი მხარეები, კერძოდ - დაბალი შეფასება და მამაკაცის პროფესიებად მიჩნეულ სამსახურებთან შედარებით დაბალი ანაზღაურება. მოხსენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მოქმედი მამაკაცი სოციალური მუშაკების წარმოდგენა ფემინიზირებულ სამუშაო გარემოში და იმის განსაზღვრა, ახდენს თუ არა სქესი გავლენას სოციალური მუშაკის ქცევაზე სოციალურად დაუცველ კლიენტებთან, ზედამხედველებთან და თანამშრომლებთან. სოციალური კეთილდღეობის სხვადასხვა პოლონური ცენტრის მიერ შეგროვებული სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ სოციალური

დახმარება დიდადაა განსაზღვრული სქესის მიხედვით. პოლონეთში სოციალური დახმარების მოხონველთა 80% ქალია და როგორც წესი, ესენი არიან არა მარტოხელა დედები, არამედ სრული ოჯახის წარმომადგენლები. ზოგიერთი სოციალური მუშაკის თქმით, ეს გამოწვეულია იმით, რომ სოციალური დახმარების მიმდები ოჯახები ხშირად წარმოადგენენ ტრადიციული ტიპის ოჯახებს, სადაც ფუნქციები, ძირითადად, სქესის მიხედვით ნაწილდება. კაცები თავს არიდებენ სოციალური კეთილდღეობის ინსტიტუტებთან ურთიერთობას და მხოლოდ იმ შემთხვევაში ითხოვენ დახმარებას, თუ მარტოხელები არიან. პრობლემები, რომლებსაც ქალები და მამაკაცები ასახელებენ, ასევე განსხვავდება სქესის მიხედვით. პრეზენტაცია დაფუძნებულია ემპირიულ კვლევაზე, რომლის თვისებრივი ნაწილი მოიცავს 90 სიღრმისეულ ინტერვიუს, ხოლო რაოდენობრივი - 500 სატელეფონო ინტერვიუს. კვლევა განხორციელდა სოციალურ მუშაკთა მიერ მთელი პოლონეთის მასშტაბით.

**საკვანძო სიტყვები:** სოციალური დახმარების სისტემა, სოციალური კეთილდღეობის ინსტიტუტები, სოციალური დახმარების ინსტიტუტები, ოჯახის სოციალური დახმარება

## **დღრთოთა რინკოვსკა**

ასისტენტ-პროფესორი

უმოვის უნივერსიტეტი, პოლონეთი

### **პოლონეთის წითელი ჯვრის, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის როლი სოციალურ სექტორში**

თანამედროვე სამყაროსთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ფენომენია არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელობის ზრდაა. განვითარებული კაპიტალისტური საზოგადოებების შემთხვევაში, სადაც ეს ორგანიზაციები სოციალური ინსტიტუციური სივრცის მუდმივი და მნიშვნელოვანი ელემენტია, არასამთავრობო სექტორი ორიენტირდება სოციო-ეკონომიკურ საკითხებზე, მაშინ, როცა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მესამე სექტორს ადებული აქვს სრულიად განსხვავებული მიმართულება, რომელთანაც დაკავშირებულია სამოქალაქო საზოგადოების განვითარების იმედები.

არასამთავრობო ორგანიზაციების დაარსება, განვითარება და აქტიურობა უნდა განიხილებოდეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელად. ამ ტიპის ორგანიზაციები არის სახელმწიფო და საბაზრო ინსტიტუციების მესამე ტიპი, რომლებიც მიმართულია სოციალური მომსახურების სფეროს საზოგადო საჭიროებებზე. თითოეულ შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოდგენილი არიან სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილად. ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის შექმნაში საზოგადოებრივი სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა არის სამოქალაქო საზოგადოების ელემენტი.

ათეულ წელზე მეტია პოლონეთი ახალი სოციალური რეალობის ფორმირების ფაზაშია. ამ რეალობაში სოციუმის სუსტი წევრების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები ძალიან

მნიშვნელოვანია. სისტემურმა ტრანსფორმაციამ და მასთან დაკავშირებულმა სირთულეებმა გამოააშკარავა ახალი საჭიროებები და გამოწვევები და შესაბამისად, გამოიწვია სუსტი სოციალური ჯგუფებისთვის დამხმარე აქტივობების წამოწყების საჭიროება. ახალი სოციალური მდგომარეობის (განსაკუთრებით ასაკოვანი თაობისთვის) ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული სირთულეები და ცხოვრების გაუმჯობესების უუნარობა, იწვევს სოციალურ კეთილდღეობაზე მომუშავე ადამიანების ჯგუფის ზრდისა და მათთვის სხვადასხვა ფორმის მხარდაჭერის საჭიროებას. ეს ფართო სოციალური კონტექსტი გახდა სხვადასხვა ფორმის მზრუნველობის, დახმარების, აღზრდისა და სოციალური მხარდაჭერის განმსაზღვრელი მოწვევად ჯგუფებთან, განსაკუთრებით კი ასაკოვნებთან მიმართებაში.

არასამთავრობო ორგანიზაციები, გარკვეულ წილად ავსებენ სახელმწიფოს ინსტიტუციური სტრუქტურის ვალდებულებებს და ხდებიან სოციალური თანამშრომლობისა და თვითდახმარების მნიშვნელოვანი ელემენტები. მათი ძლიერი მხარეებია: მოქმედების თავისუფლება, საზოგადოების საჭიროებებისა და არსებული სოციალური პრობლემების ზუსტად ამოცნობა, შედარებით დაბალი სამოქმედო ხარჯები, დაფინანსების სხვადასხვა წყაროს გამოყენების შესაძლებლობა და ამ ყველაფერთან ერთად, ადამიანური რესურსი, რომელიც უანგაროდ ემსახურება საზოგადო კეთილდღეობას.

სოციალური დახმარების თანამედროვე ცვლილებები მოიცავს მისი ფუნქციონირების მრავალ არეს. მათ შორის, მნიშვნელოვანია მოვლის, ექთნის დახმარებისა და გამააქტიურებელი აქტივობების ორგანიზება, რომლებიც მზარდია და ყველაზე ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციების მიერაა უზრუნველყოფილი. მრავალი წლის შემდეგ, რაც არასამთავრობო სექტორი მოდერნიზაციას ხელისუფლების ინტერესის სფეროში ორივე, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე,

არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთვნენ როგორც ადგილობრივ, ისე მთელი სოციალური სისტემის ფუნქციონირებაში.

მთავარი აქტორები კვლავ არიან საჯარო ინსტიტუტები და მათი დასაქმებულები, მაგრამ სულ უფრო მეტი აქტივობა ხორციელდება ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, როგორცაა პოლონეთის წითელი ჯვარი ან ის თვითდახმარების ორგანიზაციები, რომლებიც ბენეფიციართა უშუალო გარემოცვაში საქმიანობენ.

პოლონურ ორგანიზაციებში ასოციაციები და ფონდები დომინირებენ. ამის მაგალითია პოლონეთის წითელი ჯვრის საქმიანობა, რომელიც არის უძველესი პოლონური ჰუმანიტარული ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ მომსახურებას. პრეზენტაციის მიზანია პოლონეთის წითელი ჯვრის მიერ განხორციელებული მომსახურებების სხვადასხვა ფორმისა და მიზნის გაანალიზება.

**საკვანძო სიტყვები:** არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალური სექტორი, ჰუმანიტარული ორგანიზაცია, პოლონეთის წითელი ჯვარი

## ნიკოლოზ ესიტაშვილი

მოწვეული პროფესორი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა

### სამხედრო ძალაუფლების ექსპონენციალური ზრდა და მისი გავლენა სამხედრო ალიანსების დინამიკაზე

ცივი ომი დასრულდა 1989 წელს, მაგრამ ნატო მაინც აგრძელებს არსებობას მიუხედავად საბჭოთა კავშირის დაშლისა, რომელმაც ბიძგი მისცა ნატოს ჩამოყალიბებას ცივი ომის პერიოდში. უფრო მეტიც, საერთო სამხედრო პროგრამების რაოდენობამ ნატოს წევრ ქვეყნებს შორის მოიმატა და ამჟამად, შეერთებული შტატები და მისი პარტნიორები თანამშრომლობენ 20-ზე მეტ სამხედრო პროგრამაში. ნატოს შენარჩუნებასა და განვითარებას ცივი ომის მიღმა ვერ ხსნის არსებული ლიტერატურა სამხედრო ალიანსების შესახებ.

კვლევის მთავარი მიზანია მოიძიოს თუ რატომ გაგრძელდა და გაიზარდა თანამშრომლობა ნატოს წევრებს შორის ცივი ომის შემდეგ. ამ ნაშრომის მიზანია მნიშვნელოვანი თეორიული წვლილი შეიტანოს ლიტერატურაში სამხედრო ალიანსების შესახებ. კვლევის თანახმად სამხედრო წარმოების პოლიტიკური ეკონომიკა, გახლავთ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოების გადაწყვეტილებებზე ალიანსებთან დაკავშირებით.

კვლევა იყენებს რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს, რათა გამოიკვლიოს ნატოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობა ცივი ომის შემდეგ, მნიშვნელოვანი საგარეო საფრთხეების არარსებობის ეტაპზე. კვლევის მიხედვით, პასუხი უნდა ვეძიოთ ნატოს წევრებს შორის უმთავრესი ინტერესების ჰარმონიაში და სამხედრო წარმოების პოლიტიკურ ეკონომიკაში. სწავლა იყენებს ფოკუსირებულ შედარებით მეთოდებს, რათა შუქი მოფინოს



ნაციონალური ინტერესების ჰარმონიულობას ნატოს წევრებს შორის ცივი ომის შემდეგ. ზემოსხენებულ მეთოდებს ვურევ ინტენსიურ კვლევის მეთოდებთან, რათა დეტალურად გამოვიკვლიო ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო და ეკონომიკური ინტერესები და მათი გავლენა ნატოს წევრობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე.

**საკვანძო სიტყვები:** ძალაუფლება, სამხედრო ალიანსები, ნატო ცივი ომის შემდეგ, პოლიტიკური ეკონომიკა, საბაზრო არასრულყოფილება

## თენგიზ ვერულავა

ასოცირებული პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ამბულატორიული მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობა ხანდაზმულთათვის

ხანდაზმულები ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ერთ-ერთ მაღალრისკიან ჯგუფს განეკუთვნებიან. საქართველოში პენსიონერები მოცულნი არიან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით, ხოლო სოციალურად დაუცველი ქრონიკული ავადმყოფებისათვის დამატებით მოქმედებს მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა. კვლევის მიზანია ხანდაზმულთათვის მედიკამენტების ფინანსური ხელმისაწვდომობის შეფასება. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, სტრუქტურირებული კითხვარების მეშვეობით ჩატარდა 700 პენსიონერის გამოკითხვა. რესპონდენტთა უმრავლესობა ერთდროულად იყენებს სამზე მეტ მედიკამენტს (54%), რომელსაც იძენს ოჯახის ექიმთან მიმართვის გარეშე (57%) და ეწევა თვითმკურნალობას (37%), თვეში ხარჯავს 51-75 ლარის მედიკამენტს (39%), მედიკამენტებზე საშუალო ხარჯი შეადგენს 72 ლარს, რაც პენსიონერის პერსონალური შემოსავლის 33%-ია. რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული ხარჯები ისევ მაღალია. პენსიონერთა 29% თვეში ჯიბიდან იხდის 51-75 ლარს. მედიკამენტებზე ჯიბიდან გაწეული საშუალო ხარჯი შეადგენს 56 ლარს, რაც პენსიონერის პერსონალური შემოსავლის 25%-ია. გამოკითხულთა საკმაოდ ნაწილმა მთავარ პრობლემად მედიკამენტებზე მაღალი ხარჯები დაასახელა (26%). თითქმის მესამედმა (31%) სრულად ვერ შეიძინა ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტი, ხოლო 15%-მა სიძვირის გამო საერთოდ ვერ შეძლო მისი შეძენა. უმეტესობამ (64%) არაფერი იცოდა იმის შესახებ,

რომ სახელმწიფო ანაზღაურებს ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებს გარკვეული კატეგორიის პენსიონერთათვის. ხანდაზმულთა მიერ მედიკამენტების შეძენა ოჯახის ექიმის გარეშე აჩვენებს მათ არარაციონალურ არჩევანს საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემის დროს. 2017 წელს ამოქმედებულმა სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ გარკვეულწილად შეამსუბუქა ხანდაზმულების, განსაკუთრებით, სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა. თუმცა, რესპონდენტები უმთავრეს პრობლემად გამოყოფენ მედიკამენტების შეძენას. დაბალია დაზღვეულთა ინფორმირებულობის დონე ქრონიკული დაავადებების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის შესახებ.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ გაუმჯობესდა სოციალურად დაუცველ ქრონიკულ ავადმყოფთა სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა, მედიკამენტებზე დანახარჯები მძიმე ტვირთად აწვება იმ ხანდაზმულთა შემოსავლებს, რომლებიც არ არიან სოციალურად დაუცველნი. მიზანშეწონილია, ქრონიკული დაავადებების მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამამ, სოციალურად დაუცველების გარდა, მოიცვას საპენსიო ასაკის ქრონიკული ავადმყოფებიც, რადგან პროგრამით მოუცველ პენსიონერთათვის მედიკამენტებზე გაწეული ხარჯები, არაიშვიათად, შესაძლოა კატასტროფული და შესაბამისად, მათი გადატანების მიზეზი აღმოჩნდეს.

**საკვანძო სიტყვები:** ხანდაზმულები, პერსონალური შემოსავლები, მედიკამენტებზე დანახარჯები, მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა

## სვეტლანა აკიევა

პროფესორი

ებაზარდო-ბაღყარეთის სამეცნიერო ცენტრი

რუსეთის მეცნიერებათა აკადემია, რუსეთი

### სამხრეთ კავკასიის ევროპული ინტეგრაცია

სამხრეთ კავკასიაში არსებული პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივ-კულტურული წინააღმდეგობების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ეფექტური ევროპული ინტეგრაციის შემთხვევაში, რომლის ფარგლებშიც კავკასიის თითოეული ქვეყანა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში გაატარებდა ისეთ რეფორმებს, რომლებიც მიმართული იქნებოდა მდგრად განვითარებასა და ცივიზაციურ ჰარმონიზაციაზე, ევროპული სოციალური მოდელის მიხედვით და ამით ხელს შეუწყობდნენ შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო ინტეგრაციას. შედეგად, შეიქმნებოდა დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და სამოქალაქო საზოგადოების სწრაფი ფორმირების წინაპირობები; ამავდროულად გაიზრდებოდა სახელმწიფო მართვისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურობა და ასევე საზოგადოებრივი კაპიტალის, სამართლებრივი კულტურა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დონე.

ზოგადად, სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით, აუცილებელია ისეთი ინტეგრაციის მოდელის შექმნა, რომელიც დაფუძნებული იქნება სანდო ურთიერთობების სხვადასხვა მიმართულებისა და ფორმის ურთიერთშეკვებაზე. ამასთან საინტეგრაციო ურთიერთშეკვება დღემდე წარმოადგენს ძირითად პრობლემას კავკასიის ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოებისთვის; მისი არარსებობა კი ხელს უშლის სხვადასხვა ხალხთა შორის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობისა,

ზნეობრივ-კულტურულ განვითარებას და ასევე თანამშრომლობის გაფართოებასა და დიალოგის აწეობას.

ინტეგრაციათაშორისი პროცესების (ინტეგრაციის სხვადასხვა მოდელსა და ტენდენციას შორის ურთიერთმოქმედებისა და ამ მოდელებზე დაფუძნებული სხვადასხვა საინტეგრაციო გაერთიანებების) გაღრმავებას მოაქვს ინტეგრაციათაშორისი ურთიერთობების გაფართოება და კონტაქტების გაძლიერება, თუმცა, მეორე მხრივ, ინტეგრაციათაშორისი კონფლიქტების გამწვავება.

არსებობს გარკვეული კანონზომიერება: სამხრეთ კავკასიის მხრიდან ევროპული კავშირის ამა თუ იმ საინტეგრაციო მოდელის უპირატესების მინიჭების ხარისხის გაზრდას ყოველთვის მოაქვს საინტეგრაციო კონფლიქტების დონისა და მასშტაბების გაზრდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვყალიბოთ ისეთი ცნებები როგორებიცაა: „კომპრომისული ინტეგრაცია“, „იძულებითი ინტეგრაცია“ ან „დაძალებული ინტეგრაცია“; ეს ცნებები სავსებით ჯდება „კავკასიური დერეფნის“ და სივრცობრივი კონტინუუმების ლოგიკაში.

დღეს სამხრეთ კავკასიაში პროფკავშირების, საერთაშორისო და ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციების, სოციალური მედიის, რელიგიური დაწესებულებებისა და სამოქალაქო მოძრაობების როლი საზოგადოებრივი რესურსების მართვაში არ არის სათანადოდ შეფასებული. დროთა განმავლობაში სხვადასხვა ორგანიზაციისა და არასახელმწიფო აქტორების მცირერიცხოვანი ქსელების საქმიანობა უფრო მეტად შეუწყობს ხელს სამოქალაქო კულტურასა და საზოგადოებრივი შეგნების დონის გაზრდას.

ერთი მხრივ, ევროპულ ინტეგრაციას მივყავართ სტრატეგიული თანამშრომლობის, დემოკრატიისა და საბაზრო ურთიერთობების განვითარებისკენ, მაგრამ მეორე მხრივ, ის აჩენს სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ზნეობრივ და კულტურულ პრობლემებს.

ინტეგრაციის დიალექტიკაც და დეზინტეგრაციის დინამიკაც მოწმობენ უზარმაზარი ინტეგრაციათაშორისი პოტენციალის არსებობის შესახებ, რომელსაც შეუძლია ყველა საჭირო რესურსების ფორმირება.

ახალი ცოდნისა და იდეებისთვის ღია გლობალური საზოგადოება დაფუძნებულია პოლიარქიულ და დემოკრატიულ ურთიერთთანამშრომლობით ინსტიტუტებზე. სამხრეთ კავკასიაში გლობალური აქტორების სტრატეგიულ ინტერესთა და ამბიციათა შორის წინააღმდეგობა, შეიძლება ითქვას, საკმაოდ თავისებურია; მისი პირველი ეტაპისთვის დამახასიათებელია „თვითიზოლაცია“, როგორც დასავლეთევროპული ქვეყნებისგან, ისე რუსეთისგან.

განათლების მქონე საზოგადოების პირობებში რეგიონალური პროცესების შინაარსი განისაზღვრება გლობალური უპირატესობისკენ მისწრაფებაში; ამასთან მთავარი კრიტერიუმია სოციალური კაპიტალი. სამხრეთ კავკასიაში საინტეგრაციო კონფლიქტოგენურობის არსებობა იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ გლობალურ აქტორებს არ აქვთ არანაირი წინაპირობა პასიური წინააღმდეგობის გაწვევისთვის. პირიქით, აქ თვალსაჩინოა ღია კონკურენცია საზოგადოების ყველა დარგში და პარტნიორობის მექანიზმების უწყვეტი გამოყენება, რაც ატარებს რაღაც კონფლიქტურობისა და არასანდო დამოკიდებულების ეფექტს.

ევროპული ინტეგრაციის პროცესები მიმდინარეობს ეთნოსთაშორისი სამყაროს პირობებში, რომელიც ატარებს არა მხოლოდ გლობალურ, რეგიონალურ და ეროვნულ, არამედ ცივილიარქიულ, ანტროპოცენტრულ და სოციოკრატიულ ხასიათს.

შესაბამისად, ინტეგრაციის ამგვარი ათვისების მთავარი შედეგია – სამხრეთ კავკასიაში ახალი რეგიონალური მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბება, რაც ევროკავშირის სტრუქტურებს საშუალებას მისცემს, ევროპული ინტეგრაციის პროცესი ევროპასა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობებზე გაავრცელონ. შეძლებს თუ არა სამხრეთ კავკასია ამ გეოპოლიტიკური როლის შესრულებას,

ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, ჩამოყალიბდება თუ არა იქ ეფექტური და რეგიონალური მექანიზმები, შეძლებენ თუ არა ხალხები მიაღწიონ ურთიერთგაგებასა და სანდო ურთიერთობებს.

დასკვნისას, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში დაფუძნებულია იმ ადგილობრივი ძალების მიზნებზე, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ინტეგრაციით, ანუ ძირითადი ეროვნული ელიტების მოქმედებებსა და ასევე სამოქალაქო საზოგადოების არსებულ სტრუქტურებზე, რომლებსაც ამოძრავებთ ეროვნული იდენტობის ფორმირების პოლიტიკა.

**საკვანძო სიტყვები:** ევროპული ინტეგრაცია, კავკასია, პოლიტიკური სტაბილურობა, სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა, ინტეგრაციათაშორისი ბარიერები (დაბრკოლებები), ნდობა, საინტეგრაციო პოტენციალი, სოციალური პარტნიორობა

## გიორგი ბერიძე

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **იდეურ-პოლიტიკური პლატფორმების ელექტრონული პროპაგანდა თანამედროვე საქართველოში (მემარცხენე მიმართულების ორგანიზაციების ინტერნეტაქტივობები)**

კვლევაში შესწავლილია საქართველოში არსებული მემარცხენე მიმართულების მქონე სამი ინტერნეტგამოცემა, ესენია: „ანარქისტული ბიბლიოთეკა“, „European.ge“ და „თბილისის ფაბიანური საზოგადოება“.

„ანარქისტული ბიბლიოთეკა“ ქართველი ანარქისტებისგან შემდგარი კოლექტივია, ბოლო ორი კი სოციალ-დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი ორგანიზაციაა.

კვლევა აქტუალურია, ვინაიდან უკანასკნელი წლების განმავლობაში, გახშირებული სოციალური პროტესტების მოქმედი აქტორები ხშირად ის მემარცხენე ჯგუფები იყვნენ, რომლებიც წარმოადგენენ ზემოთ აღნიშნულ ინტერნეტპლატფორმებს, ეს პლატფორმები შეიძლება მივიჩნიოთ ორგანიზებისა და ღირებულებების გავრცელების ერთგვარ იარაღად, ესაა ამ ჯგუფების საზოგადოებასთან ურთიერთობისა და აზრის გაცვლა-გამოცვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

კვლევა ითვალისწინებს გამოცემების ვებგვერდებზე განთავსებული მასალის შინაარსობრივ ანალიზს, თარგმანების, კვლევებისა და სტატიების შესწავლას, მათ სისტემიზაციასა და შედარებითი პრინციპით ამ გამოცემებს შორის საერთო კონტექსტების აღმოჩენას.

2011 წლიდან, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩნდებიან და აქტიურდებიან მემარცხენე ღირებულებების მქონე ორგანიზებული სოციალური ჯგუფები, რომლებიც ძირითადად სტუდენტებით არის



დაკომპლექტებული, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ორი ათწლეულის განმავლობაში, მემარცხენე ბანაკი საქართველოში პოპულარული პოლიტიკური აქტორი არასდროს ყოფილა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ერთი წლით ადრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა რამდენიმე სტუდენტური ორგანიზაცია, რომლებიც მემარცხენე ღირებულებებს ატარებდნენ, მათ შორის გამორჩეულად ცნობილი და აქტიური „ლაბორატორია 1918“ იყო, ამ ჯგუფის მიერ არჩევნების წინ დედაქალაქში ორგანიზებულმა პროტესტმა ქვეყნის წინასაარჩევნო დღის წესრიგი მნიშვნელოვნად შეცვალა.

„ლაბორატორია 1918-მა“ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მალევე აქტიურობა შეწყვიტა. თუმცა მისი წევრები სხვადასხვა ჯგუფად გადანაწილდნენ, გარდა ამ ჯგუფებისა, არსებობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი კიდევ რამდენიმე ორგანიზაცია.

2012 წლიდან დღემდე, რიგი სოციალური პროტესტების, გაფიცვების ორგანიზატორები სწორედ ის მემარცხენე ჯგუფები იყვნენ და არიან, რომელთა ინტერნეტგამოცემებიც შევისწავლეთ, ესენია „ანარქისტული ბიბლიოთეკა“, „European.ge“ და „თბილისის ფაბიანური საზოგადოება“.

სტუდენტური ჯგუფებიდან ზემოთ ხსენებული ორგანიზაციები გადაიქცნენ პლატფორმებად, რომლებსაც გამოკვეთილი ღირებულებები, ხედვები და ორგანიზების მეთოდები აქვთ. ეს ჯგუფები განსხვავდებიან ერთმანეთისგან რიგი მახასიათებლებით, რაც კვლევაშიც არის აღნიშნული, ამ ჯგუფებს წარმოადგენენ მკვლევრები, ახალგაზრდა მეცნიერები, აქტივისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, ადამიანები - რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ პოლიტიკურ პროცესში.

კვლევაში გამოკვეთილია ის საკითხები და პრობლემები, რის გარშემოც მოღვაწეობენ ზემოთ ნახსენები ჯგუფები, რიგი რეგიონების, ქალაქების ცხოვრების, ასევე საერთაშორისო თუ ლოკალური პოლიტიკის მომხილვეების სახით, ასევე შესწავლილია მათი პლატფორმების შინაარსი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მეთოდი.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური კომუნიკაცია, მემარცხენე მიმართულების მოძრაობები, პოლიტიკური თეორია, „ფეისბუქ“ გვერდები, იდეურ-პოლიტიკური პლატფორმები, ელექტრონული პროპაგანდა, ინტერნეტ აქტივობები, ანარქიზმი, სოციალ-დემოკრატია, მენშევიზმი, სტუდენტური მოძრაობები, სოციალური პროტესტები

## ელენე გელაშვილი

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვა - ახალი გზავნილები ქართულ პოლიტიკაში**

მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს გაანალიზდეს საქართველოს რიგით მეხუთე პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვის მთავარი გზავნილები, რათა გამოიკვეთოს ის ხედვა და აქცენტები, რომლითაც ახლადარჩეული პრეზიდენტი მოვიდა ხელისუფლების სათავეში.

საინაუგურაციო სიტყვის არჩევა, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ როგორც წესი, პრეზიდენტები თავიანთ მომავალ სამოქმედო გეგმას, პრიორიტეტებს, განწყობებსა და ხედვებს სწორედ აქ უყრიან თავს და წარუდგენენ, როგორც ქვეყნის მოქალაქეებს, ისე საერთაშორისო საზოგადოებას.

ანალიზის მეთოდად გამოყენებულ იქნა დისკურსის ანალიზი, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთდება ვოდეკის მიდგომაზე სახელდების, გაცხადებისა და არგუმენტის ინსტრუმენტების გამოყენებით.

ნაშრომში აქცენტი კეთდება შემდეგ თემებზე: დემოკრატიული – სამოქალაქო პოლიტიკური კულტურის მახასიათებლები, ევროპული ღირებულებების, ტოლერანტობის მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით, კონსენსუალური კულტურის ჩამოყალიბება, ეროვნული თანხმობა, თაობებს შორის სოლიდარობის ისტორიული ტრადიციის აღორძინება, რევიონების განვითარება, ევროპული არჩევანის შეუქცევადობა, მშვიდობიანი საგარეო პოლიტიკა, ტერიტორიული მთლიანობა, უსაფრთხოების გაძლიერება, კულტურის განვითარება, ქალების როლის ზრდა, რევიონში

ისტორიული როლის დაბრუნება პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერება, ტრავმული წარსულის დაძლევა და გაახრება.

ამ პერიოდის არჩევა იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ საქართველოში გარდამავალ პერიოდში საზოგადოების ერთიანობას დიდი ზიანი მიაყენა მემკვიდრეობითობის ობიექტური კანონზომიერების უარყოფამ, ფაქტობრივად გახლიჩა საზოგადოებრივი ცნობიერება, როდესაც საქმიანობას ჩამოაშორეს უფროსი თაობა, აქცენტი გადაიტანეს თაობებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის განმასხვავებელ პარამეტრებზე და ფაქტობრივად გახლიჩეს საზოგადოებრივი ცნობიერება. ამასთანავე, საქართველოს პირველი სამი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ედუარდ შევარდნაძე და მიხეილ სააკაშვილი ხაზს უსვამდნენ, რომ სახელმწიფოებრიობის მშენებლობას თავიდან იწყებდნენ, რაც თავის მხრივ წინა მმართველობის პრიორიტეტების გადახედვას და ხშირ შემთხვევაში რადიკალურ შეცვლას იწვევდა. სწორედ ამიტომაც, მოცემული ნაშრომის ანალიზისას თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულ იქნება ჰეგელის „მოხსნა/შენახვის“ თეორია, რომლის თანახმადაც ზურაბიშვილის პრეზიდენტობის პერიოდი შესაძლოა განხილულ იქნეს ერთგვარ გარდამავალ პერიოდად, როდესაც არსებითად მნიშვნელოვანია მემკვიდრეობითობის ხაზის შენარჩუნება, პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბების და ქვეყნის დემოკრატიული მმართველობის საქმეში.

სალომე ზურაბიშვილის გზავნილი კულტურასა და მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებლობაა. პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს რეგიონების განვითარების აუცილებლობაზე, რადგანაც კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ არათანაბარი განვითარება ხშირად გამხდარა სეპარატიზმისა და ქვეყნის დაშლის მიზეზი. მან ხაზი გაუსვა საქართველოს ისტორიულ როლზე კავკასიის რეგიონში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სტაბილური კავკასია ქვეყნისა და მსოფლიოსათვის. და ბოლოს, იქიდან გამომდინარე, რომ ინაგურაცია საჯარო ცერემონიაა და რეალურად არის სოციალური,

კულტურული და პოლიტიკური კომუნიკაციის ფორმა, საქართველოს რიგით მესუთე პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა შეიძლება შეფასდეს, როგორც დასავლური ტიპის ლიდერის, რეალისტური და დაცლილი პოპულისტური დაპირებებით.

**საკვანძო სიტყვები:** არჩევნები, ლიდერი, საინაუგურაციო სიტყვა, სამოქმედო გეგმა, პოლიტიკური კომუნიკაცია

## ნათია ზედგინიძე

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **პროფესიული ეთიკის კოდექსების მნიშვნელობა საზოგადოების ზნეობრივი განახლებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში**

პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის ერთ–ერთი მძიმე შემკვიდრობა საზოგადოების ზნეობრივი დეფორმაციაა. საზოგადოების ზნეობრივი განახლების გარეშე დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება პროფესიული ეთიკის კოდექსების შექმნა, რომლებშიც ერთმანეთთან შერწყმულია ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები.

საქართველოს ევროპული ინტეგრაცია გულისხმობს გარკვეული ვალდებულებების შესრულებას. ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა, რომელსაც ევროსაბჭო უყენებს, როგორც წევრ ისე ევროპულ სივრცეში ინტეგრირების მსურველ სახელმწიფოებს, მდგომარეობს პროფესიული ეთიკის კოდექსების შემუშავებაში. ევროსაბჭო ადგენს პროფესიული ეთიკის კოდექსების მინიმალურ სტანდარტს და მოუწოდებს სახელმწიფოებს, კოდექსით დადგენილი სტანდარტები და პრინციპები ეროვნულ საკანონმდებლო ნორმებსა და ეთიკის კოდექსებში გაიზიარონ. ევროპული კოდექსები განსაზღვრავს მინიმალურ სტანდარტს, რომელთა გავრცობა უნდა მოხდეს ადგილობრივი სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით. კოდექსების მიზანია, ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მართვის სხვადასხვა შტოსა და დონეზე დასაქმებულთა მიერ საკუთარი ფუნქცია–მოვალეობების გააზრებასა და პასუხისმგებლობის

გაცნობიერებას სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასაქმებულთა მიერ საკუთარი ფუნქცია-მოვალეობების გააზრება დაკავშირებულია იმ სამართლებრივი სივრცის გააზრებასთან, რომლის ფარგლებშიც უწევს მოქმედება ამა თუ იმ მოხელეს. სამართლებრივი სივრცე, რომელსაც ქმნის კანონმდებლობა, არის ზოგადი ხასიათის და არ ითვალისწინებს კონკრეტულ გარემოებებს. აქედან გამომდინარე, სწორედ პროფესიული ეთიკის კოდექსები არის ის მექანიზმი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კანონი, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს პიროვნება, გააზრებულ იქნას სამართლიანობის გადმოსახედიდან კონკრეტული გარემოსა და საქმიანობის გათვალისწინებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ქმედუნარიანობისათვის, აუცილებელია რამდენიმე პირობის არსებობა:

1. კანონი უნდა შეიცავდეს მორალის მინიმუმს
2. საზოგადოება მზად უნდა იყოს მორალურ-ზნეობრივი ცვლილებებისათვის, რაც სამეცნიერო საზოგადოებაში ზნეობრივი რეკლუციის სახელით არის ცნობილი. ეს უკანასკნელი გულისხმობს, გარემო პირობებთან დროთა შესაფერის ადაპტაციას, ფასეულობებისა და ღირებულებების გადააზრებას, რითიც უზრუნველყოფილი ხდება ერი\_სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო გარემოს შექმნა.

მოხსენებაში განვიხილავთ საქართველოში მიღებულ ეთიკურ კოდექსებს, რომლებიც პოლიტიკურ და სამართლებრივ სფეროს არეგულირებენ. შევეხებით ხელისუფლების სამივე შტოს, აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში არსებულ ვითარებას პროფესიული ეთიკის კოდექსების შემუშავების კუთხით. კერძოდ, პარლამენტარის ქცევის ეთიკურ კოდექსს, პოლიტიკური პარტიებისა და საპრეზიდენტო კანდიდატებისათვის წინასაარჩევნოდ შემუშავებულ ქცევის ეთიკურ კოდექსებს და

მოსამართლეთა ეთიკის კოდექსს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული ეთიკის კოდექსების შემუშავების კუთხით, საქართველოში კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, როგორც არსებული კოდექსების სრულყოფის, ისე ახალი კოდექსების შემუშავების თვალსაზრისით.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია კონტენტ ანალიზი, ექსპერტთა გამოკითხვა და შედარებითი ანალიზი.

**საკვანძო სიტყვები:** სამართლებრივი სახელმწიფო, პროფესიული ეთიკის კოდექსები, მორალი, ზნეობა



## ლიკა თეთრაძე

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ნეგატიური ნარატივი და გავლენა ელექტორალურ ქცევაზე

არჩევნების დროს სარეკლამო კამპანია გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. პოლიტიკურ კამპანიაში კანონითაა დაშვებული სარეკლამო კამპანიის წარმართვა კანდიდატის მხარდასაჭერად ან/და საწინააღმდეგოდ. თუმცა სარეკლამო კამპანიის წარმართვა ნეგატივის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. მისი ხვედრითი წილი პოზიტიურთან მიმართებით მზარდია. ნეგატიური კამპანია მიზნად ისახავს ამომრჩევლის ემოციურ დონეზე ზემოქმედებას და არ არის მოწოდებული ელექტორატს დაეხმაროს ინტელექტუალური და რაციონალური გადაწყვეტილების მიღებაში. ნეგატიური კამპანია წარმოადგენს იარაღს, რომელიც ოპონენტის წინააღმდეგ უარყოფითი ნარატივის შექმნის შესაძლებლობას იძლევა და ერთი ორად ზრდის ამომრჩევლეთა ინტერესს. ნეგატიური კამპანიისა და რეკლამის მკვლევართა ნაწილი განსხვავებული მიდგომით ცდილობს დაადგინოს უკუკავშირი ნეგატიურ კამპანიასა და ამომრჩევლის ქცევას შორის, რომელიც ვლინდება კონკრეტული არჩევნების შედეგებში. მიუხედავად ამისა, პირდაპირი კორელაციის დადგენა ნეგატიურ ნარატივსა და არჩევნების შედეგებს შორის ჭირს. ნეგატიური ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკა არც საქართველოსთვის არის უცხო. საარჩევნო ისტორიას თუ გადავხედავთ ყოველ არჩევნებს ლაიტმოტივად გასდევს ნეგატიური ნარატივი. პოლიტიკური სუბიექტები ყოველი კრიტიკული არჩევნების დროს მიმართავენ მადისკრედიტირებულ კამპანიას. ნეგატიური ნარატივის ზრდა შესამჩნევი გახდა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიდან. ფრაზები: „ნულოვანი ტოლერანტობა წვრილმანი დანაშაულის მიმართ... არანაირი პირობითი სასჯელი, ყველა ციხეში!!!...“ „ორი კაცი, ორი გვამი მჭირდება!..“, „თქვე ნაძირალებო... სულს ამოგხდით!...“ და ა.შ. არჩევნების თანამდევად იქცა. ოპოზიციის ნეგატიური მუხტის გაძლიერებით ცდილობდა ელექტორატის მობილიზებას. დროთა განმავლობაში მმართველი გუნდის პოლიტიკური შეცდომების ზრდის კვალდაკვალ იზრდებოდა ოპონენტების მხრიდან ნეგატიური ნარატივის გამოყენების

შემთხვევებიც. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე სწორედ „ციხის სკანდალმა“ და ბიძინა ივანიშვილის ფინანსურმა მხარემ გადაწონა არჩევნების ბედი. გამოდის, რომ უმეტესწილად, არა პროგრამული პრიორიტეტების, არამედ საზოგადოების ნეგატიური მობილიზაციის ხარჯზე მოხდა ხელისუფლების ცვლა. 2012 წლის შემდგომ არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო მანამდე არსებული ნარატივის გამოყენება, რომელსაც ციხის კადრები და ფარული ჩანაწერებიც დაემატა. სახელისუფლებო პარტია სწორედ აღნიშნული სტრატეგიის ფონზე იგებდა ყოველ მომდევნო არჩევნებს. განსხვავებული ვითარება შეიქმნა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე. „ქართულმა ოცნებამ“ მხარი დაუჭირა დამოუკიდებელ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს, ამდენად, კამპანიის საწყის ეტაპზე გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატის წინააღმდეგ იერიში არამომგებიანი იქნებოდა, პირველ ტურზე წარუმატებლობის შემდგომ კი სტრატეგია შეიცვალა და ისევ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიანი მმართველობის ნეგატიურ ასპექტებზე აპელირებით, რეჟანშისა და ძალადობრივი რეჟიმის დაბრუნების საფრთხის შექმნით მოახერხა ელექტორატის მობილიზება და მეორე ტურში გამარჯვება. ანალოგიური სტრატეგიით მოქმედებდა გაერთიანებული ოპოზიციაც, რომელმაც „ქართული ოცნების“ პოლიტიკის მანკიერი მხარეების მხილებით, ელექტორატის მნიშვნელოვანი წილის მობილიზება შეძლო.

ამდენად, გამოიკვეთა, რომ კრიტიკულ სიტუაციებში პოლიტიკური სუბიექტები ხშირად მიმართავენ ნეგატიური ნარატივის გამოყენებას სტრატეგიული მიზნით.

შესაბამისად, მოხსენების მიზანია საქართველოს საარჩევნო ისტორიიდან ცალკეულ შემთხვევათა ანალიზის საფუძველზე წარმოადგინოს კამპანიაში ნეგატიური ნარატივის გამოყენების მიზნები და გავლენა ელექტორალურ ქცევაზე.

**საკვანძო სიტყვები:** არჩევნები, ნეგატივი, კამპანია, ელექტორალური ქცევა

## ნინო მაისურაძე

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**იდეურ-პოლიტიკური პლატფორმების ელექტრონული პროპაგანდა  
თანამედროვე საქართველოში (ქართული ეროვნულ-პატრიოტული  
მიმართულების ინტერნეტგამოცემების იდეოლოგიური პროფილი)**

კვლევა შეისწავლის საქართველოში არსებულ ოთხ ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ინტერნეტ გამოცემას და იმ ორგანიზაციებსაც, რომლებიც მხოლოდ სოციალურ ქსელში გვერდის მეშვეობით ურთიერთობენ საზოგადოებასთან.

საკვლევი თემა აქტუალურია უკანასკნელ წლებში ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების მოძრაობების გააქტიურებული პროპულისტური მოქმედებების ფონზე. ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს ისინი თავიანთი იდეების პროპაგანდისტვის იყენებენ.

2012 წლიდან მოყოლებული გააქტიურდნენ ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობები (ისინი ასე უწოდებენ თავს), რომლებიც ხშირად აწყობენ სხვადასხვა გამოსვლას, მსვლელობას, გაფიცვას, დემონსტრაციას და დღეს უკვე სამოქალაქო ცხოვრების ერთ-ერთ გამოკვეთილ ნაწილს წარმოადგენენ. დიდია მათი ოფიციალური საიტების დამთვალიერებელთა და „ფეისბუკ“ გვერდების გამომწერთა რიცხვი. ხშირად ვხვდავთ მათ სხვადასხვა გადაცემაში, მათ შორის პოლიტიკური ხასიათის, სადაც ისინი ღიად აფიქსირებენ საკუთარ აზრს. განსაკუთრებით 2017 წლიდან, „ქართული მარშის“ შექმნის დროიდან, ისინი ხშირად გამხდარან საინფორმაციო გამოშვებებში დღის მთავარი თემა და დისკუსიის საგანი. ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციის წევრების ქმედებები განსხვავებულ შეფასებას იწვევს. მათ ხშირად აკრიტიკებენ სამოქალაქო საზოგადოების სხვა

წარმომადგენლები და ადვანაშაულებენ დისკრიმინაციაში, სხვათა უფლებების შელახვაში, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში...

ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციები და მათი მხარდამჭერები მართლაც გამოირჩევიან რადიკალური ქმედებებით, აგრესიულობით და ისინი საკუთარ რწმენას, შეხედულებებს, იდეოლოგიას უზიარებენ საზოგადოებას საკუთარი ორგანიზაციის საიტებიდან, ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდებიდან (აღვნიშნოთ, რომ მათი სახელით ხშირად იქმნება არარეალური ე.წ. „Fake Account“-ებიც). ის, რომ მათ მომენტალურად შეუძლიათ რამდენიმე ათასიანი აქციის დაგეგმვა ინტერნეტ გამოცემის თუ „ფეისბუქ“ გვერდის მეშვეობით დადასტურდა „ქართული მარშის“ არა ერთი აგრესიული შეკრებიდან.

ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ინტერნეტ გამოცემების შესწავლა საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ თითოეული მათგანის იდეურ-პოლიტიკური პლატფორმა და მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია, მივიღოთ ზოგადი სახე საქართველოში მოღვაწე ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების მოძრაობების მოქმედებების, იდეოლოგიის, იდეების, ინიციატივების შესახებ. ამასთან ერთად, შეგვიძლია სხვადასხვა ქართული ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების ინტერნეტ გამოცემები შევადაროთ ერთმანეთს და ნათლად დავინახოთ მათ შორის მსგავსება და განსხვავებაც.

ამ ორგანიზაციების და მათი ლიდერების ცნობადობის ზრდა და პროპულარობა უფრო მეტად აქტუალურს ხდის მათი მოღვაწეობის, ქმედებების, საიტების, „ფეისბუქ“ გვერდების შესწავლის და ანალიზის საჭიროებას, რაც სწორედ ჩვენი კვლევის საგანია. კვლევა წარმოაჩენს, თუ როგორ გადმოიცემა ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციის წარმომადგენლების იდეოლოგია ინტერნეტ გამოცემებში, როგორ აღწევს ის საზოგადოებამდე და რა ფორმით. აქვთ თუ არა ამ მოძრაობებს გავლენა ხალხზე და საერთოდ არიან კი ისინი რეალურად ეროვნულ-პატრიოტული ორგანიზაციები?

ოთხი შესწავლილი ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების მოძრაობების ინტერნეტ გამოცემათა ჩამონათვალი ასეთია: „საქართველოს სამეფო“ - Georoyal.ge, „ქართული იდეა“ - qartuliidea.ge, „კარდჰუ“ - kardhu.wordpress.com, „საქართველოს ეროვნული ერთობა“ - geonsm.wordpress.com. ამ ოთხი მოძრაობების გარდა, ცალკე კატეგორიად გამოყავით ის ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობა, რომელსაც არ აქვს გახსნილი საიტი და აქვს მხოლოდ სოციალურ ქსელში გვერდი და გამოირჩევა რადიკალური ქმედებებით. ეს კატეგორია დღეს საზოგადოებაში ყველაზე პოპულარულია, ცნობადია და განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ეს მოძრაობა საერთოდ არ ეწევა აკადემიურ საქმიანობას და მკვეთრად უპირისპირდება საზოგადოების სხვა ჯგუფებს. ამ კატეგორიის მაგალითია „ქართული მარში“.

ამ პირობითი კატეგორიზაციის მიუხედავად კვლევაში შესწავლილი ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობები მეტად აქტიურებენ სოციალურ ქსელში და არა ინტერნეტ გამოცემებში. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ სოციალურ ქსელში მარტივია საქმიანობა და თან ეფექტის თვალსაზრისითაც საზოგადოების დიდი ნაწილის მობილიზება შეგიძლია „ფესბუკის“ მეშვეობით.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ეროვნულ-პატრიოტული მიმართულების მოძრაობების უმეტესობა საკუთარ ინტერნეტ გამოცემებს იყენებენ კონკრეტული მიზნის მისაღწევად - საქართველოში ანტიდასავლური განწყობის გასავრცელებლად და გასაძლიერებლად.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიტიკური კომუნიკაცია, ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობები, ინტერნეტ გამოცემები, იდეურ-პოლიტიკური პლატფორმები, ელექტრონული პროპაგანდა, ინტერნეტ აქტივობები

## ინგა მიხანაშვილი

მეცნიერ-თანამშრომელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

### **ეროვნული უმცირესობების საკითხი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ (სახალხო დამცველის ანგარიშების ანალიზის საფუძველზე)**

საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა. საქართველომ 2005 წელს განახორციელა „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპის ჩარჩო კონვენციის“ რატიფიცირება, რომელიც მრავალ მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს. კერძოდ, კონვენციის მიხედვით: აღიარებულია ეროვნული უმცირესობების კანონის წინაშე თანასწორობა და აკრძალულია ნებისმიერი დისკრიმინაცია; ეროვნულ უმცირესობებს უნდა შეექმნათ მათი კულტურის შენარჩუნების, განვითარებისა და თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების - რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის აუცილებელი პირობები; ეროვნული უმცირესობები დაცულნი უნდა იყვნენ ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ასიმილაციას მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობამ 2009 წელს მიიღო შემწეობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა. სხვადასხვა სამინისტრო და უწყება მრავალ პროგრამასა და აქტივობას ახორციელებენ ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ექვსი ძირითადი მიმართულებით - კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, სოციალური და რეგიონული ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის

შენარჩუნება. კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს კი რეგულარულად ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, რომელშიც გაერთიანებულია ეროვნული უმცირესობების პრობლემატიკაზე მომუშავე 100-ზე მეტი ორგანიცაზია და თემის ლიდერი.

მოხსენებაში კვლევის თვისებრივი მეთოდის ერთ-ერთი, კერძოდ კი ტექსტის შინაარსობრივი ანალიზის გამოყენებით, განვიხილავ სახალხო დამცველის ანგარიშებში მოცემულ იმ საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვასა და სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორცაა: ეროვნული უმცირესობების სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლება, მათთვის სახელმწიფო ენის შესწავლის ხელმისაწვდომობა, მაგალითად სახელმწიფო ენის შესწავლის მიზნით განხორციელდა სპეციალური პროგრამა ბოლნისში, მარნეულში, ნინოწმინდასა და ახალქალაქში, სადაც ფუნქციონირებდა ენის სახლები და მსურველებს შესაძლებლობა ჰქონდათ ესწავლათ ქართული ენა.

მნიშვნელოვანია ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მოსახლეობის სრულფასოვანი ინფორმირება, ხოლო ამ პრობლემის დაძლევისთვის აუცილებელია რეგიონული ტელევიზიების გაძლიერება და მათი საშუალებით სომხურ, აზერბაიჯანულ და ოსურენოვანი გადაცემების მომზადება. ასევე მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენის შესწავლის ხელშეწყობა, ბოშათა თემთან არსებული პრობლემები და სხვა საკითხები.

ასევე კვლევის შედარებითი მეთოდის გამოყენებით, ერთმანეთს ვადარებ სახალხო დამცველის ანგარიშებში გადმოცემულ ეროვნული უმცირესობების პრობლემებს 2012-2016 წლების საპარლამენტო

არჩევნების შემდეგ და ყურადღებას გაავამახვილებ იმ ცვლილებებზე, რომლებიც განხორციელდა ხელისუფლების მხრიდან სახალხო დამცველის რეკომენდაციების შედეგად.

მოცემული თემის შესწავლისას ვეყრდნობი ინტეგრაციის თეორიულ ჩარჩოს.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული უმცირესობები, განათლება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ინტეგრაცია



## ლიკა მუკბანიანი

დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

### **პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა ევროკავშირის წევრ და არაწევრ ქვეყნებში (შვედეთისა და საქართველოს მაგალითზე)**

პარტიებს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უკავიათ პოლიტიკურ პროცესებში. მათი გარდაქმნა და ტრანსფორმაცია წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. იცვლებოდა სისტემურად, შინაარსობრივად, თვისობრივად, თუმცა თავის როლს და მნიშვნელობას არ ჰკარგავდა. პარტიები, როგორც მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოებში, ისე საქართველოშიც არიან პოლიტიკური პროცესის მთავარი შემქმნელები. იდეოლოგია და პარტია წლების განმავლობაში იყო ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში, თუმცა თანამედროვე პარტიულ სისტემებს თუ გადავხედავთ, უმეტეს შემთხვევაში, ცხადად შეინიშნება მათ შორის გაუცხოება. პარტიების ყოვლისმომცველობა და ნაკლებიდეოლოგიურობა სულ უფრო შესამჩნევი ხდება. ყოვლისმომცველ პარტიებს არჩევნებში გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი აქვთ, რადგან ისინი უპირატესობას ანიჭებენ ამომრჩეველთა პრიორიტეტებს და არა იდეოლოგიას, შესაბამისად, ცვლილებებზე გაცილებით უკეთ რეაგირებენ, ვიდრე იდეოლოგიურ ჩარჩოში მოქცეული პარტიები.

ტერმინი პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რომელიც აღიარებული იქნა პოლიტოლოგებისა და პოლიტიკური დამკვირვებლების მხრიდან, ეკუთვნის გერმანული წარმოშობის ამერიკელ მეცნიერს ოტო კირჩაიმერს, რომელიც წუხდა პარტიების ტრანსფორმაციის გამო. იგი წერდა, რომ შვედმა სოციალ-დემოკრატებმა პოლიტიკური კონკურენცია მინიმუმამდე დაიყვანეს თავიანთი პროგრამების შემცირების ხარჯზე. აღსანიშნავია, რომ

დღევანდელი საქართველოს სახელისუფლებო პარტია სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიისაა. ცნობილი მეცნიერი ალენი „მესამე მოდელის“ ქვეყნებს შორის განიხილავს შევდეთს, რომელიც თავის დროზე ამ გზას დაადგა. ფაქტობრივად, მესამე გზა არის ალტერნატივა როგორც სახელმწიფო სოციალიზმის, ისე თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმისა. საქართველოს პოლიტიკური ვითარება, ამ ეტაპზე, მესამე გზის მოდელისკენ უფრო იხრება, თუ როგორი იქნება ეს მოდელი ამას მომავალი აჩვენებს. შევდეთის მაგალითი საშუალებას მოგვცემს, რომ უფრო ღრმად ჩავწვდეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, რადგან შევდეთის პოლიტიკური სისტემა კონსტიტუციური მონარქიაა, ხოლო დღევანდელ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მკვეთრად გამოიკვეთა სწრაფვა კონსტიტუციური მონარქიისაკენ; შევდეთს, წარსულში, ჰქონდა კონფლიქტი რუსეთთან, რომელსაც ტერიტორიულად ესაზღვრება. საქართველოსაც აქვს საზღვარი რუსეთთან და ყველაზე დიდ პრობლემად ქვეყანაში სწორედ რუსეთთან კონფლიქტი რჩება.

საქართველომ შევდეთთან შედარებით მეტად მძიმე პოლიტიკური გზა განვლო. რუსეთის 70 წლიანი რეჟიმის შემდეგ, ქვეყანა ცდილობს ამოვიდეს პრობლემებიდან. საქართველოს აქვს ძალიან ბევრი რესურსი, რომ შეძლოს განვითარებული ქვეყნების რიგს შეუერთდეს. ქვეყნის ბუნებრივი რესურსები, გეოგრაფიული მდებარეობა და სწორად წარმართული ეკონომიკა პოლიტიკურად ძლიერ სახელმწიფოდ აქცევს ქვეყანას.

შევდეთმა, სწორედ, თავისი ინფრასტრუქტურით, ტურიზმით, ჰიდროენერჯითა და ბუნებრივი რესურსებით მოახერხა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება. მე-20 საუკუნეში ნეიტრალიტეტის შენარჩუნებით კი, შევდეთმა შეძლო მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, რამაც იგი გააძლიერა და ერთ-ერთ წამყვან ქვეყნად აქცია მსოფლიოში.

შვედეთმა თავისი არსებობის განმავლობაში ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის არა ერთი რეფორმა გაატარა, ამასთან ერთად, წლების განმავლობაში ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს და მხოლოდ ქვეყნის აღმშენებლობის შემდეგ - 1995 წელს გახდა ევროკავშირის წევრი. შვედეთის მაგალითი გასათვალისწინებელია ისეთი ქვეყნისთვის როგორც საქართველოა, რადგან მას ბევრი საერთო აქვს შვედეთთან.

კვლევის მიზანია, შვედეთისა და საქართველოს მაგალითზე, აჩვენოს პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკის თავისებურებები, რაც საბოლოოდ გაეღენას ახდენს სახელმწიფოს ეფექტურ განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** პარტიების ყოვლისმომცველი პოლიტიკა, იდეოლოგია, შვედეთი, საქართველო

## თამარ ორჯონიკიძე

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### საქართველოს დამფუძნებელი კრება და ბათუმის ოლქი<sup>1</sup>

საქართველოს დამფუძნებელი კრება (1919-1921) უმნიშვნელოვანესი ეტაპია ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. მისი გამოცდილების შესწავლა მრავალმხრივია საინტერესო, მათ შორისაა ზრუნვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის. დამფუძნებელი კრების მუშაობის პირველი წლის განმავლობაში ბათუმის ოლქზე არ ვრცელდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურისდიქცია და ის მხოლოდ 1920 წლის ივლისში დაუბრუნდა საქართველოს.

დამფუძნებელი კრება თავის სხდომებზე სისტემატურად განიხილავდა „განაპირა კუთხეების“ და მათ შორის ბათუმის ოლქის საკითხებს, იქ არსებულ ვითარებას და მათი სტატუსის საკითხს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919-1921 წლები) სხდომათა სტენოგრაფიული ანგარიშების შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე. კვლევამ აჩვენა, რომ 1919 წელს ბათუმის ოლქში არსებული ვითარება განიხილეს დამფუძნებელი კრების 7 სხდომაზე, 1920 წელს კი 6 სხდომაზე.

---

<sup>1</sup> მოხსენება მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR – 18 - 20157

კვლევის შედეგად წარმოჩენილია ის პრობლემატიკა, რაც განიხილებოდა აღნიშნულ ოლქთან დაკავშირებით. ესაა პირველ რიგში ბათუმის ოლქში მოქმედი მტრული ძალების საქმიანობის აღკვეთა, სპეციალური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება ბათუმის ოლქისა და მისი მცხოვრებლების ინტეგრირებისთვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში.

ბათუმის ოლქისთვის, აჭარის ადგილობრივი პოლიტიკური ძალების მოთხოვნის შესაბამისად, საჭიროდ იქნა მიჩნეული ავტონომიური მმართველობის შემოღება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში. საკითხი განიხილებოდა როგორც დამფუძნებელი კრების, ისე მის მიერ შექმნილი საკონსტიტუციო კომისიის სხდომებზე, შესაბამისი მუხლი (107-ე) შეტანილი იქნა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში. ცალკე უნდა შემუშავებულიყო ავტონომიური მმართველობის დებულება (მუხლი 108-ე). ნაშრომში განხილულია ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე დებატები.

ბიოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, რომ დამფუძნებელი კრების წევრი იყო ბათუმის ოლქის სამი მკვიდრი (ჰაიდარ აბაშიძე, ოსმან მიქელაძე, ყადირ შერვაშიძე), ეს მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებითაც, რომ დამფუძნებელი კრების როგორც ძირითადი, ისე დამატებითი არჩევნები ბათუმსა და მის ოლქში არ ჩატარებულა. ნაშრომში განხილულია ამ პიროვნებათა საქმიანობა დამფუძნებელ კრებაში.

ბათუმის ოლქი აღმოჩნდა საქართველოს უკანასკნელი კუთხე, რომელიც 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის დროს საქართველოს მთავრობის ხელში დარჩა და სადაც მუშაობა დაასრულა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ. ბათუმში, ქალაქის საბჭოს შენობაში, 1921 წლის 17 მარტს გაიმართა საქართველოს

დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომაც, რომლის დადგენილებითაც საქართველოს მთავრობა ნოე უორდანიას ხელმძღვანელობით სათანადო უფლებამოსილებით აღიჭურვა და ემიგრაციაში წავიდა საქართველოს ინტერესების დასაცავად.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, საქართველოს დამფუძნებელი კრება, ბათუმის ოლქი

**დავით სიღამონიძე**  
დოქტორანტი

**ნანა დვისაძე**  
მაგისტრანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ვეროინტეგრაცია და საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის  
განვითარება**

მოსხენება ეხება საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის განვითარების პერსპექტივებს ქვეყნის ვეროინტეგრაციის გზაზე. ვეროპული ინტეგრაცია ფართო გაგებით გულისხმობს ვეროპულ სახელმწიფოთა სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სამართლებრივ ინტეგრაციას, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალაც ვეროკავშირია. ვეროინტეგრაცია განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებშიც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ასოცირების შესახებ შეთანხმების, ვეროკავშირის სატრანსპორტო სტრატეგიისა და საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტში მიმდინარე რეფორმების ცოდნა, რათა გავაანალიზოთ ვეროინტეგრაციის შედეგები.

წარმოდგენილ მოხსენებაში განხილულია საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის განვითარება და მისი როლი ვეროინტეგრაციის პროცესში სატრანსპორტო დერეფანთან მიმართებით. თემა არჩეულია საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით. საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტში მგზავრთა და ტვირთბრუნვის კლება მოწმობს, რომ ამ სექტორში არსებობს პრობლემები. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, საჭიროა მისი საწყისების ძიება, პროცესის ევოლუციისათვის თვალის გადავენება და იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც განაპირობებს არსებულ მდგომარეობას.

ნაშრომის მიზანს და სიახლეს წარმოადგენს საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის თანამედროვე მდგომარეობის საზოგადოებრივ გეოგრაფიული ასპექტების შესწავლა, რომელმაც მოიცვა შემდეგი ამოცანები და საკითხები: საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტის გარშემო არსებული თანამედროვე ლიტერატურის ანალიზი არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიება და ახსნა; პარალელების გავლება წარსულსა და დღევანდელობას შორის, იმ ძირითადი ტენდენციებისა და ასპექტების გამოყოფა, რომლებმაც განიცადეს ცვლილება. აგრეთვე, იმ ფაქტორების გამოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობს ევროინტეგრაციას.

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, წარმოადგენს ევროინტეგრაციის პროცესში განხორციელებული ქმედებების მიზანთან მიმართებით ადეკვატურობის შეფასება; რეალური გარემო პირობების ზეგავლენის გათვალისწინებით რამდენად შესაძლებელია ამ მიმართულებით შედეგების მიღწევა.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია სისტემური მიდგომა. სატრანსპორტო სექტორი განხილულია, როგორც ერთიანი სისტემა, რომელზეც მოქმედებს შიგა და გარე ფაქტორები კომპლექსურად და დინამიკურად - განუწყვეტლივ დროსა და სივრცეში. დროსა და სივრცეში განუწყვეტლივ მოქმედი სისტემის ანალიზისას უპირატესობა მინიჭებული აქვს მეორადი დოკუმენტების ანალიზის მეთოდს. ანალიზის მეთოდის გამოყენებისას გათვალისწინებულია ფაქტი, რომ დოკუმენტების შესწავლა თანადროულად გამოვლენილ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ასევე, დოკუმენტების ანალიზის მეთოდის გამოყენებისას მნიშვნელობა მინიჭებული აქვს გამოყენებული დოკუმენტის ვალიდობისა და სანდოობის ძირითად კრიტერიუმებს (აუთენტურობას, სიზუსტეს, ლეგიტიმურობას, მნიშვნელობას).



საქართველოს სატრანსპორტო მდებარეობა შესაძლებელია განვიხილოთ ადგილმდებარეობის/ლოკაციის თეორიულ კონტექსტში. თეორია, რომელიც დაკავშირებულია ეკონომიკური საქმიანობის გეოგრაფიულ მდებარეობასთან, ის არის ეკონომიკური გეოგრაფიის, რეგიონული მეცნიერებებისა და სივრცითი ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ლოკაციის თეორია პასუხობს შეკითხვებს თუ რომელი ეკონომიკური საქმიანობები სად მდებარეობენ და რატომ.

2011 წელს ევროკომისიამ გამოსცა დოკუმენტი - „White Paper on transport“, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის ძირითად სტრატეგიას ტრანსპორტის განვითარების კუთხით. დოკუმენტის მიზანია ევროპის სატრანსპორტო სივრცის მომზადება სამომავლოდ, მისი კონკურენციისა და მდგრადი სატრანსპორტო სისტემის განვითარება, ამისათვის ევროკავშირის ამოცანებს წარმოადგენს:

- ტრანსპორტისა და მობილობის გაზრდა სათბური აირის ემისიების 60%-იანი შემცირების ხარჯზე;
- მულტიმოდალური საქალაქო მოგზაურობისა და ტრანსპორტის ეფექტური ბირთვის ჩამოყალიბება;
- კონტინენტში მდებარეობისა და შორ მანძილზე მოგზაურობის ეფექტური ქსელის განვითარება;
- სუფთა ურბანული ტრანსპორტი;
- პროდუქტის ტრანსპორტირების ხარჯი მინიმალურია.

სამწუხაროდ, ექსპერტებთან საუბრისას ვლინდება, რომ საქართველო ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. მაგალითად, Hub Georgia-ის წარმომადგენლებმა, ხაზი გაუსვეს, რომ ევროკავშირის სატრანსპორტო პოლიტიკის დოკუმენტის საფუძველია შემცირდეს ევროპის მასშტაბით სათბური აირების გაფრქვევის მოცულობა 60%-ით 1990 წელთან შედარებით, მაგრამ საქართველოს მიერ პარიზის ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებაში, რის

მიხედვითაც ქვეყანამ 2016 წელს წარადგინა ოფიციალური დოკუმენტი - NDC (ეროვნულად განსაზღვრული წვლილი), ტრანსპორტი საქართველოდ არ არის ნახსენები.

**საკვანძო სიტყვები:** ევროინტეგრაცია, საქართველოს სახმელეთო ტრანსპორტი, საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტი, საქართველოს მილსადენი ტრანსპორტი, საქართველოს რკინიგზა, საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანი, ასოცირების შეთანხმება, „ტრანსპორტის თეთრი წიგნი“

## სალომე ქარელი

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **როგორ პასუხობს კონფლიქტის ახალ სახეს - „ჰიბრიდული ომს“ ევროკავშირისა და საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა?**

სახელმწიფოებს შორის არსებული კონფრონტაციის გადაწყვეტა წლების განმავლობაში სხვადასხვა სტრატეგიითა და ტაქტიკით ხორციელდება. დაპირისპირებების ფორმა და ხასიათი თანდათანობით იცვლება და უფრო მოქნილი ხდება. შესაბამისად, კონფლიქტების მართვისა და ანალიზისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა კონფლიქტის ახალი ფორმების შესწავლა და უსაფრთხოების კონცეფციის დახვეწა.

ჰიბრიდული ომი კონფლიქტის შედარებით ახალი ფორმაა, რომელიც ძირეულ შესწავლას მოითხოვს, მასზე სწორი რეაგირების უზრუნველყოფისთვის. არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული ჰიბრიდული ომის განმარტება, რაც იწვევს გარკვეულ დებატებს საერთოდ სასარგებლოა თუ არა ამ ტერმინის დამკვიდრება. ხშირად ის გამოიყენება, როგორც ყველა ასიმეტრიული საფრთხის განსაზღვრებისას, ზოგჯერ მასში მოიაზრება მხოლოდ ინფორმაციული საფრთხეები, ზოგჯერ კი, მხოლოდ ტერორისტული.

მოსხენების მიზანია, პირველ რიგში შეისწავლოს თუ რა კომპონენტებს შეიცავს ჰიბრიდული ომი და აქედან გამომდინარე, შექმნას ერთიანი უნიფიცირებული მიდგომა. გამოაელინოს თუ რამდენად ახდენს გავლენას აღნიშნული საფრთხე საქართველოსა და ევროკავშირის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. სტრატეგიასთან ერთად, მოსხენებაში ადგილი დაეთმობა ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეების განხილვას,

კონფლიქტების სამხედრო განზომილებას და სამხედრო კომპონენტების საკითხს.

კვლევის ობიექტია ჰიბრიდული ომისგან გამოწვეული საფრთხეების წინააღმდეგ მებრძოლი ერთი მხრივ, საქართველო და მეორე მხრივ, ევროკავშირი.

კვლევის შედეგად შევეცდებით დავადგინოთ, თუ როგორ პასუხობს ამ გამოწვევებს საქართველო ეროვნულ დონეზე, როგორ პასუხობს ევროკავშირი ჰიბრიდული ომისგან შექმნილ რისკს და როგორია ზოგადად, საერთაშორისო ძალისხმევა შესაბამისი საფრთხეების პრევენციისა და გამოვლენის, მათზე მზადყოფნისა და რეაგირების მიზნით. ამის დასადგენად, კვლევის მიმდინარეობისას განხილული იქნება ევროკავშირისა და საქართველოს პოლიტიკა ჰიბრიდული ომის შემადგენელი ყველა კომპონენტის მიმართ.

საკითხის სიმწვავე მდგომარეობს იმაში, რომ დღის წესრიგში არსებული ახლებური საფრთხე თავის არსში მოიცავს ისეთ კომპონენტებს, რომელიც მოითხოვს რეაგირების გლობალურ მასშტაბს. მიუხედავად ამისა, ამ დრომდე არსებული განხორციელებული ღონისძიებების უმრავლესობა ლოკალური ღონისაა და არ ცდება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას.

მოსხენების დროს ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, რომ ჰიბრიდული ომისგან გამომდინარე საფრთხეებზე ეფექტური რეაგირებისათვის, აუცილებელია რეგიონული თუ საერთაშორისო ერთიანი მიდგომის შექმნა, როგორც საქართველოსთვის, ისე ევროკავშირისთვისაც. უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის შეიძლება ჩავთვალოთ შეთანხმებული სტრატეგიის შემუშავებისა და საზოგადოებრივი აზრის გაერთიანების მცდელობები.

კვლევაში გამოყენებული იქნება უსაფრთხოების პოლიტიკასთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტების კონტენტ-ანალიზი. მათ შორის, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციები, საგარეო პოლიტიკის სტრატეგიები, საფრთხეების შეფასების დოკუმენტები და სხვა კონცეპტუალური და სტრატეგიული დოკუმენტები;

გავაანალიზებთ სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც შესასწავლი საკითხის გარშემო არსებობს. იგულისხმება, როგორც თეორიული სახის ლიტერატურა, ისე უშუალოდ რევიონებთან დაკავშირებული კვლევები;

და ბოლოს, გამოვიყენებთ სიდრმისეული ინტერვიუებს, კერძოდ, ინტერვიუებს პოლიტიკური ელიტისა და საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან.

კვლევას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. აღნიშნული საკითხი საქართველოსთან მიმართებით სათანადო მეცნიერულ დონეზე ნაკლებადაა შესწავლილი, წინამდებარე გამოკვლევა კი ამ ხარვეზის შევსების ავტორისეული ცდაა.

აქედან გამომდინარე, ამ კვლევის საფუძველზე შესაძლებელი იქნება პრობლემის არსში გარკვევა და ქვეყნის სტრატეგიის ეფექტურობის განსაზღვრა, რაც ერთი მხრივ სახელმწიფოებრივ დონეზე ხელს შეუწყობს მოქალაქეთა კეთილდღეობას, ხოლო საერთაშორისო დონეზე, საყოველთაო მშვიდობის დამყარებაში საქართველოს სრულფასოვან თანამონაწილეობას.

კვლევის ამოცანაა საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ არსებულ აკადემიურ დებატებში შეიტანოს საკუთარი მოკრძალებული წვლილი. ასევე, ხელი შეუწყოს ჰიბრიდული ომის რისკების შემცირებაში, საქართველოს როლის შესახებ, აკადემიური დისკუსიების წახალისებას.

**საკვანძო სიტყვები:** ჰიბრიდული ომი, უსაფრთხოება, რბილი ძალა, კონფლიქტის მართვა, კონფლიქტი

## მარიანა ქევიშივილი

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ღობიზმი საქართველოში

კვლევა ეხება არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენას საჯარო პოლიტიკაზე „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მმართველობის პერიოდში. ჩემი ვარაუდით, 2012 წლიდან ახალი ხელისუფლების პირობებში, არასამთავრობო ორგანიზაციები გავლენას ვერ ახდენენ კანონშემოქმედებით პროცესზე. ამ ვარაუდს ამყარებს ის ფაქტი, რომ პარტიის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, მისივე განცხადებით, სკეპტიკურადაა განწყობილი მესამე სექტორის მიმართ. თავის განცხადებებში ის ხშირად ესხმის თავს არასამთავრობო ორგანიზაციებს. შესაბამისად, საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობა ითვალისწინებს მის განწყობებს და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილ კანონპროექტებს არ იღებს ან კანონის მიღების პროცესში არ ითვალისწინებს მათ შენიშვნებს და არგუმენტირებულ მოსაზრებებს.

კვლევის ძირითადი მიზანია განისაზღვროს პოლიტიკის ადვოკატირებით დაკავებული არასამთავრობო ორგანიზაციები რამდენად ახდენენ გავლენას კანონშემოქმედებით პროცესზე.

ჩვენ შევისწავლეთ საქართველოს პარლამენტში 2012-2018 წლებში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შეტანილი კანონპროექტების მიღება/არმიღების საკითხი. შესწავლილია, რამდენად მოახერხეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა მათ მიერ წარდგენილი კანონპროექტებისათვის სასურველი შედეგების მიღება. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ასევე ქართული მედიის შესწავლა, რაც გვაჩვენებს თუ როგორ ცდილობენ არასამთავრობო ორგანიზაციები ესა თუ ის საკითხი საზოგადოებაში უფრო ცნობადი და მნიშვნელოვანი გახადონ. მათი მესიჯები მიმართულია როგორც საზოგადოებრივი ყურადღების

მობილიზებისკენ, ისე მთავრობის წარმომადგენლებისადმი შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისკენ. აქედან გამომდინარე მესამე სექტორი მასშედის საშუალებით ცდილობს საკითხის ლობირებას და პოლიტიკის მწარმოებელი პირებისგან სასურველი გადაწყვეტილების მიღებას.

საკვლევი კითხვაა: რამდენად ახდენს გავლენას არასამთავრობო სექტორი კანონშემოქმედებით პროცესზე ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში?

თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ბაუმგარტნერის და ჯოუნსის წყვეტილი წონასწორობის თეორია და ტრაექტორიიდან გადახვევის მოდელი. ეს თეორიები ხსნის პოლიტიკის ცვლილებების მოდელს. წყვეტილი წონასწორობის თეორიის თანახმად, პოლიტიკის წარმოების სტაბილურობის ხანგრძლივი პერიოდი კრიტიკულ მომენტში შეიძლება შეწყდეს რადიკალური ცვლილებით. თუმცა სტატუს კვოს მხარდამჭერი მოთამაშეები უფრო მეტად ძლიერები არიან, ვიდრე პოლიტიკის ცვლილების მომხრეები. თუმცადა პოლიტიკის კურსის ცვლილების მომხრეების მიერ განხორციელებული წარმატებული ადვოკატირების კამპანია სტატუს-კვოს ცვლილებას იწვევს.

ქართული მედიის შესასწავლად კი გამოვიყენეთ ფრეიმინგის თეორია, რომელიც სწავლობს, თუ როგორ გამოყოფენ და ამზადებენ ჟურნალისტები პოლიტიკურ ინფორმაციას საზოგადოებაში წარსადგენად. ისინი თავისთავად ქმნიან ფრეიმებს, როდესაც გადმოსცემენ ამბებს და ამით საზოგადოებრივ აზრს აყალიბებენ. ამა თუ იმ საკითხს ფრეიმის საშუალებით ენიჭება კონკრეტული შინაარსი, ხაზგასმის, ინტერპრეტაციისა და გამორიცხვის საშუალებით.

კვლევის მეთოდად გამოყენებულია კონტენტ ანალიზი. მისი საშუალებით შევისწავლეთ საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაცია, ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ შეტანილი კანონპროექტების შესახებ და ქართული მედია, რომელშიც შექდება პოლიტიკური საკითხები.



**საკვანძო სიტყვები:** ლობირება, კანონპროექტი, პარლამენტი, არასამთავრობო ორგანიზაციები

## ზვიად აბაშიძე

ასოცირებული პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ზვიად გამსახურდიას დისკურსი ეთნიკური უმცირესობების შესახებ 1990-91 წლებში: ოფიციალური გამოსვლებისა და ინტერვიუების ანალიზი**

როჯერს ბრუბეიკერის ცნობილი სამეცნიერო თეზის მიხედვით, პოს-კომუნისტური სახელმწიფოების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ე.წ. „გაეროვნულების პოლიტიკა“ გახლდათ, რაც უმთავრესად, ფაქტობრივი ეთნიკური დისკრიმინაციისა და ჩაგვრის საფუძველზე ახალი ერი-სახელმწიფოების მშენებლობას გულისხმობდა. წარმოდგენილი მოხსენების მთავარი მიზანია გადავამოწმოთ ბრუბეიკერის თეზისი საქართველოს 1990-91 წლების მაგალითზე.

ერის ეთნიკური გაგება და წარმოსახვა XVIII-XIX საუკუნეების გერმანიიდან იღებს სათავეს, სადაც მან, საფრანგეთისგან განსხვავებით, ეთნო-კულტურული სახე მიიღო. მოცემული პოლიტიკური ტრადიცია მთელი აღმოსავლეთი ევროპისთვის იქცა „ერისა“ და „ეროვნული სახელმწიფოს“ ამოსავალ წერტილად. მოცემული ტრადიციის გაგრძელების არეალში მოექცა საქართველოც, თუმცა ეს ტრადიცია 1918-21 წლების რესპუბლიკაში შეირყა. მოცემული ვითარება დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგანაც საბჭოთა კავშირში გატარებულმა ეროვნულმა პოლიტიკამ საბოლოოდ მოახდინა ერის ეთნიკური გაგების ინსტიტუციონალიზაცია, რომელიც ყოფილ საბჭოთა ხალხებს შორის ლამის ურყევ პოლიტიკურ დოგმად გადაიქცა. ამრიგად, პოსტ-სოციალისტური დამოუკიდებელი სახელმწიფოებისთვის „ერი“ და „ეთნიკური ერთობა“ იმთავითვე იდენტურ კონცეფციასა და საზოგადოების მიერ მტკიცედ გაზიარებულ ფენომენს წარმოადგენდა. სწორედ ამ ვითარებაში ხდება

საქართველოში ახალი, არაკომუნისტური ხელისუფლების არჩევა და შემდეგ დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება.

1990-91 წლები ერთ-ერთი რთული და საინტერესო პერიოდია საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში. ახალი, პოსტ-სოციალისტური ეროვნული სახელმწიფოს მთავარ მედროშედ ზვიად გამსახურდია იქცა, რომლის პიროვნულმა ფაქტორმა დიდი როლი ითამაშა იმდროინდელი პოლიტიკური რეჟიმის რაგვარობის ჩამოყალიბებაში. წარმოდგენილ მოხსენებაში შევეცდებით წარმოვაჩინოთ ზვიად გამსახურდიას დამოკიდებულება ეთნიკური უმცირესობებისადმი, რომელიც მას გამოხატული და დაფიქსირებული აქვს მის ოფიციალურ განცხადებებში, გამოსვლებსა და ინტერვიუებში.

როგორც, ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურასა და წყაროებში, ხშირად ვხვდებით გამოთქმულ მოსახზრებებს, რომ ზვიად გამსახურდიამ ოფიციალურ ლოზუნგად აქცია ფრაზა „საქართველო ქართველებისთვის“. წარმოდგენილი მოხსენებაში შევეცდებით დავადგინოთ, თუ რამდენად შეეფერება სიმართლეს გამსახურდიასადმი ამგვარი დამოკიდებულება. შესრულებული ანალიზი ცხადყოფს, რომ ზვიად გამსახურდია არც ერთ ოფიციალურ განცხადებას, გამოსვლაში თუ მოხსენებაში არ ადასტურებს მისდამი მიწერილ მოცემულ ბრალდებას. პირიქით, იგი ყველა განცხადებასა და გამოსვლაში ცდილობს თავი აარიდოს ეთნიკური უმცირესობებისადმი დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას და შემრიგებლური პოზიცია დაიკავოს. აღარაფერს ვამბობთ უკვე ოფიციალურად მიღებულ კანონებსა და რეგულაციებზე, სადაც საერთოდ არ ფიქსირდება დისკრიმინაციის ფაქტები.

შესაბამისად ამისა, შეგვიძლია იმის თქმა, რომ საქართველოს 1990-91 წლების შემთხვევაში, ბოლომდე არ დასტურდება როჯერს ბრუბეიკერის თეზისი „გაეროვნულების პოლიტიკის“ შესახებ და იგი რამდენამდე გადახედვას მოითხოვს.

**საკვანძო სიტყვები:** ნაციონალიზმი, ეთნიკური უმცირესობა, სამოქალაქო ინტეგრაცია

## ალა ბიბილაშვილი

ასოცირებული მკვლევარი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი

### ისლამის როლი ჩრდილოკავკასიურ სოციალურ რელიგიურ დისკურსის პოლიტიზებაში

ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს გეოპოლიტიკური კოორდინატების სისტემაში, რადგანაც ის უზრუნველყოფს რუსეთის სივრცობრივ კონტაქტს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან და ხელს უწყობს რუსეთის პოზიციების განმტკიცებას შავი და კასპიის ზღვების რეგიონებში. ამასთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასია, იქ არსებული არასტაბილურობით, დაძაბულობით, სოციალ-პოლიტიკური პრობლემების მოუგვარებლობითა და ექსტრემიზმის განვითარების საფრთხით რუსეთის მთავარ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში არსებული კონფორტაციის განმუხტვა და სტაბილურობის მიღწევა მნიშვნელოვან ფაქტორად მოიაზრება უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისათვის არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მთელ ვერაზიულ სივრცეში.

იმპერიული დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის დროიდან, ისლამური რელიგია ჩრდილოკავკასიელების მენტალობასა და მსოფლადქმაში დამოუკიდებლობის აღდგენის სიმბოლოდ მოიაზრებოდა, რამაც საპროტესტო მოძრაობის განვითარებაში მისი ქმედითი როლი განაპირობა. კავკასიური ომის დამთავრების შემდეგ რუსეთის ხელისუფლება შეუდგა ადგილობრივი საზოგადოების მიზანდასახულ გარდაქმნას იმპერიის სოციალ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მექანიზმში მისი ინტეგრირების მიზნით. საზოგადოებრივი ცხოვრების საწყისების ურთიერთშემწეობის რთული პროცესის პარადიგმა დიდ წილად ასახავდა ჩრდილოკავკასიის

რეგიონის მოსახლეობის მსოფლმხედველობით, პოლიტიკურ და სოციალური პრაქტიკის ასპექტებს.

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხს მათი გაერთიანებისა და ტრადიციულ ნაციონალურ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფო ფორმირების საშუალება მიეცა. ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებმა სცნეს საბჭოთა ხელისუფლება შარიათისა და ადათის ლეგიტიმაციის პირობით. პოსტრევოლუციური გარდაქმნების შემდგომ ეტაპზე ადმინისტრაციული რეფორმები პოლიტიკურ-იდეოლოგიური უნიფიცირების საფუძველზე ტარდებოდა, ჩრდილოკავკასიელების სოციალური ტრადიციებისა და მენტალური თავისებურების გათვალისწინების გარეშე. გასული საუკუნის ბოლოს, პოსტსაბჭოურ სივრცეში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნას თან მოჰყვა „სუმერენიტეტთა აღლუმი“, რამაც ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკათა წინაშე ეროვნული ცნობიერებისა და საკუთარი მსოფლშეგრძნების გამოვლინების შესაძლებლობა დასახა.

ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ძირითადი იდეოლოგიური კონსტანტებისა და მსოფლმხედველობითი მოდიფიკაციების ასპექტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოთხმოცდაათიან წლებში ჩრდილოკავკასიელების მენტალობაში ეთნიკური ნაციონალიზმისა და ეთნიკური თვითგამორკვევის იდეა დომინირებდა, რაც პოლიტიკური პროცესების, მმართველობით და ბიზნეს -სტრუქტურების განვითარებაში ისახებოდა. მომდევნო პერიოდში, ეთნიკური პრიორიტეტები „წმინდა ისლამის“ საწყისებზე დაფუძნებული ერთიანი სახელმწიფოს-იმამათის შექმნამ შეცვალა, მნიშვნელოვნად გაძლიერდა მოდერნიზებული ისლამური მიმდინარეობების გავრცელების ტენდენციები და გაფართოვდა მათი ზეგავლენის სფერო. ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც არსებობდა მჭიდრო ურთიერთობა პოლიტიკურ, სოციალურ და კონფესიურ პროცესებს შორის, თანდათანობით მცირდებოდა ისლამური რელიგიის ტრადიციული მოდელის როლი და

ძლიერდებოდა „წმინდა ისლამის“ კონცეფციაზე დაფუძნებული რელიგიური მოძრაობები და გაერთიანებები. მათი იდეოლოგიები ქადაგებდნენ ისეთი თეოკრატიული სახელმწიფოს შექმნას, სადაც ყველა სოციალური ფენის თანასწორუფლებიანობა იქნებოდა უზრუნველყოფილი. ამგვარი ეგალიტარული ტენდენციები განახლებული ისლამის გაძლიერებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ისლამური კონცეფციის მიხედვით, თვითიდენტიფიკაცია გაიაზრება, როგორც იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც სამოქალაქო მიზნების განხორციელებისას თეოლოგიურ არგუმენტებს იყენებს. ჩრდილოეთ კავკასიაში „წმინდა ისლამი“ სოციალურ, ზნეობრივ და მსოფლმხედველობით ასპექტში მოიაზრება, როგორც არსებული სახელმწიფო რეჟიმის იდეოლოგიის ალტერნატივა, წინააღმდეგობის სიმბოლო, სამართლებრივი სოციალური წყობის დამკვიდრების აუცილებელი წინაპირობა და ფუძემდებელი კომპონენტი; ისლამი აღიქმება როგორც დომინანტური, ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიური სისტემა, როგორც თანამედროვე საზოგადოების სახელმწიფო და სოციალური მოწყობის მთავარი შემადგენელი ნაწილი.

**საკვანო სიტყვები:** ჩრდილოეთ კავკასია, სოციალ-პოლიტიკური განვითარება, იდეოლოგიური ტრანსფორმაციები, ტრადიციული რელიგიის მოდელი, „წმინდა ისლამის“ მიმდინარეობები, სოციუმის პოლიტიზირება

## ეკა დარბაიძე

დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### დემოკრატიის კრიზისი და ახალი კლასი საქართველოში

გენდერული თანასწორობის მიღწევა შეუძლებელია ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და ეკონომიკურ საქმიანობაში მათი თანაბარი ჩართულობის გარეშე. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება შრომის ბაზარზე თანასწორი ჩართულობითა და პროდუქტიულ რესურსებზე თანაბარი წვდომით იზომება. ამრიგად, თანაბარი შრომითი უფლებები, როგორც შრომის ბაზარზე თანასწორი ჩართულობის წინაპირობა, აუცილებელი ელემენტია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და ზოგადად, გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

ნეოლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში ხელი შეუწყო ახალი კლასის სტრუქტურის ჩამოყალიბებას, რომელსაც ბრიტანელი მკვლევარი გაი სტენდინგი პრეკარიატს უწოდებს, რომელიც ხასიათდება ახალი ტიპის ურთიერთობებით და სულ უფრო და უფრო მეტი არასტაბილურობით დოვლათის გადანაწილებისას სახელმწიფოს მხრიდან ამ კლასთან მიმართებით. პრეკარიატი ახალი სოციალური კლასია, რომლის წარმომადგენლები იძულებულნი არიან იმუშაონ დაბალ ანაზღაურებად, არასტაბილურ და დროებით სამსახურში, ყოველგვარი სოციალური დაზღვევისა და მათ შორის, დეკრეტული შევებულების გარეშე. ხშირად პრეკარიატის, როგორც კლასის წარმომადგენლები ქალები არიან, რომლებიც იძულებულნი არიან თანხმობა განაცხადონ ასეთ სამსახურზე. დაქვემდებარებულობა, ექსპლუატაცია და კონტროლი, რომელიც ნეოლიბერალურ რაციონალურობას ახასიათებს ქალებთან მიმართებით. „ახალი ეკონომიკის“ დისკურსი,



რომელიც „შემოქმედებითი მუშაკების“ იდეალიზებას ახდენს, ხშირად ნეოლიბერალური მთავრობების პოლიტიკის წყალობით საშუალებას იძლევა ერთგვარად მიჩქმალოს თავს მოხვეული პრეკარიატულობა. გლობალურ კაპიტალიზმში არსებული სამუშაო ადგილების უმრავლესობისათვის დამახასიათებელი ნიშნებია: ქალთა მუშაობის პრეკარიატულობა, ფრაგმენტულობა, დაბალი სტატუსი და შესაბამისად დაბალი ანაზღაურება. ნეოლიბერალური მთავრობების ტექნიკები საშუალებას იძლევა პრეკარიატი მუდმივ და განგრძობით რეჟიმად აქციოს.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უმუშევრობის გამო, საქართველოში მრავალმა ქალმა განიცადა დისკვალიფიკაცია და იძულებული გახდა გადასულიყო არარეგისტრირებულ, თვითდასაქმების სფეროში. მათ შორის ბევრი მოექცა შრომის ბაზრის გარეთ, ანუ არაფორმალურ სექტორში ე.წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ არეალში, სადაც ყოველგვარი შრომითი უსაფრთხოების გარეშე მუშაობენ და უხეშად ირღვევა მათი უფლებები. ოჯახებს, რომელთაც არ გააჩნიათ საარსებო წყაროს შექმნის ხელშემწყობი პირობები, განსაკუთრებით სოფლად, ქალთა უმრავლესობა იძულებულნი არიან ოჯახისა და შვილების გადასარჩენად გაემგზავრონ დიდ ქალაქებში ან საზღვარგარეთ სამუშაოს მოსაძებნად, სადაც იმის გამო, რომ ვერ აკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს და შეიძლება ჩართული აღმოჩნდნენ სხვადასხვა არაფორმალურ საქმიანობაში. საქართველოს დიდ ქალაქებში სამუშაო ადგილებზე, ხშირად ირღვევა იმ ქალთა შრომის სამართლებრივი უფლებები, რომლებიც დასაქმებულები არიან კაფეებში, ბარებში, რესტორნებში, მაღაზიებში, ჯიხურებში თუ სხვაგან, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით პრობლემურია შრომის მძიმე პირობები.

ჩვენი კვლევის ძირითადი მიზანია, შეისწავლოს თუ როგორი არის დღეს დასაქმებული ქალების არსებული მდგომარეობა შრომის

ბაზარზე საქართველოში; რამდენად უწყობს არსებული ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო გენდერული და სოციალური თანასწორობის დამყარებას შრომის ბაზარზე; რამდენად იცავს საქართველოს შრომითი კანონმდებლობა დასაქმებული ქალების, ამ შემთხვევაში, ჩვენი სამიზნე ჯგუფის - სერვის ცენტრებში დასაქმებულ ქალთა უფლებებს და იძლევა თუ არა ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო მათი უფლების დამცავ გარანტიებს.

**საკვანძო სიტყვები:** გენდერული თანასწორობა, პრეკარიული შრომა, პრეკარიული კლასი, დასაქმებული ქალები, ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკა

## ვალერიან დოლიძე

ასისტენტ-პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ევროინტეგრაციის პროცესი და საქართველოს პოლიტიკური განვითარების ციკლები

მოსხენებაში გაანალიზებულია ევროინტეგრაციის პროცესის გავლენა საქართველოს დემოკრატიულ განვითარებაზე. ავტორის აზრით, საქართველოს პოლიტიკური განვითარება მიმდინარეობს საშინაო და საგარეო ფაქტორების ურთიერთქმედების პროცესში, რომლებიც შესაბამისად წარმოშობენ პოლიტიკური სისტემის განვითარების ორ ვექტორს- ავტორიტარულსა და დემოკრატიულს. ევროინტეგრაციის პროცესი აძლიერებს საგარეო ფაქტორის როლს ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაში, რაც ავსებს დემოკრატიული განვითარების რესურსების დეფიციტს ქვეყნის შიგნით, ასუსტებს წარსულზე დამოკიდებულების (past dependence) გავლენას პოლიტიკურ განვითარებაზე, რითიც აძლიერებს დემოკრატიული განვითარების პოტენციალს. დემოკრატიული და ავტორიტარული განვითარების ვექტორების ურთიერთქმედება წარმოშობს საქართველოს პოსტკომუნისტური პოლიტიკური ტრანსფორმაციის თავისებურებას, რაც მის ციკლურ ხასიათში ვლინდება. ნაშრომში გამოყოფილი და გაანალიზებულია ავტორიტარიზმისა და დემოკრატიზაციის ციკლები, ნაჩვენებია თითოეული მათგანის მნიშვნელობა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაში. ავტორის აზრით, დემოკრატიზაციის ხანმოკლე ციკლებს საქართველოში ცვლიდა ავტორიტარიზმის ხანგრძლივი ციკლები, რომელთა გაძლიერებასაც აფერხებდა ევროინტეგრაციის პროცესი. ავტორიტარიზმის ყოველი მომდევნო ციკლი ასუსტებდა ქვეყნის პოლიტიკურ განვითარებაზე მისი წარსულის გავლენას. ერთი ავტორიტარული ციკლის დასრულების შემდეგ, ქვეყანა გადადიოდა დემოკრატიზაციის მორიგ ციკლში (გამონაკლისია გამსახურდიას მმართველობა), რომელსაც წყვეტდა ავტორიტარიზმის შემდეგი ციკლი. პოლიტიკური განვითარებისა და ელექტორალური ციკლები ერთმანეთს არ ემთხვევიან. თოთოეული

ავტორიტარული ციკლი მოიცავდა რამდენიმე ელექტორალურ ციკლს, რომლებიც ამყარებდნენ ავტორიტარულ მმართველობას და ლეგიტიმურობას სქენდნენ მას. არჩევნები ასრულებდა აგრეთვე სახელმწიფო გადატრიალებების ლეგიტიმაციის ფუნქციას. ავტორიტარული პოლიტიკური ციკლების ფორმირებაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა მოლოდინები, რომლებსაც წარმოშობდა პოლიტიკური ლიდერების ქარიზმა. მათი ქარიზმის დასუსტება იწვევდა ავტორიტარიზმიდან დემოკრატიზაციის ციკლებზე გადასვლას. საქართველოს ავტორიტარული ლიდერები (ე.შევარდნაძე, მ.სააკაშვილი) ხელს უწყობდნენ ევროინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, რომლითაც ასუსტებდნენ ქვეყნის ავტორიტარული განვითარების რესურსებს. თითოეული ავტორიტარული ციკლი თავის ფუნქციას ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ განვითარებაში. ავტორიტარიზმის პირველმა ციკლმა-კონსერვატორული ავტორიტარიზმი (გამსახურდიას მმართველობა) საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებლობასა და ახალი სახელმწიფოს მშენებლობას; დაასუსტა დემოკრატიზაციის გაღრმავების რესურსები. ავტორიტარიზმის მეორე ციკლის - ლიბერალიზებული ლიბერალური ავტორიტარიზმის დროს (შევარდნაძის მართველობა) იწყება ლიბერალური სახელმწიფოს მშენებლობა, სწრაფად ღრმავდება საზოგადოების ვესტერნიზაცია, ძლიერდება დემოკრატიზაციის რესურსები; ყალიბდება ახალი სტრატეგიკაციული სისტემა.

ავტორიტარიზმის მესამე ციკლია ლიბერალური ავტორიტარიზმი (მ.სააკაშვილის მმართველობა). ამ დროს ძლიერდება სახელმწიფოს პოტენციალი, დემოკრატიზაციის პოტენციალის დასუსტების ხარჯზე. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად იწყება დემოკრატიზაციის მორიგი ციკლი, რომელიც გადაიზარდა არაკონსოლიდირებულ დემოკრატიაში.

**საკვანძო სიტყვები:** დემოკრატია, დემოკრატიზაცია, პოლიტიკური ციკლები, ავტორიტარიზმი, არჩევნები, ევროინტეგრაცია

## გიორგი კვინიკაძე

ასოცირებული პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### სამხრეთი კავკასიის გეოეკონომიკური ლანდშაფტი

სამხრეთი კავკასია მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი რეგიონია. მისი ეკონომიკური პოტენციალი იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში რეგიონი უნდა იყოს არა პასიური მომხმარებელი, არამედ, პირიქით, გახდეს შესაძნევი მოთამაშე. მას ძალუძს საკუთარი წვლილის შეტანა მსოფლიო ეკონომიკაში, განსაკუთრებით, მსოფლიო მეცნიერებატევად წარმოებაში. აღნიშნული დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ჩამოყალიბდება მისი გეოეკონომიკური ლანდშაფტი.

კვლევის მიზანიც სწორედ იმ აქტორთა ანალიზია, რომლებიც გავლენას ახდენდნენ და ახდენენ რეგიონის გეოეკონომიკურ ლანდშაფტის ფორმირებაზე. კვლევა მოწოდებულია უპასუხოს ორ მთავარ კითხვას: 1. რას წარმოადგენს სამხრეთი კავკასიის გეოეკონომიკური ლანდშაფტი და 2. რომელი აქტორებია ამ მხრივ ყველაზე მოწვევადები. ნაშრომი განეკუთვნება თვისებრივი კვლევების კატეგორიას და მასში გამოყენებულია შემთხვევის (Case-Study), კარტოგრაფიული და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

რეგიონის გეოეკონომიკური ლანდშაფტის ანალიზისათვის შეირჩა შემდეგი მაჩვენებლები: ჩართულობა გლობალურ ვაჭრობაში, კორუფციის აღქმა, გლობალური კონკურენტუნარიანობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი სტრუქტურა (სივრცითი და დარგობრივი), ეკონომიკური თავისუფლება, განათლების დონე.

ინოვაციები, ტექნოლოგიების განვითარება, მილიტარიზაცია, ცოდნის ეკონომიკა, მართვის ხარისხი და საგარეო სავაჭრო ბალანსი.

ხელისუფლების გეოეკონომიკური აქტივობის შესაფასებლად კი გამოყენებულ იქნა მართვის ხარისხის ჯამური მაჩვენებელი, რომელშიც შედის: მოსახლეობის აზრის გათვალისწინება და სახელმწიფო ინსტიტუტების ანგარიშვალდებულება; პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობის არარსებობა, მთავრობის მუშაობის ეფექტურობა; კანონის უზენაესობა და კორუფციის პრევენცია.

კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა ის ძირითადი პრობლემები, რომელიც ხელს უშლის რეგიონის აქტიური გეოეკონომიკური ლანდშაფტის ჩამოყალიბებას. კერძოდ, ასეთ პრობლემათა რიგს განეკუთვნება: შიდა ბაზრის მცირე ზომა; პრიორიტეტების არარსებობა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისას; საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციის სიძნელეები, რეგინალური და გლობალური ბაზრების არასტაბილურობა; პოლიტიკური არასტაბილურობა; კაპიტალის ექსპორტზე დამოკიდებულების მაღალი დონე და მთავრობების გეოეკონომიკური აქტივობის დაბალი დონე.

ბიზნესისა და კომერციის სტიმულირება, უნდა განხორციელდეს როგორც ერთმანეთთან მიმართებითი, ისე ტრანსკონტინენტალური პროექტების ჭრილში. ავტორს არ აქვს იმის ილუზია, რომ მსგავსი ლანდშაფტის ფორმირება მოხდება უახლოეს მომავალში. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში იმდენად დაჩქარდა პროცესები, რომ არ უნდა გამოვირიცხოთ რეგიონის გეოეკონომიკური ლანდშაფტის ამგვარი სცენარით ფორმირება.

**საკვანძო სიტყვები:** სამხრეთი კავკასია, გეოეკონომიკური ლანდშაფტი, მთავრობის ეფექტიანობა, მართვის ხარისხი, ევროინტეგრაცია, ევრაზიული კავშირი



## **ვახტანგ მაისაია**

ასოცირებული პროფესორი

## **მირანდა მიქაძე**

დოქტორანტი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

### **„ჰიბრიდული ომის“ გეოსტრატეგიული ასპექტები და რაობა (მეოთხე თაობის ომი) - კიბერომის მაგალითზე**

ჰიბრიდული ომი „ახალი თაობის ომის“ ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია. მისი რაობა, როგორც ახალი ფენომენის უფრო ფართო წარმოჩინდა 21-ე საუკუნის საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში. ჰიბრიდული ომის განზომილების სამხედრო ასპექტები უტოლდება მეოთხე თაობის ომების კონცეფციას, სადაც პრიორიტეტული მიმართულებები ენიჭება ბრძოლის წარმოებას, ასიმეტრიული სამხედრო საფრთხეების ნეიტრალიზაციისთვის მოწინააღმდეგის ნების დამარცხება და არა თვით მოწინააღმდეგის ფიზიკური განადგურება.

ჩვენი მოხსენების მიზანია, შევისწავლოთ „ჰიბრიდული ომის“ რაობა და მისი გეოსტრატეგიული ასპექტების განხილვა კიბერომის კონცეპტუალურ ჩარჩოში. კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდებს, კერძოდ, ლიტერატურის მიმოხილვას, რომლის საშუალებით განგავითარებთ კვლევის თეორიულ ჩარჩოს და შემთხვევის ანალიზს (Case study).

ჰიბრიდული ომის კონკრეტულ გამოვლენად ამ ეპოქაში ითვლება რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის სუვერენული ტერიტორიის ყირიმის ნახევარკუნძულის ოკუპაცია. ყირიმის ანექსიამ გამოიწვია საფრთხე, რომ რუსეთმა, შესაძლოა, შექმნას სამხედრო მოქმედებების წინაპირობა ნებისმიერ ქვეყანაში, ამას გარდა ჰიბრიდული ომის



პირობებში წარმოებული საომარი მოქმედებები შეინიშნება სირიის რეგიონულ ომში.

კიბერსივრცეში განხორციელებული ვირტუალური ომის წარმოება ასევე წარმოადგენს ჰიბრიდული ომის ნაირსახეობას, რომელსაც ეწოდება "კიბერ ომი". კიბერ ომი არის ეროვნული უსაფრთხოების ახალი საფრთხე.

ჰიბრიდული ომის სამხედრო სტრატეგიული პარამეტრების ზოგადი მიმართულებები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს შემდეგი სახით: - მოწინააღმდეგის არა ფიზიკური, არამედ მორალური და პოლიტიკური დამარცხება - კომბინირებული საომარი ტაქტიკური ელემენტების ტერორიზმის, კრიმინალური და კიბერ ბრძოლის მეთოდების ერთობლივ, კოორდინირებულ, ღია და ფარულ გამოყენებას.

საინფორმაციო-პროპაგანდისტური ბრძოლის წარმოება - კიბერომი - კულტურული ექსპანსია - პარტიზანული ტიპის საომარი კამპანიის წარმოება ამიტომაც, ასეთი ტიპის ომის წარმოებისას უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი შედეგები არ იქნება ისეთი დამანგრეველი როგორც ეს ხდებოდა წინა თაობების პერიოდში, მაგრამ იქნება უფრო სერიოზული შედეგი მსოფლიო საზოგადოებისთვის. ამიტომაც, დღევანდელ დღეს აქტუალურია ომის გარკვევა თუ რას წარმოადგენს ჰიბრიდული ომი. ამ კუთხით ჯერაც არ არის გარკვეული მისი რეალური იდენტიფიკაცია. ქართველი მეკლავრებს ამ მიმართულებით გადადგმული აქვთ გარკვეული სახის ნაბიჯები. მაგალითად, საქართველოში მოღვაწე ერთ-ერთ წამყვანი სპეციალისტი და ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, პროფესორი ბესო აღადაშვილი იძლევა ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ საინტერესო დეფინიციას: „ჰიბრიდული ომი - ეს არის ომი მართვადი ქაოსის მეშვეობით, რომლის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია საინფორმაციო ომი, მოწინააღმდეგის სრული დემორალიზების მიზნით“. სწორედ საინფორმაციო ომის კომპონენტის არსებობა წარმოადგენს ე.წ. „მეთოხე თაობის ომის“ კონცეფციის შემადგენელ ნაწილს. თავის მხრივ კი, საინფორმაციო ომის ერთ-ერთ ნაირსახეობას შეადგენს კიბერომის თეორია.

**საკვანძო სიტყვები:** ჰიბრიდული ომი, მეოთხე თაობის ომი, კიბერომი, გეოსტრატეგიული ასპექტები

## გიორგი მელიქიძე

დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **სამოქალაქო საზოგადოების როლი ჰიბრიდულ რეჟიმებში: დემოკრატიზაციის გამოწვევები საქართველოში**

დღეს დამკვიდრებული ტერმინი „ჰიბრიდული რეჟიმი“ აერთიანებს სახელმწიფოთა ფართო ჯგუფს და მოიცავს დემოკრატიისა და ავტორიტარიზმის ელემენტებს. ჰიბრიდული რეჟიმი ავტორიტარული რეჟიმის დემოკრატიზაციის შედეგად წარმოიქმნება. მისი გარდაქმნის პერსპექტივა ელექტორალურ დემოკრატიად მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, პირველ რიგში კი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე. ტოტალიტარიზმი სამოქალაქო საზოგადოების ნგრევას იწვევს და პოსტტოტალიტარიზმის პირობებში მისი აღდგენა უადრესად რთული პროცესია. სამოქალაქო საზოგადოების სტიმულირება არასამთავრობო სექტორით ხდება, თუმცა ეს არ არის სრულყოფილი სამოქალაქო საზოგადოება.

მოცემული ნაშრომის მიზანია დადგინდეს სამოქალაქო საზოგადოების როლი საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესში. ჰიბრიდული რეჟიმის დემოკრატიული ტრანსფორმაცია სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას უკავშირდება. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სამოქალაქო საზოგადოების ცნება, რადგან თუკი მას მხოლოდ ფასადური ხასიათი აქვს, მაშინ არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს დემოკრატიული გარდაქმნებისთვის. კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, ქვეყნებში, სადაც ჩამოყალიბდა კლიენტელისტური/ელიტისტური სამოქალაქო საზოგადოება შეფერხდა დემოკრატიზაცია, რამაც გამოიწვია სტაგნაცია. 1990-იანი წლების საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების

სტიმულირება არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნა-გააქტიურებით ხდებოდა. ეს ორგანიზაციები კი დასავლეთიდან ფინანსდებოდნენ. არასამთავრობო სექტორმა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების სახელით მოქმედებდა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ვარდების რევოლუციაში.“ შეიქმნა ახლადმოსული მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების „თანამშრომლობის“ პრეცედენტი, თუმცა ეს მხოლოდ საწყის ეტაპზე. როგორც სააკაშვილის მმართველობისას, ასევე მომდევნო წლებშიც სამოქალაქო საზოგადოება ოპონირებას უწევდა მთავრობას. პოსტსაბჭოთა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება არ გამოირჩეოდა განვითარების მაღალი მაჩვენებლით, რაც უარყოფითად აისახებოდა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესზე. საქართველოში დემოკრატიის მშენებლობა ნებისმიერი ხელისუფლების მთავარი განაცხადია, თუმცა ქვეყანა ჰიბრიდული რეჟიმის სტატუსს ვერ გასცილდა. აღსანიშნავია, რომ საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელიც არ იხრებოდა არც დემოკრატიზაციისკენ და არც ავტორიტარული მმართველობისკენ. საქართველოს მთავარ გამოწვევად კანონის უზენაესობა, საარჩევნო პროცესი და სახელმწიფოს ფუნქციები განიხილება. ავტორიტეტულმა ორგანიზაცია „ფრიდომ ჰაუსმა“ ამგვარ მმართველობას „კანონგარეშე დემოკრატია“ უწოდა.

უკანასკნელი ათი წელი გარდამტეხი ეტაპი აღმოჩნდა საქართველოსთვის არამართო ისტორიულ-პოლიტიური პროცესების გამო, არამედ დემოკრატიზაციის თვალსაზრისითაც. საინტერესოა, რომ 2008 წლიდან დღემდე დემოკრატიზაციის სხვადასხვა მაჩვენებელი იცვლიდა პოზიციას, თუმცა სამოქალაქო საზოგადოება ურყევად ინარჩუნებდა საშუალო მაჩვენებელს. კვლევის დროს გამოყენებული მაქვს თვისებრივი კვლევის მეთოდი, სიღრმისეული, ექსპერტული ინტერვიუები სფეროს ექსპერტებთან.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, დემოკრატიზაცია, კიბრიდული რეჟიმი, სამოქალაქო საზოგადოება

### **ავთანდილ ტუკვაძე**

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ირაკლი უბილავა**

ასპირანტი

რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი

## **„სუვერენული დემოკრატია“ – რუსული დემოკრატიის დინამიური მოდელი**

პოსტსაბჭოთა რუსეთის პოლიტიკური სისტემის მოდერნიზაციის პროცესში შეუძლებელი გახდა დასავლურ ლიბერალური დემოკრატიის ტრანსპლანტაცია: მმართველი ელიტის მცდელობას მოჰყვა პოლიტიკური სისტემის ფარგლებში მოქმედი ინსტიტუტების ქაოტურ ფუნქციონირება. უმრავლესობის ნების საწინააღმდეგოდ, სახელისუფლო ვერტიკალის ზედა, ელიტურ საფეხურზე, რადიკალურ ლიბერალურ იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგარი, პროდასავლური აზროვნების მქონე უმცირესობა აღმოჩნდა. რუსეთის სინამდვილეში კი, ეს გახლდათ ის უმთავრესი მიზეზი, რომელმაც გაზარდა ანტიგლობალისტური ტენდენციები და შესაბამისად, მოთხოვნილება ანტილიბერალურ პოლიტიკურ თეორიებზე და გამოიწვია კონსერვატიული და სოციალისტური პოლიტიკური იდეების აღმავლობა, და ხალხის ცნობიერებაში, ამ უკანასკნელი პოლიტიკური დოქტრინების გამაერთიანებელ პერსონიფიცირებულ პოლიტიკურ ფიგურაზე ორიენტაცია. რუსეთის ისტორიის განვითარების ყველა ეტაპზე, რუსული პოლიტიკური აზრი სახელმწიფოსა და

ცივილიზაციის განვითარების სპეციფიკურ, ევროპისა და დასავლეთისგან განსხვავებულ ქრისტიანული ღირებულებებისა და დემოკრატიის ფასეულობებზე აკეთებდა აქცენტს („სლავიანოფილობა“); ხალხის პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები ძლიერ სახელმწიფოს და ქარიზმულ ლიდერს უკავშირდება. რუსეთში დემოკრატიული მმართველობა, რომელსაც „მედასავლეთელები“ ქადაგებდნენ ვერ გაამართლებდა ორი მიზეზის გამო: პირველი, რუსეთის სახელმწიფოებრივი განვითარების ისტორია და თანამედროვეობა არის განუწყვეტელი გაფართოების პროცესი, რომელსაც მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფო, ძლიერი ჯარი, მოსახლეობის სწრაფი მობილიზაცია სჭირდებოდა და, მეორე, უზარმაზარი ტერიტორიის ფლობა და მართვა ერთმმართველობას მოითხოვდა: დიდი ზომის სახელმწიფოს მართვის სირთულეზე მიუთითებენ არისტოტელე, რუსო, მონტესკიე და საშუალო ზომის სახელმწიფოს უპირატესობებზე აკეთებენ აქცენტს. ეს ზოგადი მეთოდოლოგიური მიდგომა სახელმწიფოს ტერიტორიულ სიდიდესა და მმართველობის სირთულეს შორის დასტურდება რუსეთის სინამდვილეში.

ძლიერი ხელისუფალის მოთხოვნის რუსულმა ტრადიციამ ხელახალი აღორძინება ჰპოვა პუტინის მმართველობით და ღირებულებათა კონცეფციაში „სუვერენული დემოკრატიის“ დოქტრინის ფორმით. „სუვერენული დემოკრატია“ არის რუსულ იდენტობაზე დაფუძნებული დემოკრატიის სპეციფიკური ფორმა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია რუსი ერის თვითმყოფადობის, სუვერენული სახელმწიფოს და კულტურის შენარჩუნება და ლიბერალური დექრისტიანიზაციის პროცესის შეკავება, რომელშიც ინდივიდუალური თავისუფლება იზღუდება კოლექტიური ინტერესებით.

თანამედროვე რუსული სოციალურ ორი კულტურული საწყისის, ტრადიციული (არქაული) და ევროპული (მოგვიანებით მოდერნული)

კულტურული ელემენტების სიმბოლური ურთიერთქმედების ფარგლებში ფუნქციონირებს. ტრადიციული და მოდერნული (სოციალისტური) სოციალ-პოლიტიკური თეორიები ლიბერალიზმისგან განსხვავებით, აღიარებენ კოლექტივის პრიმატს ინდივიდზე, ორივე ნაციონალური ინტერესების დაცვის იდეაზე ორიენტირებული და ძლიერ ეროვნულ უსაფრთხოებაზე აკეთებს აქცენტს.

რუსეთის პოლიტიკური განვითარების არც თუ შორეულ პერსპექტივაში, დღის წესრიგში დადგება, ევოლუციური რეფორმირების საფუძველზე, პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების პერსონიფიცირებული მოდელიდან საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის სტაბილური ფუნქციონირების პროცესის უწყვეტი შენარჩუნებისათვის, ისეთ ტიპზე გადასვლას, რომელსაც საზოგადოებაში არსებული, სოციალურ-პოლიტიკური ძალების ბალანსირების საფუძველზე ფუნქციონირებად სისტემას უწოდებენ.

მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია ორ პარტიულ სისტემაზე გარდაქმნა, რადგანაც იკვეთება, რომ პარტიები ძირითადად ორ იდეოლოგიურ ფლანგზე ჯგუფდებიან. პირველი ორი, ღირებულებით-იდეოლოგიური ორიენტაციით, განასახიერებს კონსერვატორებს ზომიერი ცენტრისტული ელემენტით, ხოლო პარტიათა მეორე ჯგუფი, მემარცხენე იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგარ, ცენტრისკენ ზომიერი ორიენტაციის მქონე სოციალისტურ პარტიებს წარმოადგენენ; მოცემული პარტიული ფორმატი ზოგადად რუსული საზოგადოების უმრავლესობის ნების გამომხატველია.

საარჩევნო სისტემის პროპორციულზე გადასვლის შემთხვევაში, ორივე სოციალურ პოლუსზე კონსოლიდირებული ამომრჩევლების ნების გამომხატველი პოლიტიკური პარტიების მიერ გაცხადებული ღირებულებითი ასპექტების პაექრობა განაპირობებს პოლიტიკური

აზროვნების რაციონალიზაციას და მის პრაგმატულ ჭრილში გადაყვანას. ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფს ერთ იდეოლოგიურ პლატფორმაზე მდგარი პარტიების გამსხვილებას და ერთიან პარტიულ ორგანიზმში მათ ინტეგრაციას, რაც პოტენციური ამომრჩევლების რაოდენობის ზრდას გამოიწვევს. თუმცა, ამისათვის აუცილებელია მინიმალური გადასალახი საპარლამენტო ბარიერის გაზრდა 7-8%-ზე. ასეთ შემთხვევაში ლიბერალურ იდეოლოგიური ძალები სრულიად მარგინალიზდებიან და საერთოდ გაირიყებიან პოლიტიკური სცენიდან, რომლებიც ისედაც ვერაფრითარ გავლენას ახდენენ პოლიტიკურ პროცესზე. ყოველივე უზრუნველყოფს ურთიერთბაღანსის და ურთიერთკონტროლის მექანიზმზე დაყრდნობით სისტემის ინსტიტუციონალიზაციას და დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ელიტების მონაცვლეობას პოლიტიკურ სისტემაში, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება დემოკრატიზაციის გზაზე.

**საკვანძო სიტყვები:** სუვერენული დემოკრატია, ლიბერალიზმი, ტრანსპლანტაცია, ელიტები, პროპორციული



## თამარ ქარაია

ასისტენტ-პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### სოციალური პროტესტის ფორმირების თავისებურებები საქართველოში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დამოუკიდებელ საქართველოში პროტესტი და მიტინგები პოლიტიკური დღის წესრიგის განუყრელ ნაწილს წარმოადგენდა. მათ ჰქონდა აფექტური ხასიათი. როგორც წესი, პოლიტიკოსების მიერ იყო მართული და ძირითადად, ხელისუფლების შეცვლას ისახავდა მიზნად. ლეგიტიმურობის ნაკლებობა, პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტე, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება იყო უმთავრესი ფაქტორები, რამაც დიდწილად განაპირობა პოლიტიკით უკმაყოფილების საერთო საზოგადოებრივი მაღალი დონე და პოლიტიკოსების მიერ პროტესტის წარმართვა.

სოციალური ჯგუფების გაძლიერება და მათი პროტესტის არენაზე გადასვლა უფრო მეტად 2012 წლიდან შეინიშნება, მას შემდეგ, რაც არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებამ შესაძლებლობათა ახალი ფანჯარა წარმოქმნა. დღესდღეობით, სხვადასხვა თემატიკაზე მომუშავე მოძრაობები, მათ შორის: ეკოლოგიური, მუშათა, ჰომოფობიის დაძლევის, ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნისა და სხვა მსგავსი მოძრაობები გამოხატავენ თავიანთ პროტესტს, ცდილობენ შემოიკრიბონ მომხრეები და ხელისუფლებასთან კონფრონტაციის, კოლაბორაციის თუ სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით მიადწიონ დასახულ მიზნებს. ამ ფონზე ნელ-ნელა მცირდება სივრცე ანტისახელისუფლებო პოლიტიკური პროტესტისთვის. უმთავრესი ცვლილება შეეხო პროტესტის თემატიკას

და მოთხოვნებს. თუ ადრინდელი საპროტესტო აქციები ძირითადად, მოქმედი ხელისუფლების ცვლილებას ითხოვდა და არსებული პრობლემების მოგვარების გზად ახალი ძალის მოსვლას ხედავდა, ბოლო დროინდელი ტენდენციით პროტესტი უმთავრესად არა ხელისუფლების, არამედ არსებული ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიის ცვლილებისკენ არის მიმართული. რაც, გარკვეულწილად, პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ დამოკიდებულების ცვლილების მანქვინებლადაც შეიძლება აღვიქვათ. აქედან გამომდინარე, პროტესტის რეპერტუარის ცვლილების კვლევა პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი დამოკიდებულების ცვლილების გარკვეულწილად ამხსნელადაც შეიძლება ჩავთვალოთ.

მოცემული კვლევა დაფუძნებულია სტრუქტურული ფუნქციონალიზმის, კერძოდ, „პოლიტიკურ შესაძლებლობათა ფანჯრის“ (Tilli; Tarrow) თეორიის გამოყენებით მიზნად ისახავს ახსნას, რომ დივერსიფიცირებული სოციალური ჯგუფების გაძლიერება და შესაბამისად, მსგავსი საპროტესტო მოძრაობების წარმოქმნა განპირობებულია პოლიტიკური რეჟიმის ხასიათით და პოლიტიკური პარტიის, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის განვითარების მანქვინებლით. მოცემული კვლევის ფარგლებში გავანალიზებთ პროტესტის დინამიკას 2003-2018 წწ-ში. მოცემული დროითი ჩარჩოს შერჩევა იმ ფაქტით არის განპირობებული, რომ სწორედ ამ პერიოდში არის შესაძლებელი პროტესტის ტრანსფორმაციის პროცესზე დაკვირვება. ეს პერიოდი მოიცავს ე.წ. მასობრივი საპროტესტო აქციების პერიოდს (2003-2010), დაინტერესებული ჯგუფების წარმოშობას და მათ მიერ თემატური საპროტესტო მოძრაობის წარმართვას (2010-2012; 2015-2018). კვლევა ასევე მოიცავს 2013-2014 წწ, რომელიც ამ მიმართულებით სინჯიმის პერიოდად აღიქმება, როდესაც ძალიან შემცირდა საპროტესტო მოძრაობები.

მოხსენება დაეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს - სიღრმისეულ ინტერვიუებს აქტივისტებთან და სახელისუფლებო დისკურს ანალიზს, კერძოდ კი გაანალიზდება საპროტესტო აქციების საორგანიზაციო გუნდის წევრთა დისკურსი 2010 წლიდან დღემდე.

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, სამოქალაქო საზოგადოება, სოციალური მოძრაობა, პროტესტის ტრანსფორმაცია